






# საქართველოს პარლამენტის საქმიანობის შეფასება 2015

საგაზაფხულო, საშემოდგომო და რიგგარეშე სესიები

საერთაშორისო გამჭვირვალობა
საქართველო

თბილისი, 2016

კვლევის ხელმძღვანელი: ლიკა საჯაია
წამყვანი მკვლევარი: თამარ ტატანაშვილი
კვლევაში მონაწილეობდნენ: გიორგი თოფურია, გიგი ჩიხლაძე, ანა დაბრუნდაშვილი, გიორგი ბერაია

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო"
მისამართი: აღმაშენებლის გამზ. 61, თბილისი 0102
ტელეფონი +(995 32) 292 14 03

ეს ანგარიში მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევაში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს და არ გამოხატავს შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) შეხედულებებს.

# სარჩევი

**შესავალი** — 4
**თავი 1. ზოგადი ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის შესახებ** — 4
**თავი 2. ზოგადი სტატისტიკა** — 6
**თავი 3. მნიშვნელოვანი მოვლენები** — 8
3.1. პარლამენტის მიერ თანამდებობის პირთა არჩევა — 8
3.2. საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის დამტკიცება — 8
3.3. საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი — 9
3.4. ცვლილებები საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობაში — 10
3.5. პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა პარლამენტში — 10
3.6. საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირება და საკაონმდებლო ცვლილებები — 11
3.7. კანონების ამოქმედების გადავადება — 12
3.8. მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება — 14
**თავი 4. მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები** — 16
4.1. პროგრესული საკანონმდებლო ცვლილებები — 16
4.1.1. ქმედუნარიანობის სამართლებრივი ინსტიტუტის რეფორმა — 16
4.1.2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი — 16
4.1.3. არასრულწლოვანთა ქორწინების აკრძალვა მშობელთა თანხმობის შემთხვევაში — 17
4.1.4. ნდობის ჯგუფის მანდატის გაფართოება — 18
4.1.5. უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ — 18
4.2. პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დახვეწას საჭიროებს — 20
4.2.1. საჯარო სამსახურის რეფორმა — 20
4.2.2. კანონი ბიზნესომბუდსმენის შესახებ — 20
4.2.3. კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ — 21
4.2.4. ნარკოდანაშაულთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებები — 22
4.3. ნეგატიური საკანონმდებლო ცვლილებები — 23
4.3.1. ეროვნული ბანკისაგან ზედამხედველობის ფუნქციის გამოყოფა — 23
4.3.2. გამოსახლებასთან დაკავშირებული რეგულაციების შეცვლა — 24
4.3.3. ცვლილებები ნოტარიუსთა შესახებ კანონმდებლობაში — 25
4.3.4. სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონი — 26
4.3.5. ნაფიც მსაჯულთა მიერ განსჯადობის შემცირება — 27
4.3.6. შუღლის გაღვივების კრიმინალიზება — 28
4.3.7. მოწმის დაკითხვის წესთან დაკავშირებული ცვლილებები — 28
4.4. რეფორმა სამართალდამცავ სფეროში — 29
4.4.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა — 29
4.4.2. პროკურატურის რეფორმა — 30
**თავი 5. საპარლამენტო კონტროლი** — 34
5.1. პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენა — 34
5.1.1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და ეროვნული ბანკის ანგარიშების მოსმენა — 35
5.1.2. პარლამენტის კომიტეტების მიერ ანგარიშების მოსმენა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კომიტეტების სხდომებზე მიწვევა — 36
5.2. პარლამენტის წევრის კითხვა/შეკითხვა: ზეპირი და წერილობითი — 40
5.3. სამთავრობო საათი პარლამენტში — 43
5.4. დროებითი საგამოძიებო კომისიები — 43
5.5. პარლამენტის მიერ მთავრობის ნორმატიული აქტებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლი — 44

**თავი 6. ინფორმაცია პარლამენტის წევრების შესახებ (განათლება, ასაკი, პროფესია)** 48
6.1. პარლამენტის წევრთა ასაკი 48
6.2. პარლამენტის წევრთა განათლება და სპეციალობა 48
**თავი 7. ქალთა მონაწილეობა საპარლამენტო საქმიანობაში** 49
**თავი 8. პარლამენტის კომისიების და საბჭოების საქმიანობა** 54
8.1. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია 54
8.2. გენდერული თანასწორობის საბჭო 55
8.3. ხაზინადართა საბჭო 56
8.4. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის სამეთვალყურეო საბჭო 56
8.5. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიისა და კონსტიტუციის ცვლილებების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიების საქმიანობა 57
**თავი 9. პარლამენტის წევრთა აქტივობა** 58
9.1. პარლამენტის წევრების მიერ ინიცირებული და მიღებული კანონპროექტების რაოდენობა და ინიციატორები 58
9.2. პარლამენტის წევრთა პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლის რაოდენობა 60
9.3. კომიტეტის სხდომებზე კანონპროექტთან დაკავშირებით გამოთქმული დეპუტატთა შენიშვნები 62
9.4. პარლამენტის წევრთა მივლინებები 64
**თავი 10. პარლამენტის წევრების მონაწილეობა პლენარულ სხდომებსა და კომიტეტების მუშაობაში, დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი** 68
10.1. პლენარული და კომიტეტების სხდომების საპატიო მიზეზებით გაცდენა 68
10.2. პლენარული სხდომებისა და საკომიტეტო მოსმენების არასაპატიო მიზეზებით გაცდენა 70
**თავი 11. პარლამენტის კომიტეტების მუშაობის შეფასება** 72
11.1. კომიტეტების საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობა 72
11.2. კომიტეტების მიერ საკანონმდებლო წინადადებების განხილვა 73
11.3. მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირება 75
11.4. კომიტეტების მიერ სამუშაო ჯგუფების შექმნა და მათი საქმიანობის შედეგები 76
11.5. პარლამენტის კომიტეტების ურთიერთობა ექსპერტებთან 77
11.6. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წარმომადგენლობა საკონსტიტუციო სასამართლოში 79
11.7. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის საქმიანობა 79
**თავი 12. მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა** 80
12.1. მოქალაქეთა მიმართვები და პრობლემები 83
12.2. ამომრჩეველთა პრობლემები და კვლევის შედეგები 83
12.3. საჯარო შეხვედრები 84
12.4. პარლამენტის მაჟორიტარი წევრების ბიუროები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები 84
12.5. ბიუროების ხარჯთაღრიცხვა 84
12.6. მოსახლეობის ინფორმირება 85
**თავი 13. პარლამენტის წევრების კავშირები ბიზნესთან და არადეკლარირებული სამეწარმეო საქმიანობა** 98
13.1. პარლამენტის წევრების კავშირი ბიზნესთან 98
13.2. პარლამენტის წევრების არადეკლარირებული სამეწარმეო საქმიანობა 99
**თავი 14. პრობლემები პარლამენტის საქმიანობაში და ,,საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველოს“ რეკომენდაციები** 124

# შესავალი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ საპარლამენტო მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად აფასებს საქართველოს პარლამენტის მუშაობას. ორგანიზაციის საპარლამენტო ჯგუფი აქტიურად არის ჩართული პარლამენტის საქმიანობის მონიტორინგში და პერიოდულად აქვეყნებს ანგარიშს პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და საზოგადოების ინფორმირების მიზნით.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ საპარლამენტო ჯგუფის ოფისები განთავსებულია თბილისსა და ქუთაისში მდებარე პარლამენტის შენობებში. ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საქართველოს პარლამენტის 2015 წლის საქმიანობის შეფასება ეფუძნება ორგანიზაციის საპარლამენტო ოფისების თანამშრომლების მიერ მოკვლეული ინფორმაციის ანალიზს და დაკვირვებებს და პარლამენტიდან მიღებულ სტატისტიკურ მონაცემებს.[1]

ანგარიშში მოცემულია საქართველოს კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დაკვეთით 2016 წლის მარტში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებიც, რომელმაც მთელი საქართველო მოიცვა (ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონებისა და ოკუპირებული ტერიტორიების გარდა). კვლევის ფარგლებში შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გამოიკითხა 2032 ადამიანი. საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცდომილების საშუალო მაჩვენებელი 3.2%-ს შეადგენს.

დიდ მადლობას ვუხდით თანამშრომლობისთვის საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტს და მის ხელმძღვანელს ეთერ სვიანაიძეს.

# თავი 1 | ზოგადი ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის შესახებ

პარლამენტი ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს საქართველოს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და პარლამენტის რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 75 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 პარლამენტის წევრისგან. პარლამენტის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

საქართველოს დღეს მოქმედი პარლამენტი მერვე მოწვევისაა. იგი არჩეული იქნა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე და უფლებამოსილება ეწურება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად არჩეული საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილების ცნობის შემდეგ.

საქართველოს პარლამენტის საქმიანობაში განსაკუთრებული როლი აკისრიათ საპარლამენტო კომიტეტებს, რომელთა მიზანია საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადება, პარლამენტის გადაწყვეტილებების შესრულების ხელშეწყობა, პარლამენტის წინაშე

[1] ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ანგარიშვალდებული ორგანოებისა და საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლი. პარლამენტი კომიტეტებს ქმნის თავისი უფლებამოსილების ვადის შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებია:
- აგრარულ საკითხთა;
- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის;
- განათლების, მეცნიერების და კულტურის;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების;
- დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის;
- დიასპორისა და კავკასიის საკითხთა;
- ევროპასთან ინტეგრაციის;
- თავდაცვისა და უშიშროების;
- იურიდიულ საკითხთა;
- რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის;
- საგარეო ურთიერთობათა;
- საპროცედურო საკითხთა და წესების;
- საფინანსო-საბიუჯეტო;
- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა;
- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა.

პარლამენტში ასევე იქმნება ფრაქციები, რომლებიც წარმოადგენს პარლამენტის წევრთა (არანაკლებ 6 პარლამენტის წევრი) გაერთიანებებს მათი საერთო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. საპარლამენტო ფრაქციის ძირითადი ამოცანაა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში საკუთარი პოლიტიკური კურსის გატარება ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტი პოლიტიკური ნიშნით 2015 წელს დაკომპლექტებული იყო შემდეგნაირად:

უმრავლესობაში შემავალი ფრაქციები:
- ქართული ოცნება;
- ქართული ოცნება – რესპუბლიკელები;
- ქართული ოცნება – კონსერვატორები;
- ქართული ოცნება – ეროვნული ფორუმი;
- ქართული ოცნება – მრეწველები;
- დამოუკიდებელი მაჟორიტარები – ძლიერი რეგიონებისთვის;
- უპარტიო, დამოუკიდებელი მაჟორიტარები.

უმცირესობაში შემავალი ფრაქციები:
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;
- ნაციონალური მოძრაობა – მაჟორიტარები;
- ნაციონალური მოძრაობა – რეგიონები.

ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატები“ არ წარმოადგენს არც უმრავლესობას და არც უმცირესობას.

ასევე არცერთ ფრაქციას არ წარმოადგენს პარლამენტის რვა დამოუკიდებელი წევრი:
- დავით ბჟუაშვილი – მაჟორიტარი (თეთრიწყარო);
- გიორგი გაჩეჩილაძე – პარტიული სიით;
- კობა დავითაშვილი – პარტიული სიით;
- მურმან დუმბაძე – მაჟორიტარი (ბათუმი);
- ზურაბ ჯაფარიძე – პარტიული სიით;
- პავლე კუბლაშვილი – პარტიული სიით;
- გიორგი ხაჩიძე – პარტიული სიით;
- გიორგი მელაძე – პარტიული სიით.

# თავი 2 | ზოგადი სტატისტიკა

საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 2015 წელს პარლამენტში საგაზაფხულო, საშემოდგომო და რიგგარეშე სესიების პერიოდში ჩატარდა 65 პლენარული სხდომა, მათ შორის, 19 რიგგარეშე სხდომა. კვორუმის არარსებობის გამო არ შედგა 7 სხდომა. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა პარლამენტის ბიუროს 129 სხდომა და კომიტეტების 668 სხდომა.

**დიაგრამა 1. 2015 წელს ჩატარებული პარლამენტის კომიტეტების სხდომების რაოდენობა**




უმცირესობამ პარლამენტის მუშაობას საშემოდგომო სესიაზე ბოიკოტი გამოუცხადა და არ დასწრებია 17-18 სექტემბრის, 27-28 ოქტომბრის და 11-13 ნოემბრის პლენარულ სხდომებს.

- 2015 წელს კომიტეტის სხდომა კვორუმის არარსებობის გამო ჩაიშალა ერთხელ (იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომა);
- 2015 წლის საგაზაფხულო, საშემოდგომო და რიგგარეშე სესიების პერიოდში პარლამენტმა მიიღო 490 კანონი, 1601 დადგენილება, 1 რეზოლუცია, 2 განცხადება და 1 მიმართვა; რატიფიცირებული იქნა 49 საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება და კონვენცია; 2015 წელს პრეზიდენტმა ერთხელ გამოიყენა ვეტოს უფლება და 31 ივლისს „ეროვნული ბანკის შესახებ" კანონში ცვლილებებს ვეტო დაადო;
- 2015 წელს საკანონმდებლო ორგანოში წარდგენილი იქნა 64 საკანონმდებლო წინადადება. ყველაზე მეტი საკანონმდებლო წინადადება, როგორც ფიზიკურმა პირმა, წარადგინა მოქალაქე ზურაბ ვანიშვილმა (6 საკანონმდებლო წინადადება), ხოლო როგორც იურიდიულმა პირმა – „საზოგადოებრივ პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანებამ უფლის სახელით – უფალია ჩვენი სიმართლე" (4 საკანონმდებლო წინადადება).

წარდგენილ **64** საკანონმდებლო წინადადებასთან დაკავშირებით:
- მომზადდა 4 დადებით დასკვნა;
- მომზადდა 14 უარყოფითი დასკვნა;
- ერთ შემთხვევაში მოხდა ორი კანონპროექტის ინიცირება (სახალხო დამცველის წინადადება); [2]
- 3 შემთხვევაში წინადადება ავტორმა უკან გაიტანა;
- ერთ შემთხვევაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი; [3]
- 41 საკანონმდებლო წინადადებაზე გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

**დიაგრამა 2. 2015 წელს საგაზაფხულო, საშემოდგომო და რიგგარეშე სესიების პერიოდში მიღებული კანონების ინიციატორები**




[2] აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ მონაცემს, თუმცა კომიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით ორზე მეტი კანონპროექტის ინიცირება განხორციელდა. იხ. 11.2. თავი.
[3] აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ მონაცემს, თუმცა კომიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით ორზე მეტი კანონპროექტის ინიცირება განხორციელდა. იხ. 11.4 თავი.

# თავი 3 | მნიშვნელოვანი მოვლენები

## 3.1 პარლამენტის მიერ თანამდებობის პირთა არჩევა

საქართველოს პარლამენტი კანონმდებლობით დადგენილი წესით ირჩევს, ნიშნავს და ამტკიცებს აღმასრულებელი ორგანოებისა და დამოუკიდებელი ორგანოების თანამდებობის პირებს.

2015 წელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით **საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის** არჩევა.

2015 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად შეიქმნა ახალი სტრუქტურა – **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური** და პარლამენტმა **მისი ხელმძღვანელი** აირჩია 6 წლის ვადით. პროკურატურის რეფორმის შედეგად საკანონმდებლო ორგანომ ასევე 6 წლის ვადით აირჩია საქართველოს **მთავარი პროკურორი.**

2015 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული თანამდებობის პირები:

- 4 თებერვალს: საქართველოს **ცენტრალური საარჩევნო კომისიის** წევრები: ზურაბ ხრიკაძე, გიორგი ჯავახიშვილი, გიორგი ჭიქაბირაძე;
- 19 თებერვალს: საქართველოს **კომუნიკაციების ეროვნული კომისიის** წევრები: მერაბ ქათამაძე, ელისო ასანიძე, გიორგი ფრუიძე;
- 20 მარტს: საქართველოს **უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე** ნინო გვენეტაძე;
- 20 მარტს: საქართველოს **საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი** მერაბ ტურავა;
- 12 ივნისს: საქართველოს **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები**: მზია თოდუა და ეკატერინე გასიტაშვილი;
- 22 ივლისს: საქართველოს **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი** ვახტანგ გომელაური;
- 18 სექტემბერს: **სსიპ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს** წევრები: ეფრემ ურუმაშვილი, ეკატერინე გალდავა, ირაკლი კოვზანაძე, საშა ტერნესი; **საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს** უფროსი კონსტანტინე სულამანიძე;
- 27 ოქტომბერს: **საპროკურორო საბჭოს წევრები:** პოლიკარპე მონიავა, ირმა ჭკადუა;
- 27 ოქტომბერს: **ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის** წევრი გიორგი ფანგანი;
- 12 ნოემბერს: **საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის** წევრი ქეთევან ბექაური; იგორ კოპალიანი
- 27 ნოემბერს: საქართველოს **მთავარი პროკურორი** ირაკლი შოთაძე.

## 3.2 საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის დამტკიცება

2015 წლის 17 ივლისს პარლამენტის ბიურომ დაამტკიცა „საქართველოს ღია პარლამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა"[4], რომელიც საქართველოს პარლამენტის ინტერ-ფრაქციულმა ჯგუფმა და ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა.

სამოქმედო გეგმაზე მუშაობა 2015 წლის აპრილში დაიწყო. გეგმის შემუშავებაში მონაწილეობდნენ პარლამენტის წევრები, პარლამენტის აპარატის სტრუქტურული ერთეულების

[4] საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა 2015-2016, https://goo.gl/Nbkmsf

ხელმძღვანელები და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლები.

სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს 18 ვალდებულებას, რომლებიც ეხება საპარლამენტო ღიაობის და ანგარიშვალდებულების გაზრდას, მათ შორის, მოქალაქეთა საკანონმდებლო პროცესში ჩართულობას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საპარლამენტო ინფორმაციაზე წვდომის გამარტივებას, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვას და ა.შ.[5]

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის „ღია მმართველობის პარტნიორობის“ მექსიკის გლობალურ სამიტზე „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ჩემპიონთა ჯილდოს გამარჯვებულად „ღია მმართველობის პარტნიორობის“ წევრ 65 ქვეყანას შორის საქართველო დასახელდა.[6] კონკურსის მიზანი იყო სახელისუფლებო და სამოქალაქო სექტორებს შორის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითის წარმოჩენა.

## 3.3 საყდრისი–ყაჩაღიანის საბადოსთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი

2015 წელს კვლავ აქტუალური იყო საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოს საკითხთან დაკავშირებული დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა.

2014 წელს საყდრისში განვითარებული მოვლენების გამოსაძიებლად დროებითი კომისიის შექმნის ინიციატივა „თავისუფალი დემოკრატების“ ფრაქციის წევრმა ნინო გოგუაძემ წარადგინა. საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის თაობაზე დადგენილებას[7] 58 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, ხოლო 14 წინააღმდეგი იყო.

კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პარლამენტის რეგლამენტის თანახმად საჭიროა, რომ პარლამენტმა მიიღოს საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ დადგენილება და მხოლოდ ამის შემდეგ იქმნება კომისია. დადგენილებაში მითითებული უნდა იყოს დროებითი საგამოძიებო კომისიის უფლებამოსილების ვადა და მისი წევრების, მათ შორის, თავმჯდომარის ვინაობა. სწორედ აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო 2015 წელს.

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელ დროებით საგამოძიებო კომისიაში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები წარადგინა. დადგენილების პროექტში დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრთა რაოდენობა 11 წევრით განისაზღვრა.[8] 2015 წლის 4 მარტს საქართველოს პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთან დაკავშირებული

---

[5] ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ექვსი რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული, რომლებიც ეხება საკანონმდებლო განხილვებზე პირთა ფიზიკური დასწრების უზრუნველყოფას, დღის წესრიგში ცვლილების შეტანის დასაბუთების ვალდებულებას, ასევე კანონპროექტის განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესებას და პარლამენტის კომიტეტების ანგარიშებისა და დასკვნების პროაქტიურად გამოქვეყნებას.

[6] „საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველო“ ღია მმართველობის პარტნიორობის გლობალურ სამიტში მონაწილეობს, http://goo.gl/XZik4D

[7] საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 4 მარტის დადგენილება http://goo.gl/jxpqiU

[8] დადგენილების პროექტის მიხედვით კომისიაში ფრაქცია „ქართული ოცნება“ ერთი წევრით იყო წარმოდგენილი. ერთი წევრით უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილი ასევე ფრაქციები „ქართული ოცნება – რესპუბლიკელები“, “ქართული ოცნება – კონსერვატორები“, „ქართული ოცნება – ეროვნული ფორუმი“, „ქართული ოცნება – მრეწველები“, „უპარტიო, დამოუკიდებელ მაჟორიტარები“, „ნაციონალური მოძრაობა – მაჟორიტარები“, “ნაციონალური მოძრაობა – რეგიონები“ და დამოუკიდებელი პარლამენტის წევრები. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კვოტა კომისიის შემადგენლობაში ორი წევრით იყო განსაზღვრული, თუმცა მათ ერთი ადგილი თავისი კვოტიდან ფრაქცია „თავისუფალ დემოკრატებს“ დაუთმეს. შედეგად „თავისუფალი დემოკრატებისთვის“ კომისიაში ორი წევრის ადგილი განისაზღვრა.

მოვლენების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ დადგენილების პროექტს.

2015 წელს საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი[9] პლენარულ სხდომაზე ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამაც დააყენა. თუმცა პლენარულ სხდომაზე კომისიის შექმნას მხარი არ დაუჭირეს.

## 3.4 ცვლილებები საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობაში

2015 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის შემადგენლობაში, კერძოდ:

- თინათინ ხიდაშელს შეუწყდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება, რადგან საქართველოს თავდაცვის მინისტრად დაინიშნა, რის შედეგადაც ცვლილება განხორციელდა პარლამენტის წევრების შემადგენლობაში და განთავისუფლებული ადგილი თამარ ხიდაშელმა დაიკავა;
- გიგლა აგულაშვილი დაინიშნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრად; მის ნაცვლად პარტიული სიით პარლამენტის წევრი გახდა თეიმურაზ ნერგაძე;
- ნაული ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ პარტიული სიით პარლამენტის წევრი გახდა ლევან თარხნიშვილი;
- დავით საყვარელიძეს შეუწყდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება; მის ნაცვლად პარტიული სიით პარლამენტის წევრი გახდა ეკა ხერხეულიძე;
- პავლე კუბლაშვილმა, გიორგი ხაჩიძემ, გიორგი მელაძემ და ზურაბ ჯაფარიძემ დატოვეს უმცირესობა და გახდნენ დამოუკიდებელი პარლამენტის წევრები;
- თამარ კორძაიამ დატოვა ფრაქცია „ქართული ოცნება“ და გადავიდა ფრაქციაში„ქართული ოცნება – რესპუბლიკელები“. მან ასევე დატოვა პარტია „ქართული ოცნება“ და შეუერთდა რესპუბლიკურ პარტიას.
- დავით საგანელიძეს შეუწყდა უფლებამოსილება, ვინაიდან საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა, მის ნაცვლად პარტიული სიით პარლამენტის წევრი გახდა ვლადიმერ აჩბა.

## 3.5 პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა პარლამენტში

2015 წლის 31 მარტს საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე ყოველწლიური მოხსენებით[10] წარსდგა. პრეზიდენტმა მთავრობაში არსებულ მართვის ხარვეზებზე, სტრუქტურების დუბლირებაზე, თანამდებობის პირების პასუხისმგებლობების განუსაზღვრელობაზე ისაუბრა. მისი თქმით, ეს პრობლემები განაპირობებს ინსტიტუტების მდგრადობის დასუსტებას, მართვის არაეფექტიანობას და პროცესების გაჭიანურებას. პრეზიდენტმა ქვეყნის მთავარ ამოცანად ეკონომიკური ზრდა და დასაქმება გამოაცხადა. ის მიესალმა ჯანდაცვის და აგრარულ სფეროებში, ასევე ბიზნესის წახალისების სამთავრობო პროექტებს, თუმცა ახალი რეგულაციების შემუშავების პროცესში საკანონმდებლო ორგანოს ბიზნესთან მეტი კომუნიკაციისკენ მოუწოდა.

პრეზიდენტმა ისაუბრა ქვეყნის უსაფრთხოებაზეც. მისი თქმით, ქვეყნის უსაფრთხოება და კეთილდღეობა უშუალოდ არის დაკავშირებული ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან; რიგის სამიტზე საქართველოს სჭირდება კონკრეტული შედეგები ევროპული პერსპექტივის და მოსახლეობის მიერ ევროინტეგრაციის სიკეთეების მისაღებად.

---

[9] http://goo.gl/0ro8y4

[10] https://goo.gl/X329U9

პრეზიდენტმა ასევე ისაუბრა ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზების მზარდ ტენდენციაზე, აღნიშნა აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგის და კონფლიქტის მოგვარების ერთიანი ხედვის არსებობის აუცილებლობა. პრეზიდენტის განცხადებით ევროპული საქართველო საუკეთესო გარანტია იქნება აფხაზებისა და ოსების თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის, თუმცა საქართველო არ ჩაიყენებს თავს მოუგვარებელი კონფლიქტების მძევლის მდგომარეობაში და გააგრძელებს დემოკრატიულ მოდერნიზაციას.

პრეზიდენტმა ისაუბრა რუსული „რბილი ძალის" შეჩერების აუცილებლობაზეც და ამ მიზნით ქვეყნის შიგნით პროდასავლური დღის წესრიგის კონსოლიდაციის აუცილებლობაზე.

პრეზიდენტმა პრინციპულ საკითხად გამოაცხადა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის შეცვლა და ამ ცვლილების საგაზაფხულო სესიაზე ინიცირება. პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად პრეზიდენტმა ერთმნიშვნელოვნად დაუჭირა მხარი საარჩევნო კანონმდებლობაში კვოტირების სისტემის დანერგვას. მან ასევე სასამართლოს გაძლიერების, პროკურატურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელ რეფორმირებაზე გააკეთა აქცენტი.

## 3.6 საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირება და საკანონმდებლო ცვლილებები

2015 წელს საქართველოს პარლამენტში  ორჯერ განხორციელდა საარჩევნო სისტემის შეცვლასთან საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირება.

2015 წლის 18 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა 81 ხმით მიიღო დადგენილება[11] საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველო კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ.

საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატორია  საქართველოს პარლამენტის 81 წევრი. კონსტიტუციური კანონის პროექტის თანახმად,  2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს მთლიანად პროპორციული წესით მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში, შესაბამისად უქმდება დღეს მოქმედი 75 მაჟორიტარული ოლქი. პროექტის თანახმად, ასევე მცირდება საარჩევნო ბარიერი 5%-დან 4%-მდე. პროექტის მიღების შემთხვევაში, მისი ძალაში შესვლის თარიღად მითითებულია 2016 წლის არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტის პირველი შეკრება.

2015 წლის 11 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა 88 ხმით მიიღო დადგენილება საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველო კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ. ამ შემთხვევაში ცვლილებების ინიციატორი იყო საქართველოს 204 161 მოქალაქე.

ცვლილება ითვალისწინებს ახალი სამხარეო პროპორციული საარჩევნო სისტემის შემოღებას, რომლის თანახმადაც საქართველოს პარლამენტი დაკომპლექტდება ერთიანი პროპორციული სისტემით არჩეული 75 და სამხარეო პროპორციული სისტემით არჩეული პარლამენტის 75 წევრისაგან.  საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერის შემთხვევაში 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები ახალი წესის მიხედვით ჩატარდება.

[11] საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 18 სექტემბრის დადგენილება http://goo.gl/gPjAah

შეგახსენებთ, რომ არსებული მაჟორიტარული სისტემის გაუქმება კოალიცია "ქართული ოცნების" საარჩევნო პროგრამით[12] იყო გათვალისწინებული. არასამთავრობო ორგანიზაციები აკრიტიკებენ მოქმედ საარჩევნო სისტემას და აქტიურად ლობირებენ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმებას.

საარჩევნოს სისტემის ცვლილებას ეხებოდა პარლამენტის მიერ 23 დეკემბერს მესამე მოსმენით მიღებული[13] საარჩევნო კოდექსის ცვლილებები, რომლის თანახმად განისაზღვრა ოლქების განაწილების ახალი წესი. ორგანული კანონის პროექტის მიღება განპირობებული იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 28-ე მუხლის პირველ პუნქტთან შეუსაბამოდ მიიჩნია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 110-ე მუხლის პირველი პუნქტის ის ნაწილი, რომლითაც თბილისში საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნებისთვის იქმნება 10 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. ინიცირებულ კანონპროექტში ცვლილებები შევიდა, რომელიც საარჩევნო ოლქების თავიდან გადანაწილებას ეხებოდა. კანონპროექტით მართალია, მცირდებოდა მაჟორიტარულ ოლქებს შორის ამომრჩეველთა რაოდენობებს შორის სხვაობა, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ იგი ბოლომდე მაინც ვერ პასუხობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც, თავის მხრივ, დაეფუძნა ვენეციის კომისიის მიერ ხმების თანაბარწონადობის დაცვის კუთხით ჩამოყალიბებულ სტანდარტებს.[14]

## 3.7 კანონების ამოქმედების გადავადება

პარლამენტი აგრძელებს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედების გადავადების პრაქტიკას. 2015 წელს საქართველოს პარლამენტმა 11 კანონის ამოქმედება გადაავადა,[15] კერძოდ:

1. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"[16] (07-3/410).
2. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"[17] (07-3/426).
3. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"[18] (07-3/439).
4. „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"[19] (07-3/442).
5. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ"[20] (07-3/526).
6. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ"[21] (07-3/528).

---

[12] https://goo.gl/RT5z4z
[13] http://goo.gl/fTviHR
[14] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო": „ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული მაჟორიტარული ოლქების გადანაწილება შესაძლოა არაკონსტიტუციური იყოს", 10 დეკემბერი, 2015, http://www.transparency.ge/node/5704
[15] გამარტივებული განხილვის წესით მიღებული იქნა 8 კანონი, ხოლო დაჩქარებული და ზოგადი წესით – 3 კანონი.
[16] http://goo.gl/VBRXP3
[17] http://goo.gl/YCsjQ5
[18] http://goo.gl/BW4K95
[19] http://goo.gl/6td33d
[20] http://goo.gl/2xFiAp
[21] http://goo.gl/sqPUj3

7. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“[22] (07-2/342).
8. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“[23] (07-2/418).
9. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“[24] (07-3/530)
10. „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“[25] (07-2/417).
11. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“[26] (07-3/457)

ზოგიერთ შემთხვევაში ერთი და იმავე კანონის ამოქმედების გადავადება რამდენჯერმე ხდება. მაგალითად, 2014-2015 წლებში საკანონმდებლო ორგანომ რამდენჯერმე გადაავადა საკანონმდებლო ცვლილებებით განსაზღვრული შემდეგი ვალდებულებების ამოქმედება:

- ფიზიკური პირების მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენება;
- ფინანსური ანგარიშების მომზადება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMES) შესაბამისად;
- გადახდისუუნარობის საქმის წარმოება ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რაც გულისხმობს საქმის წარმოების პროცესში კანონით გათვალისწინებული მოქმედებების ელექტრონული საშუალებებით შესრულებას;
- არ გაუქმდა საგადასახადო შეღავათები თამბაქოს ნედლეულისა და ნაწარმის იმპორტზე. [27]

კანონპროექტების განმარტებით ბარათებში გადავადების მიზეზები დამაჯერებელი არ არის. კანონის მოქმედების ვადის რამდენჯერმე გადავადება უმეტესად ერთი და იმავე არგუმენტით ხდება. განმარტებით ბარათებში კანონის ამოქმედების გადავადების მიზეზად ძირითადად მითითებულია:

- შესაბამისი სამართლებრივი აქტების მომზადებისა და მიღებისთვის არასაკმარისი დრო;
- ადმინისტრირებისთვის არასაკმარისი დრო;
- ფინანსური და ადამიანური რესურსების პრობლემა.

ზოგიერთ შემთხვევაში განმარტებით ბარათში კანონის ამოქმედების გადავადების მიზეზი საერთოდ არ არის მითითებული. განმარტებით ბარათებში კონკრეტულ შემთხვევებში ასევე არ ჩანს, რა გახდა ხელისუფლების მიერ ნაკისრი ვალდებულების დროულად შესრულების ხელშემშლელი ფაქტორი (მაგალითად, განსაზღვრულ დროში სათანადო სამართლებრივი აქტის შემუშავების შეუძლებლობა ან ადმინისტრირების პრობლემა).

არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ კანონების ამოქმედების გადავადება დაკავშირებულია შემდეგ პრობლემებთან:

- **საკანონმდებლო ციკლის არასათანადოდ დაგეგმვა** – არსებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ კანონპროექტზე მუშაობის პროცესში არ ხორციელდება საკანონმდებლო ციკლის დასრულებისთვის საჭირო დროის სათანადოდ განსაზღვრა, რაც შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ კანონპროექტის ინიციატორს არ აქვს შესაბამისი ინფორმაცია და ცოდნა კანონის აღსრულების პროცესზე და მექანიზმებზე, ადმინისტრაციულ და სხვა ხარჯებზე, ასევე საკანონმდებლო ცვლილების ამოქმედებისთვის საჭირო ხარჯებზე;

[22] http://goo.gl/GDdW5a
[23] http://goo.gl/CAkG42
[24] http://goo.gl/9tstJw
[25] http://goo.gl/hsz4Aa
[26] http://goo.gl/SFyLlJ
[27] გადავადდა სამი კანონის ნორმების ამოქმედება, ეს კანონებია: „საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“; „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ კანონი და „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“ კანონი.

- **საპარლამენტო კონტროლის არასათანადოდ განხორციელება** – საკანონმდებლო ცვლილების ამოქმედებამდე არ ხორციელდება შესაბამისი უწყებების მონიტორინგი და სათანადო საკანონმდებლო ბაზის შემუშავებისა და სხვა საჭიროებებისთვის განხორციელებული კონკრეტული მოქმედებების შეფასება. საკანონმდებლო ორგანო ასევე უნდა აკონტროლებდეს ინიციატორის მიერ საკანონმდებლო ცვლილების ამოქმედების გადავადების სათანადო დასაბუთების წარდგენას.

- **საჯარო ადმინისტრირების პროცესის მოუწესრიგებლობა** – რაც შეიძლება გამოიხატებოდეს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისას ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებს შორის სუსტ კოორდინაციაში, ასევე დაინტერესებული მხარეების სათანადოდ ჩართულობის ვერ/არ უზრუნველყოფაში და ა.შ., რის გამოც შესაბამისი ორგანოები და პირები ხშირად ვერ ატარებენ სათანადო მოსამზადებელ სამუშაოებს მიღებული კანონების აღსრულების უზრუნველსაყოფად;

- **საკანონმდებლო ცვლილების სხვადასხვა სფეროზე ეფექტის წინასწარი ანალიზის არარსებობა** – კანონპროექტების განმარტებით ბარათებში ხშირად გაანალიზებული არ არის, რა გავლენას მოახდენს მიღებული კანონი ქვეყნის ეკონომიკაზე და ქვეყნისათვის მნიშვნელოვან სხვა სფეროებზე ან რა ნეგატიური დაუგეგმავი შედეგები შეიძლება წარმოიშვას კანონის მიღებითა და აღსრულებით, რაც სერიოზული პრობლემაა საკანონმდებლო რეგულირების სწორად განხორციელების თვალსაზრისით.

## 3.8 მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება

2015 წლის 30 დეკემბერს პარლამენტმა რიგგარეშე სესიაზე 86 ხმით (28 წინააღმდეგი)[28] მთავრობის შემადგენლობა დაამტკიცა. მთავრობისთვის ნდობის ხელახლა გამოცხადება მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც 23 დეკემბერს ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგა. პრეზიდენტმა პარლამენტს პრემიერ-მინისტრის პოსტზე დასამტკიცებლად ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის და მთავრობის წევრების შემდეგი კანდიდატურები წარუდგინა:

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი – დიმიტრი ქუმსიშვილი;
- ენერგეტიკის მინისტრი – კახა კალაძე;
- საგარეო საქმეთა მინისტრი – მიხეილ ჯანელიძე;
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი – დავით სერგეენკო;
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი – სოზარ სუბარი;
- განათლებისა და მეცნიერების მინისტრი – თამარ სანიკიძე;
- სოფლის მეურნეობის მინისტრი – ოთარ დანელია;
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი – ნოდარ ჯავახიშვილი;
- ფინანსთა მინისტრი – ნოდარ ხადური;
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი – მიხეილ გიორგაძე;
- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი – ტარიელ ხეჩიკაშვილი;
- თავდაცვის მინისტრი – თინათინ ხიდაშელი;
- იუსტიციის მინისტრი – თეა წულუკიანი;
- შინაგან საქმეთა მინისტრი – გიორგი მღებრიშვილი;
- სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრი – კახა კახიშვილი;
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი – გიგლა აგულაშვილი;
- სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში – დავით ბაქრაძე;

[28] http://goo.gl/VtA6ZB

- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი – პაატა ზაქარეიშვილი;
- სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში – გელა დუმბაძე.

ნდობის მისაღებად წარდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ საკანონმდებლო პაკეტის სახით პარლამენტში 27 დეკემბერს დარეგისტრირდა, ხოლო კომიტეტების სხდომებზე განხილვა 28 დეკემბერს გაიმართა. იმავე დღეს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს საპარლამენტო უმცირესობამაც მოუსმინა. გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით მინისტრთა კაბინეტის „ძირითადი ქვაკუთხედი“ ეკონომიკურ განვითარებაში გარღვევის მიღწევა იქნება. მან ასევე პრიორიტეტებად ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების განვითარება, აბრეშუმის გზის პოტენციალის სრულად ათვისება გამოაცხადა.

# თავი 4 | მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები

## 4.1 პროგრესული საკანონმდებლო ცვლილებები

### 4.1.1 ქმედუნარიანობის სამართლებრივი ინსტიტუტის რეფორმა

2015 წლის 20 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო პაკეტი, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა ქმედუნარიანობის სამართლებრივი ინსტიტუტის რეფორმა. საკანონმდებლო ცვლილებებს საფუძვლად დაედო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ქმედუნარიანობის არსებული საკანონმდებლო მოდელი არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული. კანონმდებლობის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც პარლამენტის წევრი თამარ კორძაია ხელმძღვანელობდა. საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მოახდინა.

**საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად იმ პირების მიმართ, რომლებიც კანონ-მდებლობით „ჭკუასუსტობის“ ან „სულიერი მოშლილობის“ საფუძვლით მიჩნეული იყვნენ ქმედუუნაროებად, შემოღებული იქნა ინდივიდუალური შეფასების სისტემა. შეფასება ეფუძნება არა მხოლოდ სამედიცინო მოდელს, არამედ შეფასების დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური შეფასების სისტემაც**. ამასთანავე, კანონმდებლობიდან ამოღებული იქნა „ჭკუასუსტობის“ და „სულიერი მოშლილობის“ ცნებები და დამკვიდრდა „მხარდაჭერის მიმღები“ პირის ინსტიტუტი. მხარდაჭერის მიმღები ითვლება ქმედუნარიან პირად, რომელსაც ფსიქო-სოციალური საჭიროებების ინდივიდუალური შესწავლის საფუძველზე შეიძლება სასამართლოს მიერ დაენიშნოს მხარდამჭერი ანუ პირი, რომელიც დაეხმარება მას საკუთარი უფლებების რეალიზებასა და ინტერესების დაცვაში.

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ შეფასება**

ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმა წარმოადგენს მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ამ რეფორმამდე არსებული საკანონმდებლო რეგულაციებისგან განსხვავებით, რომელთა საფუძველზეც ქმედუუნარო პირებს ყველა უფლება ავტომატურად ჰქონდათ ჩამორთმეული, კანონმდებლობა ინდივიდუალური შეფასების მოდელზე გადავიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო ექსპერტიზის მეშვეობით შეაფასებს, საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულად რომელ ნაწილში სჭირდება პირს დახმარება და ამ შეფასების შესაბამისად დაუწესებს შეზღუდვებს.

ამ პოზიტიური ცვლილებების შედეგად საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში იქნა მოყვანილი საერთაშორისო სტანდარტებთან და საქართველოს კონსტიტუციასთან.

### 4.1.2 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

2015 წლის 12 ივნისს პარლამენტმა მიიღო[29] **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი და ცვლილებები შეიტანა მასთან დაკავშირებულ შესაბამის კანონებში. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად პატიმრობა, როგორც სასჯელის ფორმა, არასრულწლოვანის მიმართ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება იყოს გამოყენებული. მიღებული რეგულაციებით იკრძალება არასრულწლოვანისთვის სასჯელად უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება.**

[29] http://goo.gl/q7kzz9

**ბრალის წარდგენიდან წინასასამართლო სხდომამდე არასრულწლოვანის პატიმრობის ვადა 60 დღიდან 40 დღემდე შემცირდა. ნასამართლობა არასრულწლოვანს სასჯელის მოხდისთანავე მოეხსნება.**

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს შეფასება“**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღება ერთმნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოს მართლმსაჯულების სისტემისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლების ყველა შტომ თანმიმდევრული და ეფექტიანი ღონისძიებებით უზრუნველყოს მისი სრულყოფილად ამოქმედება.[30] კოდექსის მიხედვით იქმნება სპეციალიზებული ინსტიტუტები, რომლებიც არასრულწლოვანთა საქმეებზე იმუშავებენ. განსაკუთრებით მისასალმებელია სპეციალიზებული პროკურორების, მოსამართლეებისა და პოლიციელების არსებობა.

### 4.1.3 არასრულწლოვანთა ქორწინების აკრძალვა მშობელთა თანხმობის შემთხვევაში

საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 16 დეკემბერს მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები [31], რომლებიც არასრულწლოვანთა ქორწინების რეგისტრაციის შეზღუდვას ეხება. შესაბამისი კანონპროექტი სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე შემუშავდა; მისი ინიცირება იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა განახორციელა, ხოლო მომხსენებელი პარლამენტის წევრი თამარ კორძაია იყო.

**ამ ცვლილებების მიხედვით ქორწინების მინიმალური ასაკი იზრდება და 16 წლის ნაცვლად განისაზღვრება 17 წლით. ახალი კანონი ასევე ადგენს, რომ მშობლებსა და მზრუნველებს აღარ ექნებათ ქორწინებაზე თანხმობის გაცემის უფლება და ქორწინების ნებართვის გამცემი ოფიციალური ორგანო მხოლოდ სასამართლო იქნება**. საკანონმდებლო ცვლილებებით არასრულწლოვან პირთა ქორწინების ერთადერთ პატივსადებ საფუძვლად ბავშვის დაბადება ითვლება. საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით საკითხის ამგვარი მოწესრიგება წარმოადგენს გარდამავალი პერიოდის ნორმას და ძალას დაკარგავს ამ ცვლილების ამოქმედებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად 2017 წლის 1 იანვრიდან მინიმალური საქორწინო ასაკი იქნება 18 წელი.

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს შეფასება“**

არასრულწლოვანთა ქორწინების რეგისტრაციის გამკაცრება და ქორწინებისთვის დადგენილი მინიმალური ასაკის გაზრდა მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია ქალთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის პირველ ნახევარში 16-იდან 18 წლამდე პირთა (როდესაც ერთი პირი მაინც იყო არასრულწლოვანი) 265 ქორწინება დარეგისტრირდა[32], ხოლო 2014 წელს რეგისტრირებული იყო 1527არასრულწლოვანი დედა.

---

[30] კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ განცხადება იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე, 16 აპრილი, 2015, http://goo.gl/niZZGE
[31] http://goo.gl/xakKhD
[32] http://goo.gl/zv4KOZ

### 4.1.4 ნდობის ჯგუფის მანდატის გაფართოება

2015 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონში[33], რის საფუძველზეც განისაზღვრა კონტროლის დამატებითი მექანიზმები შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ და განსახორციელებელ შესყიდვებზე. საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი ირაკლი ჩიქოვანი იყო.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტებს წარუდგენს დეტალურ ინფორმაციას განსახორციელებელი არასაიდუმლო შესყიდვების შესახებ, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო შესასყიდი სამშენებლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება – 4 000 000 ლარს, აგრეთვე არანაკლებ წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით განხორციელებული არასაიდუმლო საქმიანობის შესახებ.**

კანონპროექტი პარლამენტში 2015 წლის 13 თებერვალს დარეგისტრირდა. მისი განხილვა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა. მესამე მოსმენაზე კანონპროექტი მიღებული იქნა 85 ხმით.

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს შეფასება“**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებები მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია შინაგან საქმეთა სამინისტროს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულების და სამინისტროს მიერ განხორციელებული შესყიდვების გამჭვირვალობისა და საზოგადოების უკეთ ინფორმირების თვალსაზრისით.

### 4.1.5 უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ

გამკაცრებული სავიზო რეგულაციები, რომლებიც 2014 წლის 1 სექტემბერს შევიდა ძალაში, არაერთხელ გახდა კრიტიკის საგანი როგორც სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნესსექტორის, ისე ხელისუფლების[34] წარმომადგენელთა მხრიდან. იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულმა ახალმა კანონმა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ გაუმართლებელი ბარიერები დაუწესა საქართველოში ტურისტული, ოჯახის გაერთიანების ან მუშაობის მიზნით ჩამოსვლის მსურველ უცხოელებს და ქვეყნის საინვესტიციო გარემოც დააზარალა[35].

კანონის ამოქმედებიდან (2014 წლის 1 სექტემბერი) 2015 წლის მაისამდე კანონი სამჯერ შეიცვალა, თუმცა კვლავ რჩებოდა მნიშვნელოვანი პრობლემები.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აქტიურად ადევნებდა თვალს ამ რეფორმას და არაერთხელ უსაუბრია საიმიგრაციო პოლიტიკაში არსებულ პრობლემებზე. ახალი კანონით შექმნილი მნიშვნელოვანი პრობლემები ორგანიზაციამ ჯერ კიდევ 2014 წელს აღწერა[36] და მთავრობას კონკრეტული რეკომენდაციებით მიმართა, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილი იქნა გათვალისწინებული. ქვეყნის სავიზო-საიმიგრაციო პოლიტიკაში კვლავ ბევრი პრობლემა რჩებოდა მოუგვარებელი, ამიტომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა

[33] http://goo.gl/GnbrZ8
[34] http://goo.gl/Sn3f4x
[35] http://goo.gl/0iP1sK
[36] http://goo.gl/0PO1UO

– საქართველომ“ პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მიმართა[37], რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იყო არსებული პრობლემების ეფექტიანი გადაწყვეტა[38]. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ საკანონმდებლო წინადადების წარდგენის შემდეგ, 13 მარტს საქართველოს მთავრობამ პარლამენტში დაარეგისტრირა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში შესატანი რიგით მეოთხე ცვლილებების პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული იყო „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ რეკომენდაციების დიდი ნაწილი. ორგანიზაცია აქტიურად იყო ჩართული საკომიტეტო განხილვებში, სადაც მთავრობის კანონპროექტთან ერთად განიხილებოდა მისი საკანონმდებლო წინადადებაც.

განხილვების შედეგად პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ თითქმის ყველა რეკომენდაცია გაიზიარა. საბოლოოდ პარლამენტმა 2015 წლის 8 მაისს მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები[39], რომელთა საფუძველზეც გაუქმდა არაგონივრული ბარიერების მნიშვნელოვანი ნაწილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე მუშაობისას, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ჩართულობით, მთავრობას, პარლამენტსა და არასამთავრობო სექტორს შორის შედგა წარმატებული თანამშრომლობა. მისასალმებელი იყო კანონპროექტის ავტორთა კონსტრუქციული დამოკიდებულება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ შენიშვნების მიმართ. ორგანიზაცია იმედს იტოვებს, რომ თანამშრომლობის ეს პრაქტიკა მომავალშიც შენარჩუნდება. კანონის ცვლილებების შედეგად, 2015 წლის 5 ივნისს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება[40], რომლის მიხედვითაც იმ ქვეყნების მოქალაქეები, რომელთაც საქართველოში უვიზოდ შემოსვლა შეუძლიათ, ქვეყანაში უვიზოდ ყოფნას 90 დღის ნაცვლად 360 დღის განმავლობაში შეძლებენ.

## „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს შეფასება“

საქართველოს პარლამენტმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ საკანონმდებლო წინადადებით შეთავაზებული ცვლილებების აბსოლუტური უმეტესობა გაითვალისწინა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საკანონმდებლო ორგანომ არ გაიზიარა, ეხებოდა ბინადრობის მოწმობაზე უარის თქმის საფუძვლის გაუქმებას პირის **საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის მიზანშეუწონლობის** მოტივით („უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი). **კანონის აღნიშნული ნორმა ბუნდოვანია და მისი ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობა პრაქტიკაში პრობლემებს წარმოშობს. საქართველოში ვიზის მისაღებად პირი მოწმდება უსაფრთხოების მიზნით, შესაბამისად, მეორედ იმავე მიზნით მისი შემოწმება ლოგიკურ საფუძველს მოკლებულია და დამატებით ხელოვნურ ბარიერს წარმოადგენს.**

---

[37] https://goo.gl/goz6dM
[38] ქართულ საიმიგრაციო პოლიტიკაში კვლავ პრობლემებია, 26 თებერვალი, 2015, http://goo.gl/nIcccd
[39] https://goo.gl/ZHR3hR
[40] იმ ქვეყნების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა https://goo.gl/0HG2xw

## 4.2 პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დახვეწას საჭიროებს

### 4.2.1 საჯარო სამსახურის რეფორმა

ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს საჯარო სამსახურში არაერთი რეფორმა განხორციელდა. 2015 წლის 11 ნოემბერს მიღებული იქნა „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონი[41], რომლის ძირითადი დებულებები 2017 წლის 1 იანვრიდან შევა ძალაში. კანონი საჯარო სამსახურის ბიურომ შეიმუშავა.

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს შეფასება“**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონის მიღება საკადრო პოლიტიკის რეგულირების თვალსაზრისით დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. **ასევე დადებითი მოვლენაა მოვალეობის შემსრულებლის მანკიერი ინსტიტუტის გარდაქმნა, საჯარო მოხელის ყოველწლიური შეფასებისა და სერტიფიცირების სისტემების დანერგვა, საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების გადამოწმების/მონიტორინგის სისტემის ამოქმედება.** თუმცა კანონში პრობლემურია შემდეგი საკითხები:

- **ამჟამად მოქმედი გამოსაცდელი ვადის მაქსიმალური ზღვრის 6 თვიდან 12 თვემდე გაზრდა.** 12-თვიანი გამოსაცდელი ვადა კვალიფიციურ კადრს შეუმცირებს საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყების მოტივაციას და გაზრდის თანამდებობის პირების მიერ უფლებამოსილების პოლიტიკური მიზნებით გამოყენების რისკს;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირების წრის გაფართოება, რომლებზეც არ ვრცელდე-ბა კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ და შესაბამისად თანამდებობაზე პირის კონკურსის საფუძველზე დანიშვნის წესი. **უკონკურსოდ დანიშვნის შემთხვევები მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი, რათა შემცირდეს დანიშვნის ამ წესთან დაკავშირებული ნეპოტიზმისა და პოლიტიკური პატრონაჟის რისკები.**

საჯარო სამსახურის რეფორმის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია „საერთაშორისო გამჭვირვლობა – საქართველოს“ კვლევაში[42] „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შეფასება[43].

### 4.2.2 კანონი ბიზნესომბუდსმენის შესახებ

2015 წლის 28 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ბიზნესომბუდსმენის შესახებ[44]“. კანონის შემუშავების მიზანი იყო ბიზნესომბუდსმენის უფლებამოსილების ცალკე საკანონმდებლო აქტით დარეგულირება. აღნიშნული კანონის მიღებამდე საგადასახადო ომბუდსმენის უფლებამოსილება, მისი საქმიანობის ძირითადი პრინციპები და ფორმები განისაზღვრებოდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 42-ე მუხლით და „საგადასახადო ომბუდსმენის უფლებამოსილების, საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა და ფორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის N92 დადგენილებით.

ბიზნესომბუდსმენის შესახებ კანონის საფუძველზე საგადასახადო ომბუდსმენი ჩანაც-ვლდა ბიზნესომბუდსმენის ინსტიტუტით. განისაზღვრა მისი საქმიანობის ძირითადი პრინციპები. ბიზნესომბუდსმენს თანამდებობაზე ნიშნავს პრემიერ-მინისტრი პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით. ბიზნესომბუდსმენის ხელფასის ოდენობა დგინდება პრემიერ-მინისტრის აქტით. კანონით განისაზღვრა ბიზნესომბუდსმენის უფლებამოსილების

[41] https://goo.gl/nfXLgv
[42] საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ საჯარო სამსახურის რეფორმის ზოგიერთ საკითხს აფასებს, 9 დეკემბერი, 2015, http://goo.gl/ZADzQ5
[43] საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონპროექტის დადებითი და უარყოფითი მხარეები, 22 სექტემბერი, 2015, http://goo.gl/X6nIdR
[44] http://goo.gl/FQtVKH

შეწყვეტის საფუძვლები, რომელთაგან ერთ-ერთი შეიძლება იყოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილება.

### „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს შეფასება“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მიესალმება ბიზნესომბუდსმენის საქმიანობის კანონით დარეგულირებას. თუმცა **მთავრობის დადგენილების შეცვლა კანონით და საგადასახადო ომბუდსმენის თანამდებობის ტერმინოლოგიური ცვლილება საკმარისი არ არის ამ ინსტიტუტის ფუნქციონირების სრულყოფისთვის**[45]. შესაბამის კანონპროექტთან დაკავშირებით ორგანიზაციას ჰქონდა რამდენიმე მნიშვნელოვანი შენიშვნა, რომლებიც არ იქნა გაზიარებული კანონის ინიციატორის – მთავრობის მიერ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ შენიშვნებში მითითებული იყო, რომ უნდა მომხდარიყო ბიზნესომბუდსმენის მიერ თანამდებობის დაკავების წესის იმგვარი ცვლილება, რომელიც ხელს შეუწყობდა უწყების ინსტიტუციური მდგრადობის გაუმჯობესებას და დამოუკიდებლობის გაზრდას. ამის განხორციელება პირველ რიგში შესაძლებელია ბიზნესომბუდსმენის პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდით და პარლამენტის მიერ მისი არჩევის და გათავისუფლების წესის დადგენით.[46]

### 4.2.3 კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ

საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 1 აპრილს მიიღო „შრომით მიგრაციის შესახებ“ კანონი. კანონის მიღების მიზანი იყო საქართველოში შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი ეფექტიანი მექანიზმების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობდა ქვეყანაში ლეგალურ შრომით მიგრაციას და გამორიცხავდა არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის შემთხვევებს. კანონით განისაზღვრა საქართველოს მოქალაქეთა, საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომითი მოწყობის საკითხი, ასევე იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმის ვალდებულებები, რომლებიც ახორციელებენ შრომით მოწყობასთან დაკავშირებულ საქმიანობას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

კანონპროექტის თავდაპირველი ვერსია[47] ითვალისწინებდა მოთხოვნის რეგისტრაციის ვალდებულებას, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: თუ ადგილობრივ დამსაქმებელს სურდა უცხოელის დასაქმება, შესაბამისი მოთხოვნა უნდა დაერეგისტრირებინა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 7 დღის ვადაში ვერ მოიძებნებოდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე საქართველოს მოქალაქე, დამსაქმებელს უფლება ჰქონდა უცხოელთან გაეფორმებინა შრომითი ხელშეკრულება. კანონპროექტი უარყოფითად შეფასდა ბიზნესსექტორისა და არასამთავრობო სექტორის დიდი ნაწილის მიერ, რის შედეგადაც კანონპროექტი მნიშვნელოვნად შეიცვალა და საბოლოო ვერსიაში აქცენტი ტრეფიკინგთან ბრძოლაზე გაკეთდა.

---

45 ახალმა კანონმა ბიზნეს ომბუდსმენის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გარანტიები უნდა შექმნას, http://goo.gl/5MPYja

46 „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“: „ახალმა კანონმა ბიზნესომბუდსმენის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გარანტიები უნდა შექმნას“, 18 მარტი, 2015, http://goo.gl/NJzWOR

47 http://goo.gl/grsG3F

### „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს შეფასება“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ კანონპროექტის განხილვის პროცესში არაერთი შენიშვნა და მოსაზრება დააფიქსირა[48]. მთავარი შენიშვნა ეხებოდა კანონპროექტის თავდაპირველი რედაქციით გათვალისწინებული მოთხოვნის დარეგისტრირებას, რის შედეგადაც სახელმწიფო უხეშად ერეოდა კერძო ურთიერთობებში, გაუმართლებელ ბარიერებს უქმნიდა კომპანიებს და ვერ უზრუნველყოფდა საკანონმდებლო ცვლილებების მიზნის მიღწევას. შედეგად იქმნებოდა დამატებითი ბიუროკრატიული მექანიზმები და იზრდებოდა სახელმწიფო აპარატის ხარჯები, ასევე არაკონსტიტუციურად ფართოვდებოდა მთავრობის უფლებამოსილება შრომით ურთიერთობებში. კანონპროექტის ამგვარი სახით მიღება უარყოფითად აისახებოდა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, განვითარების პერსპექტივებსა და საინვესტიციო გარემოზე. საბოლოოდ აღნიშნული ნორმები ამოღებული იქნა კანონპროექტიდან.

**„შრომითი მიგრაციის შესახებ“ კანონის მიღება დადებით მოვლენად უნდა შეფასდეს, რადგან საქართველოს ფარგლებს გარეთ საქართველოს მოქალაქის შრომითი საქმიანობა საჭიროებდა კანონმდებლობით რეგულირებას.**

### 4.2.4 ნარკოდანაშაულთან დაკავშირებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები

საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 8 ივლისს მხარი დაუჭირა ცვლილებებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (საკანონმდებლო ცვლილებების ავტორები იყვნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხოლო ინიციატორი – საქართველოს მთავრობა). ამ ცვლილებებით **ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა და გადაზიდვა გაიმიჯნა მათი უკანონო გასაღებისაგან და ასევე შეიცვალა სასჯელი. კერძოდ, აღნიშნული საშუალებების უკანონო დამზადების, წარმოების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის ან გადაგზავნისთვის სასჯელის მაქსიმალური ზღვარი 11 წლიდან 6 წლამდე შემცირდა.** რაც შეეხება გასაღებას, გამკაცრდა მასზე სასჯელი, რომელიც 6 წლიდან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთით განისაზღვრა. ასევე გამკაცრდა მიდგომა მაკვალიფიცირებელ ნორმებთან დაკავშირებითაც. კანონით განისაზღვრა „ნებაყოფლობით ჩაბარების“ შემთხვევაში პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 24 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლომ სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც მარიხუანას მოხმარებისთვის პირის დაპატიმრებას ითვალისწინებდა, არაკონსტიტუციურად გამოაცხადა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანა, რის გამოც მოსარჩელეს სისხლისსამართლებრივი ბრალი ჰქონდა წარდგენილი და პატიმრობა ემუქრებოდა, არ წარმოადგენს იმდენად დიდ ოდენობას, რომლის შენახვის ფაქტიც გასაღების მიზნის ან გასაღების რეალური საფრთხის არსებობაზე მიუთითებს. ამდენად, სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს პირადი მოხმარების მიზნით მარიხუანას შეძენა/შენახვისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას.

---

[48] შრომითი მიგრაციის შესახებ კანონპროექტი: ახალი, გაუმართლებელი ბარიერები ბიზნესისათვის, 9 თებერვალი, 2015, http://goo.gl/JhoOr4

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს შეფასება“**

ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადების, წარმოების, შეძენის, შენახვის და გადაზიდვის უკანონო გასაღებისგან გამიჯვნა წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

**მიზანშეწონილია სახელმწიფომ გადახედოს ნარკოპოლიტიკას, შეიმუშაოს ახალი სტანდარტების ერთიანი ხედვა და კანონმდებლობა დროულად მოიყვანოს შესაბამისობაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან.**

## 4.3 ნეგატიური საკანონმდებლო ცვლილებები

### 4.3.1 ეროვნული ბანკისგან საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის გამოყოფა

2015 წლის 3 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში. ეროვნულ ბანკს ჩამოერთვა საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია და გადაეცა სააგენტოს, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით ჩამოყალიბდა.

სამოქალაქო საზოგადოება, მათ შორის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ჩართული იყო კანონპროექტის განხილვაში და შენიშვნები გაუგზავნა საქართველოს პარლამენტს. კანონპროექტი კრიტიკულად შეაფასეს საპარლამენტო ოპოზიციამ, საქართველოს ბანკების ასოციაციამ, ბიზნესომბუდსმენმა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა, ასევე მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებმა. არასამთავრობო ორგანიზაციები უარყოფითად აფასებდნენ ამ რეფორმას. მათ ერთობლივი განცხადებაც კი გაავრცელეს[49], სადაც ხელისუფლებას მიუთითებდნენ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში მოსალოდნელ უარყოფით შედეგებზე. მიუხედავად ამისა, პარლამენტს კანონპროექტში არსებითი ცვლილება არ შეუტანია. პრეზიდენტმა აღნიშნულ კანონპროექტთა პაკეტთან დაკავშირებით გამოიყენა ვეტოს უფლება, რომლის გადალახვას მხარი 81-მა დეპუტატმა დაუჭირა.

2015 წლის 22 სექტემბერს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „თავისუფალმა დემოკრატებმა“ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს სარჩელით „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში ცვლილებების კონსტიტუციურობის შესახებ. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 12 ოქტომბრის საოქმო ჩანაწერით შეაჩერა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის იმ მუხლების მოქმედება, რომლებიც ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციას ზღუდავდა.[50] 2015 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა არსებითად განსახილველად მიიღო კონსტიტუციური სარჩელი „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდის რიგ საკანონმდებლო აქტებში, მათ შორის, „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილ ცვლილებებს, რომელთა შედეგადაც შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო და მას დაეკისრა იმ ფუნქციების განხორციელება, რომლებიც სადავო ნორმების ამოქმედებამდე ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას მიეკუთვნებოდა. მოსარჩელეთა განმარტებით სააგენტოს გადაეცა ის უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია ფინანსური სექტორის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობისთვის, რაც საქართველოს კონსტიტუციის 95-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების მიხედვით მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის კომპეტენციას მიეკუთვნება.

---

[49] არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება ეროვნული ბანკის შესახებ კანონში დაგეგმილი ცვლილების შესახებ, 29 მაისი 2015, http://goo.gl/tYBDK3

[50] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა არსებითად განსახილველად მიიღო კონსტიტუციური სარჩელი „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 12 ოქტომბერი, 2015, http://goo.gl/7T1ujn

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე სადავო ნორმების მოქმედებას შეეძლო ეჭვქვეშ დაეყენებინა არა მხოლოდ ქვეყნის საფინანსო-საბანკო სექტორის მდგრადობა, არამედ გამოეწვია კონკრეტული პირების (საბანკო ურთიერთობების მონაწილეები, ინვესტორები, მეანაბრეები) უფლებებისა და ინტერესებისთვის გამოუსწორებელი შედეგი და შეაჩერა სადავო ნორმების მოქმედება.

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს შეფასება“**

ორგანიზაცია ჯერ კიდევ კანონის მიღებამდე მიუთითებდა კანონპროექტის უარყოფით მხარეებზე. ამასთან ერთად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ სასამართლოს მეგობრის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს წარუდგინა საკუთარი მოსაზრებები კანონის გასაჩივრებული მუხლების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები დაკავშირებულია შემდეგ პრობლემებთან:

- ეროვნული ბანკი ინარჩუნებს საფინანსო სექტორის სტაბილურობის ხელშეწყობის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას, მაგრამ აღარ აქვს შესაბამისი ბერკეტები და ინსტრუმენტები;
- იქმნება საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო, რომელიც სრულად ითავსებს ეროვნული ბანკის საფინანსო სექტორზე ზედამხედველობის ფუნქციას, მაგრამ არ არის ეროვნული ბანკის დაქვემდებარებაში არსებული ერთეული;
- ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე, თუმცა სააგენტო ეროვნული ბანკის წინაშე ანგარიშვალდებული არ არის;
- ილახება ეროვნული ბანკის კონსტიტუციით გარანტირებული დამოუკიდებლობა, რადგან ბანკი ვალდებული ხდება გარკვეული მოქმედებები არა მიზანშეწონილობის, არამედ სააგენტოს მიმართვის საფუძველზე განახორციელოს.

**სამართლებრივი ნორმების ანალიზი ადასტურებს, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, რადგან ავიწროებს ეროვნული ბანკის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას და მას მხოლოდ ფორმალურ უფლებამოსილებებს უტოვებს.**

### 4.3.2 საკუთრებიდან პირის გამოსახლებასთან დაკავშირებული რეგულაციების შეცვლა

საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 11 დეკემბერს დიდი დისკუსიის შემდეგ მიიღო იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები (ავტორი: პარლამენტის წევრი პაატა კიკნაველიძე), რომლებიც ითვალისწინებდა სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში, ასევე „პოლიციის შესახებ“ და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონებში ცვლილებების შეტანას.

აღნიშნული **ცვლილებებით გაუქმდა სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც პირს უფლებას აძლევდა სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე უძრავი ნივთების უკანონო/არამართლზომიერი მფლობელების გამოსახლების მოთხოვნით პოლიციისთვის მიემართა, თუ სავარაუდო ხელმყოფი არ ფლობდა საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტს.**[51]

კანონპროექტი კრიტიკულად შეაფასეს საპარლამენტო ოპოზიციამ, საქართველოს ბანკების ასოციაციამ, ბიზნესომბუდსმენმა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა (მათ შორის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“), ასევე მსოფლიო ბანკისა და

[51] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“: „საკუთრებიდან გამოსახლების ახალი ინიციატივა საკუთრების უფლებას დაუსაბუთებლად ზღუდავს“, 29 ოქტომბერი, 2015, http://goo.gl/OXPXEN

საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებმა. წარმოდგენილმა ინიციატივამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია ბიზნესსექტორში.[52] გაიმართა არაერთი შეხვედრა კომიტეტის წარმომადგენლებთან. კანონპროექტი უარყოფითად შეაფასა სახალხო დამცველმაც.[53] განხილვის პროცესში კომიტეტის წევრები დახურულ შეხვედრაზე შეხვდნენ ბიზნესასოციაციის და აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლებს.[54]

კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვისას ცვლილება შევიდა ინიცირებულ ვარიანტში, რომლის მიხედვითაც გამონაკლისის სახით შესაძლებელია პოლიციის მეშვეობით გამოსახლება, თუ სახეზეა ბინაში ან სხვა საკუთრებაში თვითნებური შეჭრის დასაბუთებული ვარაუდი. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად ცვლილების საჭიროება გამოწვეული იყო არსებითი ხასიათის სამართლებრივი ხარვეზებით, რაც ავტორის აზრით 2007 წლის შემდეგ ახასიათებდა არსებულ არასასამართლო, მათ შორის, საპოლიციო წესით უძრავი ქონებიდან პირთა გამოსახლების ინსტიტუტს.

### „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" შეფასება

**ახალი რეგულაციები დაუსაბუთებლად ზღუდავს კანონიერი მესაკუთრის უფლებას. კანონით გათვალისწინებული წესი უარყოფით შედეგებს გამოიწვევს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საკრედიტო კავშირების, სალიზინგო და დეველოპერული კომპანიებისა და უძრავი ქონების ბიზნესში ჩართული მოქალაქეებისთვის**, რაც, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას მოახდენს ეკონომიკის ამ სექტორების განვითარებაზე. უარყოფითი შედეგების რისკები ვერ შეამცირა კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვის დროს განხორციელებულმა ცვლილებებმა. იმის მიუხედავად, რომ კანონის მიზანს შეიძლება წარმოადგენდეს უძრავი ქონების მფლობელთა, კონკრეტულად კი იპოთეკართა უფლებების დაცვა, რეალურად ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნება. კანონის ამოქმედების შემდეგ უძრავი ქონების მფლობელ პირებს მხოლოდ გარკვეული დრო მიეცემათ, სანამ მათი გამოსახლება სასამართლო წესით მოხდება. ასევე მნიშვნელოვნად გაიზრდება სასამართლოსთვის მიმართვების რაოდენობა, რისი ერთადერთი შედეგიც პირის გამოსახლების გაჭიანურება იქნება. შედეგად სასამართლოები კიდევ უფრო გადაიტვირთება, რაც უარყოფითად აისახება სხვა საქმეების განხილვის ვადებზე.[55]

### 4.3.3 ცვლილებები ნოტარიუსთა შესახებ კანონმდებლობაში

საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 10 დეკემბერს მიიღო საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული (ავტორი: იუსტიციის სამინისტრო) კანონპროექტები „ნოტარიატის შესახებ" კანონსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე. **კანონის ცვლილების თანახმად ახლად დანიშნული ნოტარიუსი პირველი 3 წლის განმავლობაში სანოტარო საქმიანობას განახორციელებს მაღალმთიან დასახლებაში ან ისეთ დასახლებაში, სადაც სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის. ნოტარიუსობის კანდიდატის უარი შესაბამის დასახლებაში განწესების შესახებ გამოიწვევს მის ნოტარიუსად დანიშვნაზე უარის თქმას**. ნოტარიუსს საქმიანობის ამ პერიოდის განმავლობაში სათანადო ფინანსურ დახმარებას გაუწევს ნოტარიუსთა პალატა. კანონში დაკონკრეტებული არ არის, რა სახის ფინანსურ დახმარებაზეა საუბარი. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით ფინანსურ დახმარებაში იგულისხმება მცირეშემოსავლიანი ნოტარიუსებისთვის ყოველთვიური ასლარიანი დახმარების გაცემა, ზოგიერთ შემთხვევაში კი ბინის ქირის საფასურის ანაზღაურება და საჭირო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა.

---

[52] http://goo.gl/Dz5FEo
[53] http://goo.gl/Npg5JX
[54] http://goo.gl/LGxXsp
[55] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო": „რა საფრთხეებს შეიცავს კერძო საკუთრებიდან არამართლზომიერი მფლობელის გამოსახლების ინიციატივა", 5 ივნისი, 2015, http://goo.gl/2RYJf1

## „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ შეფასება

**სანოტარო მომსახურებასთან დაკავშირებით კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები გაუმართლებელ შეზღუდვებს აწესებს. არსებული შინაარსით „ნოტარიატის შესახებ“ კანონი ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას – ქვეყნის მოსახლეობის იმ ნაწილის სანოტარო მომსახურებით უზრუნველყოფას, რომელიც ამჟამად ამ მომსახურების მიღების შესაძლებლობას მოკლებულია. სახელმწიფოს მიერ ნოტარიუსთა საქმიანობაში უხეში ჩარევა ამ დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვან გრძელვადიან რისკებს წარმოშობს.**[56]

კანონით შემოთავაზებული რეგულირება წარმოადგენს ნოტარიუსთა შრომით უფლებებში უხეშ ჩარევას. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 13 ნოემბრის საოქმო ჩანაწერში ნოტარიუსის ინსტიტუტთან დაკავშირებით განმარტა, რომ ნოტარიუსის თანამდებობა განხილული უნდა იქნეს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფო თანამდებობად, რომლის დაკავების კანონით განსაზღვრული პირობები უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის აღნიშნულ ნორმას. შესაბამისად, ეს პირობები გონივრული უნდა იყოს და თანამდებობის დასაკავებლად ხელოვნურ ბარიერებს არ უნდა ქმნიდეს. კანონით შემოთავაზებული რეგულირება ასევე აჩენს კითხვებს, რამდენად შეესაბამება ამგვარი დამატებითი ვალდებულებების დაკისრება კონსტიტუციის მოთხოვნებს.

### 4.3.4 სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონი

2015 წლის 19 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის“ შესახებ. კანონპროექტის ავტორი და ინიციატორი იყო თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი.

კანონის თანახმად:

- გაფართოვდა იმ ნორმატიული აქტების წრე, რომლებიც შეიძლება მიეკუთვნებოდეს სახელმწიფო საიდუმლოებას. ადრე მოქმედი საკანონმდებლო ნორმებით სახელმწიფო საიდუმლოება შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ის ნორმატიული აქტები, რომლებიც აწესრიგებდა თავდაცვის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, ფინანსთა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების, საქართველოს დაზვერვის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შიდა საქმიანობას თავდაცვის, უსაფრთხოებისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მიზნით. კანონის საბოლოო რედაქციაში ტერმინი „შიდა საქმიანობა“ ამოღებულია. შესაბამისად, აღნიშნული სტრუქტურების მიერ გამოცემული ნებისმიერი ნორმატიული აქტი შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფო საიდუმლოებას;
- გართულდა სახელმწიფო საიდუმლოებასთან პირის დაშვების მექანიზმები. სახელმწიფო საიდუმლოებასთან პირის დაშვებაზე უარის თქმის საფუძველს დაემატა კრიტერიუმი „საიმედოობისა და სანდოობის დაბალი ხარისხი“, ხოლო პირის შემოწმების ვადა 1 თვიდან გაიზარდა 3 თვემდე, რომელიც 3 თვით შეიძლება გაგრძელდეს;

პირისათვის საიდუმლო ინფორმაციის განსაიდუმლოების შესახებ უარის თქმის შემთხვევაში სახელმწიფო ორგანო ვალდებული აღარ არის აცნობოს მას **დასაბუთებული წერილობითი უარი**. ამ ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში თანამდებობის პირს ეძლევა უფლება, მოქალაქის მოთხოვნას უპასუხოს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე და მხოლოდ ცნობად მიაწოდოს მიღებული გადაწყვეტილების შედეგი.

---

[56] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“: „ახალი კანონპროექტი ნოტარიული მომსახურების გამართულ ფუნქციონირებას საფრთხეს შეუქმნის“, 15 ოქტომბერი, 2015, http://goo.gl/ope9Wk

### „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ შეფასება

განმარტებითი ბარათის თანახმად კანონპროექტის მიზანი იყო სახელმწიფო საიდუმლოების სფეროში საზოგადოებრივი ურთიერთობების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწესრიგება. ამ მიზნის მიუხედავად, **კანონი შეიცავს რიგ დებულებებს, რომლებიც არ შეესაბამება საერთაშორისო, მათ შორის, ევროპულ სტანდარტებს და ამ თვალსაზრისით მდგომარეობას აუარესებს**.

ნორმატიული აქტები საზოგადოების მაღალი ინტერესის საგანია და მათი ხელმისაწვდომობა პირდაპირ კავშირშია ადამიანის უფლებების დაცვასა და დემოკრატიულ მმართველობასთან. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვებისთვის პირის შემოწმებისათვის დადგენილი „სანდოობისა და საიმედოობის“ ბუნდოვანი კრიტერიუმი, შემოწმების სამჯერ გაზრდილი ვადა და უარის შემთხვევაში დასაბუთებული წერილობითი პასუხის ვალდებულებისგან სახელმწიფო ორგანოს გათავისუფლება **აუარესებს პირის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, ზრდის ისედაც დახურული სისტემის დაუსაბუთებლად ჩაკეტვის რისკს და სამართალდამცავი ორგანოს მიერ საკითხის სუბიექტური საფუძვლით გადაწყვეტის ალბათობას**.

## 4.3.5 ნაფიც მსაჯულთა მიერ განსჯადობის შემცირება

2015 წლის 19 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის წევრების (მანანა კობახიძე, დავით საგანელიძე, გედევან ფოფხაძე, ზვიად კვაჭანტირაძე და პაატა კიკნაველიძე) საკანონმდებლო ინიციატივას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. ცვლილების თანახმად გაუქმდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 330-ე მუხლის $3^1$ ნაწილი. შესაბამისად, მსაჯულთა მონაწილეობით სასამართლოები აღარ განიხილავენ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლში მითითებული თანამდებობის პირის სისხლის სამართლის საქმეს, რომელსაც ეკავა ან უკავია შესაბამისი თანამდებობა და აგრეთვე იმ პირთა საქმეებს, რომლებსაც ბრალი ედებათ აღნიშნულ პირთან ერთად დანაშაულის ჩადენაში.

### „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ შეფასება

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად უარყოფითად შეაფასა[57] ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მოქმედების არეალის შემცირება.

საქართველოში ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღება დადებითად შეფასდა საქართველოს პარტნიორი სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების მიერ. თუმცა ამ ინსტიტუტის ამოქმედებისთვის ხელისუფლების მხრიდან საკმარისი ნაბიჯები არ გადადგმულა. საქართველოში ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი სრულად 2014 წლის 1 ოქტომბერს უნდა ამოქმედებულიყო. საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 18 სექტემბერს მიიღო კანონი, რომლის საფუძველზეც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის სრულად ამოქმედება 2016 წლის 1 ოქტომბრამდე გადაიდო.

[57] კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის არ ეთანხმება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობის შემცირების ინიციატივას, 21 იანვარი, 2015, http://goo.gl/BFAHXU

**ნაფიც მსაჯულთა განსჯადობის არეალის შემცირება საჭიროებს დასაბუთებულ არგუმენტაციას. ნაფიც მსაჯულთა განსჯადობის არეალის შემცირების საკითხი პოლიტიკური მოტივების ან იურიდიული გემოვნების მიხედვით არ უნდა წყდებოდეს და არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ იმაზე, რამდენად მოსწონთ ან არ მოსწონთ პარლამენტის წევრებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი**. ნაფიც მსაჯულთა მანდატთან დაკავშირებული დისკუსია სისტემური მსჯელობის ფარგლებში უნდა იყოს მოქცეული.

### 4.3.6 შუღლის გაღვივების კრიმინალიზება

2015 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტმა სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანა ცვლილება, რომლის მიხედვითაც **რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს, ისჯება ჯარიმით ორასიდან ოთხას ლარამდე ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით. იგივე ქმედება, რასაც მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით**.

#### „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" შეფასება

კანონპროექტი ინიციირებისთანავე უარყოფითად შეფასდა[58] სამოქალაქო სექტორის მიერ. კანონპროექტის ინიციატორმა საკომიტეტო განხილვების დროს გაითვალისწინა არასამთავრობო ორგანიზაციების შენიშვნები, რის შედეგადაც შეიცვალა ნორმის ფორმულირება. დასჯადი ქმედების დეფინიციას დაემატა „ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირი და არსებითი საფრთხე". იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით საკანონმდებლო ცვლილებები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, **სახელმწიფოს მცდელობა, მოახდინოს გამოხატვის თავისუფლების რეგულირება, წარმოადგენს უკან გადადგმულ ნაბიჯს დემოკრატიის და სიტყვის თავისუფლების განვითარებისთვის**.

### 4.3.7 მოწმის დაკითხვის წესთან დაკავშირებული ცვლილებები

2015 წლის 18 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეიტანა ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც დადგინდა მოწმის დაკითხვის ახალი წესი.

სისხლის სამართლის პროცესში ცვლილება, რომელიც მოწმეთა მხოლოდ სასამართლო პროცესზე დაკითხვას ითვალისწინებდა, 2009 წელს იქნა მიღებული, თუმცა მიღების შემდეგ მისი ამოქმედება შვიდჯერ გადავადდა.

2015 წელს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის საქმიანობაშიც პარლამენტისა და მთავრობის წევრებთან ერთად არასამთავრობო სექტორიც მონაწილეობდა. სამუშაო ჯგუფმა ვერ შეძლო შესაბამისი კანონპროექტის შემუშავება. საბოლოოდ საკანონმდებლო ორგანომ მხარი დაუჭირა მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილ იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონპროექტს.

[58] არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება შუღლის გაღვივების თაობაზე ინიცირებულ კანონპროექტთან დაკავშირებით, 23 იანვარი, 2015, http://goo.gl/HKfhr4

კანონით გათვალისწინებულია მოწმის მიერ ნებაყოფლობით გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში მისი იძულების წესით მაგისტრანტ მოსამართლესთან დაკითხვის შესაძლებლობა. ეს უფლებამოსილება ენიჭება მხოლოდ ბრალდების მხარეს. მაგისტრანტ მოსამართლესთან დასაკითხად ბრალდების მხარემ უნდა დაასაბუთოს, რომ პირი ფლობს საქმის გარემოებებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ინფორმაციას. მოსამართლე აკმაყოფილებს ბრალდების მხარის შუამდგომლობას, თუ სახეზეა შესაბამისი მტკიცებითი სტანდარტი – საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ დასაკითხი პირი მართლაც ფლობს საჭირო ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმის გარემოებებზე.

კანონპროექტში ასევე განმარტებულია აღნიშნული მტკიცებითი სტანდარტი. განმარტების მიხედვით ის სახეზეა მაშინ, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი.

### „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ შეფასება

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აქტიურად იყო ჩართული კანონპროექტის საკომიტეტო განხილვებში. საკანონმდებლო ცვლილებები შეფასდა „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ კოალიციასთან ერთად[59]. კოალიციის შეფასებით **იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ცვლილებებით მკვიდრდება საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისთვის პრინციპულად შეუთავსებელი ელემენტები, უარესდება დაცვის მხარის სამართლებრივი მდგომარეობა და ზოგადად საფრთხე ექმნება მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპებს**. ამ წესის ამოქმედება მომავალში არაერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ და პრაქტიკულ პრობლემას შექმნის.

## 4.4 რეფორმა სამართალდამცავ სფეროში

### 4.4.1 შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა

საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 8 ივლისს მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის ინიციატივას და მიიღო კანონი „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“, ასევე ცვლილებები შეიტანა სხვა შესაბამის მოქმედ კანონებში. ამ საკანონმდებლო ცვლილებების მიზანი იყო უსაფრთხოების სამსახურის შინაგან საქმეთა სამინისტროსგან გამოყოფა და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა. **ახალი კანონით „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ შეიქმნა ახალი სტრუქტურა – უსაფრთხოების სამსახური, რომელსაც აქვს ანალიზის, სამართალდაცვის, ძალის გამოყენების პრევენციის და გამოძიების ფუნქცია**.

### „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს შეფასება“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ჩართული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმასთან დაკავშირებული კანონპროექტის საკომიტეტო განხილვებსა და საჯარო შეხვედრებში. ორგანიზაციის შენიშვნების მცირე ნაწილი გაზიარებული იქნა კანონპროექტის ინიციატორის მიერ, თუმცა არა ის შენიშვნები, რომლებიც ყველაზე პრინციპულ საკითხებს ეხებოდა.

---

[59] კოალიციის შეფასება მოწმეთა დაკითხვის წესში შესატან ცვლილებებზე, 30 ნოემბერი, 2015, http://goo.gl/eMY55D

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მიესალმება შინაგან საქმეთა სამინისტროდან უსაფრთხოების სამსახურის გამოყოფას, რადგან ერთი სტრუქტურის ხელში თავმოყრილი ჭარბი ძალაუფლება ყოველთვის წარმოშობს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკს. თუმცა „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ კანონი არის კარგი იდეის ცუდად განხორციელების მაგალითი, ვინაიდან ერთი ძლევამოსილი სამინისტროს დაშლის შედეგად იქმნება ორი სტრუქტურა – ჭარბი ძალაუფლებით, დუბლირებული ფუნქციებით და უფლებამოსილების გადამეტების მაღალი რისკით. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ შეიძლება შეფასდეს, როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის ვრცელი შეფასება გამოქვეყნებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ვებგვერდზე[60]. ამჯერად ყურადღება გამახვილებულია რამდენიმე პრინციპულ პრობლემატურ საკითხზე:

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ჭარბი ძალაუფლებით, გამჭვირვალობის დაბალი სტანდარტებით და ინფორმაციის მოპოვების ფარული მეთოდებით სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და ადამიანის უფლებათა დარღვევის თვალსაზრისით;
- არ არსებობს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გარე კონტროლის ეფექტიანი მექანიზმები, რის გამოც იქმნება დახურული უწყება, მასში თავმოყრილი უამრავი პერსონალური მონაცემებით და კონტროლის არარსებული მექანიზმებით;
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს უნარჩუნდება უფლებამოსილება, ჰყავდეს მუდმივი წარმომადგენელი როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში, ისე კერძო სტრუქტურებში. ე. წ. „ოდეერების“ ინსტიტუტი რეფორმას კი არ საჭიროებდა, არამედ აუცილებელი იყო უარის თქმა ამ მავნე პრაქტიკაზე;
- ტექნიკური მოწყობილობები, რომელთა მეშვეობითაც ფარული მოსმენები ხორციელდება და დაკავშირებულია უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მაღალ რისკთან, კვლავ იმ ორგანოს ხელში რჩება, რომელსაც საგამოძიებო, პრევენციული და სამართალდაცვითი მიზნები ამოძრავებს და შესაბამისად პროფესიულად არის დაინტერესებული, მოიპოვოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია.

### 4.4.2 პროკურატურის რეფორმა

საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 18 სექტემბერს მიიღო „პროკურატურის შესახებ“ კანონში საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული ცვლილებები. ამ ცვლილებების მიზანი იყო პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდა საპროკურორო საბჭოსა და პროკურორთა კონფერენციის შექმნის გზით, პროკურატურის ანგარიშვალდებულების ნათლად განსაზღვრა, მთავარი პროკურორის დანიშვნის/გათავისუფლების კრიტერიუმების რეგულირება.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა ახალი უწყება – საპროკურორო საბჭო, რომლის ძირითადი ფუნქციებია მთავარი პროკურორის დანიშვნასა და გათავისუფლებაში მონაწილეობა. საპროკურორო საბჭო შედგება 15 წევრისგან. საბჭოს თავმჯდომარეა იუსტიციის მინისტრი; საბჭოს 4 წევრი აირჩევა საქართველოს პარლამენტის მიერ.

---

[60] შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის შეფასება, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 9 ივლისი, 2015, http://goo.gl/knPpzb

კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ არაერთხელ გამოეხმაურა[61] აღნიშნულ პროცესს და საჯაროდ წარადგინა დასკვნები[62] კანონპროექტზე. კოალიცია აღნიშნავდა, რომ მხოლოდ მთავარი პროკურორის შერჩევის/დანიშვნის და განთავისუფლების ახალი წესის დადგენა საკმარისი არ არის პროკურატურის სისტემის რეფორმირებისთვის. შესაბამისად, მიმდინარე პროცესი ვერ ჩაითვლება პროკურატურის სისტემის რეფორმად.

## „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს შეფასება“

საპროკურორო საბჭოს შექმნა **პოზიტიური ნაბიჯია, თუმცა ეფექტიანი და დამოუკიდებელი საპროკურორო საბჭოს არსებობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი დაკომპლექტების წესზე**.

საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტების წესი, ასევე მთავარი პროკურორობის კანდიდატის შერჩევის საკვალიფიკაციო/პროფესიული კრიტერიუმები, დანიშვნისა და განთავისუფლების წესი **ვერ უზრუნველყოფს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე საუკეთესო კანდიდატის პროფესიული ნიშნით შერჩევას და მთავარი პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნის პროცესის აპოლიტიკურ ხასიათს**.

კანონთან დაკავშირებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ძირითადი შენიშვნებია:

- მთავარი პროკურორობის კანდიდატს პარლამენტი ამტკიცებს ხმების უბრალო უმრავლესობით, რისთვისაც საკმარისია მხოლოდ მმართველი პოლიტიკური ძალის მხარდაჭერა. ამ წესს ვერც საპროკურორო საბჭოში კანდიდატის შერჩევის წესი აბალანსებს, რადგან კანონი უშვებს შესაძლებლობას, რომ საპროკურორო საბჭოში შეირჩეს მხოლოდ მმართველი პოლიტიკური ძალისთვის მისაღები კანდიდატი;
- იუსტიციის მინისტრი რჩება საპროკურორო საბჭოს ხელმძღვანელად, ინარჩუნებს მთავარი პროკურორობის კანდიდატების ერთპიროვნულად ნომინირების უფლებამოსილებას და ასევე აქვს მნიშვნელოვანი უფლებები საპროკურორო საბჭოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით;
- კანონპროექტით ნათლად არ არის განსაზღვრული საკვალიფიკაციო/პროფესიული კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მთავარი პროკურორობის კანდიდატი, რის გამოც საპროკურორო საბჭო იზღუდება იუსტიციის მინისტრის ერთპიროვნული არჩევანით;
- კანონის განახლებული რედაქცია კვლავ იწვევს ისეთ სისტემურ პრობლემებს, როგორიცაა მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გადაყენების ზედმეტად პოლიტიზირებული პროცედურები, აღნიშნულ პროცესში მონაწილე დროებითი პროკურორის შერჩევის/დანიშვნის ხარვეზიანი მექანიზმები, მის მიერ საქმის წარმოების ბუნდოვანი ხასიათი, მთავარი პროკურორის არასაკმარისი სამართლებრივი გარანტიებით აღჭურვა და მთლიანი პროცესიდან სასამართლოს ჩართულობის გამორიცხვა. ასევე ბუნდოვანია მთავარი პროკურორის დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურები.

[61] კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის ეხმაურება პარლამენტის მიერ პროკურატურის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების მესამე მოსმენით მიღებას, http://goo.gl/xOFwwM
[62] http://goo.gl/MIA2Cc

## საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დაინტერესდა, რამდენად არიან ინფორმირებული საქართველოს მოქალაქეები პროკურატურის რეფორმის შესახებ.

**დიაგრამა 3. საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები პროკურატურის რეფორმასთან დაკავშირებით**




## საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებზე

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ხელისუფლების წყარო ხალხია. პარლამენტი ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა, ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოა, რას ფიქრობს ხალხი მათ წარმომადგენლებსა და იმ ინსტიტუტის ფუნქციონირებაზე, რომელიც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს. მართალია ხალხის განწყობას საუკეთესოდ არჩევნები გამოხატავს, მაგრამ არჩევნებიდან არჩევნებამდე იცვლება მოქალაქეების დამოკიდებულება როგორც ინსტიტუციების, ისე პოლიტიკოსების მიმართ. შესაბამისად, საზოგადოებრივი აზრის ცოდნა საკანონმდებლო ორგანოს და მის მიერ მიღებული კანონების შესახებ სასარგებლო იქნება თავად პარლამენტის წევრებისთვის, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება მათ საქმიანობაზე.

**დიაგრამა 4. საზოგადებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები პარლამენტის მიერ მიღებული კანონების შესახებ**

,,რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას:
პარლამენტი ამტკიცებს საქართველოსთვის სასიკეთო კანონებს
(დასახლების ტიპის მიხედვით)



# თავი 5 | საპარლამენტო კონტროლი

საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის თანახმად საქართველოს პარლამენტი ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა, რომლის ძირითად ფუნქციას, საკანონმდებლო საქმიანობასა და ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრასთან ერთად, წარმოადგენს მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არსებობს საპარლამენტო კონტროლის რამდენიმე მექანიზმი:

- პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენა;
- პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კომიტეტების სხდომებზე მიწვევა;
- სადეპუტატო შეკითხვა;
- სამთავრობო საათი;
- საგამოძიებო კომისიის შექმნა;
- ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობის კონტროლი;
- ნდობის ჯგუფის საქმიანობა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" შეისწავლა 2015 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ კონტროლის თითოეული მექანიზმის პრაქტიკული გამოყენება. საკანონმდებლო ორგანოს **საპარლამენტო კონტროლის რამდენიმე მექანიზმი საერთოდ არ გამოუყენებია**, მაგალითად, არ ჩატარებულა სამთავრობო საათი.

**უმცირესობის მიერ დაყენებული 5 მოთხოვნის მიუხედავად, არც ერთხელ არ შექმნილა დროებითი საგამოძიებო კომისია.**

**მთავრობის აქტებზე კონტროლი არაეფექტიანია და გაძლიერებას საჭიროებს.**

სადეპუტატო შეკითხვის გამოყენების შესაძლებლობას **დეპუტატები ზოგჯერ არამიზნობრივად იყენებენ** და ინტერესდებიან კონკრეტული პირის ან დაწესებულების შესახებ ინფორმაციით. სადეპუტატო კითხვებზე პასუხების გაცემის პრაქტიკიდან გამოიკვეთა, რომ **უმეტეს შემთხვევაში პასუხის გაცემის წესები და პროცედურა დარღვეულია.**

პარლამენტის წევრების **ათკაციანი ჯგუფის და ფრაქციების მიერ სადეპუტატო შეკითხვა 2015 წელს გამოყენებული არ ყოფილა**.

## 5.1 პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენა

კონსტიტუციის 48-ე მუხლის მიხედვით პარლამენტი კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას. პარლამენტის რეგლამენტის მე-3 მუხლის შესაბამისად პარლამენტის პრეროგატივას წარმოადგენს მის წინაშე ანგარიშვალდებული პირებისა და ორგანოების საპარლამენტო კონტროლი. საქართველოს კონსტიტუცია და პარლამენტის რეგლამენტი განსაზღვრავს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების განხილვის წესს, რომლის შესაბამისადაც საანგარიშო პერიოდში პარლამენტმა:

- 18 სექტემბრის პლენარულ სხდომაზე ცნობად მიიღო კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის ანგარიში და ინფორმაცია 2015-2017 წლებში კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ;

- 27 ივნისის პლენარულ სხდომაზე ცნობად მიიღო სსიპ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის საქმიანობის ანარიში;
- 28 მაისს მოიწონა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის შესახებ 2014 წლის ანგარიში;
- 3 ივლისის პლენარულ სხდომაზე მოისმინა 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულე-ბის შესახებ მთავრობის ანგარიში;
- 1 მაისს მოისმინა და დადებითად შეაფასა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2014 წლის ანგარიში პერსონალური მონაცემების დაცვის მდგომარეობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობის შესახებ;
- 3 ივლისს მოისმინა 2014 წელს საქართველოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიში.

### 5.1.1 სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და ეროვნული ბანკის ანგარიშების მოსმენა

საქართველოს პარლამენტს პლენარულ სხდომაზე არ მოუსმენია **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის** და ეროვნული ბანკის 2015 წლის საქმიანობის ანგარიშები. ეს ანგარიშები პარლამენტს არც 2014 წელს მოუსმენია. პარლამენტის რეგლამენტის მე-3 მუხლის თანახმად პარლამენტის პრეროგატივას წარმოადგენს **პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირებისა და ორგანოების საპარლამენტო კონტროლი**. პარლამენტის რეგლამენტის 227-ე მუხლის და 239-ე მუხლის მიხედვით პარლამენტი საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით აკონტროლებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობას. პარლამენტი წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 ივნისისა, ისმენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ანგარიშს. ამ ანგარიშის განხილვის შემდეგ პარლამენტი იღებს შესაბამის დადგენილებას. კანონის მოთხოვნის მიუხედავად, მოისმინოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიში და მიიღოს შესაბამისი დადგენილება, პარლამენტი არ ასრულებს აღნიშნულ ვალდებულებას.

პარლამენტის რეგლამენტის 239-ე მუხლის თანახმად, პარლამენტის წინაშე ანგარიშ-ვალდებული საქართველოს ეროვნული ბანკი – საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი, აგრეთვე საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო ყოველწლიურად, საფინანსო წლის დამთავრებიდან არაუგვიანეს 4 თვისა, პარლამენტს წარუდგენენ თავიანთი საქმიანობის წლიურ ანგარიშებს.

2015 წელს საქართველოს პარლამენტს პლენარულ სხდომაზე არ განუხილავს **საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარდგენილი ანგარიში**. ეს საკითხი აქტუალური იყო განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა გააუარესა და ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ხშირად ისმოდა პრეტენზიები ეროვნული ბანკის ქმედებების მიმართ. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა არაერთხელ მოითხოვა ანგარიშის პლენარულ სხდომაზე მოსმენა.

გაუგებარია, რა საფუძვლით ამბობდა უარს საქართველოს პარლამენტი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებზე. აუცილებელია, რომ პარლამენტმა რეგლამენტის ნორმების შესაბამისად მოისმინოს მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშები.

### 5.1.2 პარლამენტის კომიტეტების მიერ ანგარიშების მოსმენა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კომიტეტების სხდომებზე მიწვევა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დაინტერესდა, რომელი უწყებების ანგარიშების მოსმენა განხორციელდა კომიტეტების სხდომებზე, რამდენი სხდომა დაეთმო ამ საკითხების განხილვას და ანგარიშვალდებული ორგანოების რამდენი ხელმძღვანელი იქნა მიწვეული კომიტეტების სხდომებზე.

პარლამენტის რეგლამენტის 45-ე მუხლის თანახმად საქართველოს მთავრობის წევრი, პარლამენტის მიერ არჩეული თანამდებობის პირი, აგრეთვე თანამდებობის პირი, რომლის დანიშვნაზეც პარლამენტმა თანხმობა მისცა, უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, **დაესწროს კომიტეტის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში**. ასეთ თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს კომიტეტმა.

კომიტეტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში მითითებული არ არის, რომელი უწყებების ანგარიშების მოსმენა განხორციელდა, ასევე – ვინ წარმოადგენდა კონკრეტულ უწყებას. კომიტეტების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში არ ჩანს, კომიტეტების სხდომებზე მთავრობისა და სხვა სტრუქტურების წარმომადგენელთა მიწვევა ანგარიშების მოსმენის მიზნით განხორციელდა თუ კომიტეტების მიერ სხვა აქტუალური და პრობლემური საკითხების განხილვისას.

**საკითხის შესწავლის დროს გამოიკვეთა ორი ძირითადი პრობლემა:**

- განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკასთან შედარებით, პარლამენტის კომიტეტები კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტროლის ამ შესაძლებლობას ეფექტიანად და სათანადო სიხშირით არ იყენებენ;
- მთავრობის წევრები სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან საპარლამენტო კომიტეტების მიმართ ანგარიშვალდებულებას და უმეტეს შემთხვევაში სამინისტროს არა მინისტრი, არამედ მინისტრის მოადგილე ან/და სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები წარმოადგენენ.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია 2015 წელს ცალკეული კომიტეტების მიერ ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენის შესახებ:

1. **აგრარულ საკითხთა კომიტეტმა** ანგარიშვალდებული ორგანოების მოსმენას 8 სხდომა დაუთმო, რომლებსაც ესწრებოდნენ მთავრობის წევრები და შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელი პირები, კერძოდ: სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობის ანგარიში და განვითარების სამოქმედო გეგმა – სტრატეგია წარადგინა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ, ინფორმაცია მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ წარადგინა სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნოდარ კერესელიძემ.
2. **ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა** ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენას 22 სხდომა დაუთმო, რომლებსაც ესწრებოდნენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე; იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი; იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე; შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი და მისი მოადგილე; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი და მისი მოადგილე; ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი და მისი მოადგილე; თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი; მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე და მისი მოადგილე; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე; განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ორი მოადგილე; ფინანსთა მინისტრის მოადგილე; საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის

მინისტრის მოადგილე; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე; საქართველოს სახალხო დამცველი, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები; საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი; სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის მოადგილე; საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე; საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე.

3. **განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა** მთავრობის და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენას დაუთმო 7 სხდომა, რომლებსაც ესწრებოდნენ ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძე; კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და მისი მოადგილე გიორგი ბაქრაძე; განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე და მისი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი; მთავრობის სხვა წარმომადგენლები. ანგარიშების მოსმენის გარდა, კომიტეტს სხვა შემთხვევებში მთავრობის წევრები არ მიუწვევია.
4. **გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა** მოისმინა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული შემდეგი ორგანოების ანგარიშები: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო, პოლიტიკის სამსახურისა და სსიპ სატყეო-საბაზისო სანერგე მეურნეობა (2013-2014 წლების საქმიანობის ანგარიშები), გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. ანგარიშების მოსმენის გარდა, კომიტეტს სხვა შემთხვევებში მთავრობის წევრები არ მიუწვევია.
5. **დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა** მთავრობისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების მოსმენას 12 სხდომა დაუთმო, მათ შორის, 6 სხდომა დაეთმო მთავრობის ანგარიშის მოსმენას, კერძოდ: 1 სხდომა ეხებოდა ლარის კურსს (ესწრებოდნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და ფინანსთა მინისტრები, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი), 1 სხდომა – კახეთში მიმდინარე რთველს (ესწრებოდა სოფლის მეურნეობის მინისტრი), 2 სხდომა – სამთავრობო პროგრამისთვის და მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს (ესწრებოდნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ფინანსთა, რეგიონული ინფრასტრუქტურისა და განვითარების და სოფლის მეურნეობის მინისტრები), 2 სხდომა – სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს (ესწრებოდნენ ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და ენერგეტიკის მინისტრების მოადგილეები). სხდომებს ასევე ესწრებოდნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გამგებლობაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები, ენერგეტიკის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სააგენტოს ხელმძღვანელი და 3 საჯარო სამართლის იურიდიული პირის წარმომადგენლები. 2 სხდომა დაეთმო მარეგულირებელი ორგანოების ანგარიშების მოსმენას, კერძოდ: 1 სხდომა ეხებოდა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ანგარიშს (ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები), ხოლო მეორე – კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ანგარიშს (ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები). 1 სხდომა დაეთმო საზოგადოებრივი მაუწყებლის ანგარიშს (ესწრებოდნენ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე და წევრები); 1 სხდომა გაიმართა „საქსტატის“ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ (ესწრებოდნენ „საქსტატის“ აღმასრულებელი დირექტორი და მისი მოადგილეები); 1 სხდომა გაიმართა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით (ესწრებოდა ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს თავმჯდომარე); 1 სხდომა ჩატარდა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ (ესწრებოდნენ სააგენტოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე). დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში კომიტეტის სხდომაზე 6 მთავრობის წევრი მიიწვია. სხდომებს მთავრობის ექვსივე წევრი დაესწრო.
6. **დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტმა** ანგარიშვალდებული ორგანოების მოსმენას 14 სხდომა დაუთმო, რომლებსაც ესწრებოდნენ როგორც მინისტრები, ისე მათი მოადგილეები. თუმცა წარმოდგენილ ინფორმაციაში კომიტეტმა არ მიუთითა,

კონკრეტულად რომელმა უწყებებმა წარადგინეს ანგარიშები და ვინ წარადგინა ისინი. კომიტეტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში ზოგადად აღნიშნულია, რომ კომიტეტის სხდომებში არაერთხელ მონაწილეობდნენ და ანგარიშებს წარადგენდნენ საგარეო საქმეთა მინისტრები და მათი მოადგილეები, ფინანსთა მინისტრი და მისი მოადგილე, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი და მისი მოადგილე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე, იუსტიციის მინისტრის მოადგილე, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, მთავრობის სხვა წევრები და სახალხო დამცველის პირველი მოადგილე. ანგარიშების მოსმენის გარდა, კომიტეტს სხვა შემთხვევებში მთავრობის წევრები არ მიუწვევია.

7. **ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა** საანგარიშო პერიოდში მოისმინა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიში „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების" და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ; აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიში „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების" (DCFTA) განხორციელების თაობაზე; ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიშები „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის" სამთავრობო პროგრამის მიმდინარეობის შესახებ. აგრეთვე მოსმენილი იქნა ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული ანგარიში, რომელიც უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფში ჩართულმა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა წარადგინეს; განხილული იქნა მთავრობის მიერ წარდგენილი ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგის 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმაც. აღნიშნულ საკითხებს დაეთმო კომიტეტის 4 სხდომა. ანგარიშების მოსმენის გარდა, კომიტეტს სხვა შემთხვევებში მთავრობის წევრები არ მიუწვევია.
8. **თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა** ორჯერ მოუსმინა თავდაცვის მინისტრს.
9. **იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა** მთავრობისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების მოსმენას დაუთმო 7 სხდომა. ერთ სხდომაზე ხდებოდა რამდენიმე ანგარიშის მოსმენა, რომლებიც ეხებოდა: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ 2014 წელს განხორციელებულ საქმიანობას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2014 წლის საქმიანობას, 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2014 წლის საქმიანობას, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის შესრულების მიმოხილვას, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მიმოხილვას, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის საქმიანობას და ინფორმაციას 2015-2017 წლებში კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ. პრეზიდენტის მიერ ნდობის მისაღებად წარდგენილი მთავრობის შემადგენლობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ წარდგენილი განახლებული სამთავრობო პროგრამის საკომიტეტო მოსმენას ესწრებოდნენ თეა წულუკიანი (იუსტიციის მინისტრი), ვახტანგ გომელაური (შინაგან საქმეთა მინისტრი), გიორგი მღებრიშვილი (სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრი). ანგარიშების მოსმენის გარდა, კომიტეტს სხვა შემთხვევებში მთავრობის წევრები არ მიუწვევია.
10. **რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტმა** ანგარიშვალდებული ორგანოების მოსმენას დაუთმო 13 სხდომა და 12 სამუშაო შეხვედრა. ანგარიშვალდებული ორგანოებიდან კომიტეტის სხდომებს დაესწრო 63 თანამდებობის პირი, მათ შორის, მთავრობის 12 წევრი, მინისტრების 43 მოადგილე, სამინისტროების სტრუქტურაში

შემავალი დეპარტამენტების უფროსები და მათი მოადგილეები კომპეტენციის შესაბამისად. ანგარიშების მოსმენის გარდა, კომიტეტის მიერ სხდომებზე მიწვეული იყო მთავრობის 12 წევრი, რომელთაგან სხდომებს დაესწრო მთავრობის 10 წევრი (2 შემთხვევაში სხდომებს დაესწრო მოადგილე კომიტეტთან წინასწარი შეთანხმებით).

11. **საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა** საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ანგარიში რამდენიმე ეტაპად მოისმინა. კომიტეტის წევრების წინაშე ანგარიშები წარმოადგინა მინისტრის ხუთმა მოადგილემ, შესაბამისი საკურატორო სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად (სულ 13 დეპარტამენტი 1 სსიპ.) საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა ასევე მოუსმინა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ნდობის მისაღებად წარდგენილ მთავრობის შემადგენლობას და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ წარდგენილ განახლებულ სამთავრობო პროგრამას „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსათვის", რომლის ფარგლებშიც განხორციელდა საგარეო საქმეთა მინისტრის თამარ ბერუჩაშვილის, ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებში სახელმწიფო მინისტრის დავით ბაქრაძისა და დიასპორის საკითხებში სახელმიწფო მინისტრის გელა დუმბაძის საკომიტეტო მოსმენა. კომიტეტმა ასევე მოისმინა ფინანსთა სამინისტროს მიერ წარდგენილი „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის მიმოხილვა", ასევე – „2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში", „ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ" ინფორმაცია.
12. **საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა** მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების პროცესში მოუსმინა იუსტიციის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ხელმძღვანელებს და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს. ანგარიშების მოსმენის გარდა, კომიტეტს სხვა შემთხვევებში მთავრობის წევრები არ მიუწვევია.
13. **საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა** ანგარიშვალდებული ორგანოების მოსმენას დაუთმო 9 სხდომა. სხდომებს ესწრებოდნენ ფინანსთა სამინისტროს, ეროვნული ბანკის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლები. კომიტეტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში არ ჩანს, ვინ წარმოადგენდა აღნიშნულ უწყებებს. ანგარიშების მოსმენის გარდა, კომიტეტმა სხდომაზე მიიწვია მთავრობის ორი წევრი (ამ წევრების ვინაობას კომიტეტი არ მიუთითებს), ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და გენერალური აუდიტორი.
14. **სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომიტეტმა** ანგარიშვალდებული ორგანოების მოსმენას 7 სხდომა დაუთმო, რომლებსაც ესწრებოდნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრები ლევან ყიფიანი და ტარიელ ხეჩიკაშვილი, ასევე მინისტრის ოთხი მოადგილე. ანგარიშების მოსმენის გარდა, კომიტეტმა ორჯერ მიიწვია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, რომელიც ორჯერვე დაესწრო სხდომას.
15. **ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა** ანგარიშვალდებული ორგანოების მოსმენას 12 სხდომა დაუთმო. კომიტეტმა განიხილა მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი, რომლის ფარგლებშიც მოისმინეს შრომის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა მინისტრის დავით სერგეენკოს მოხსენება. საანგარიშო პერიოდში კომიტეტზე მოქსმენილ იქნა ოთხი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ანგარიში. კომიტეტს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა მინისტრის მოადგილემ წარუდგინა ანგარიში პრემიერ-მინისტრის ,,ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსათვის" სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. საანგარიშო პერიოდში შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა მინისტრმა წარადგინა ინფორმაცია სამომავლოდ დაგეგმილ აქტივობებზე და საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირები. კომიტეტმა მოისმინა 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებისა და ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზების მიმართულებების შესახებ ინფორმაცია.

## 5.2 პარლამენტის წევრის კითხვა/შეკითხვა: ზეპირი და წერილობითი

საპარლამენტო კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია პარლამენტის წევრის შეკითხვა. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით პარლამენტის წევრს უფლება აქვს, შეკითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, რომელიც ვალდებულია დადგენილი ფორმით და დადგენილ ვადაში გასცეს შეკითხვას პასუხი. პარლამენტის წევრთა ათკაციან ჯგუფს და საპარლამენტო ფრაქციას უფლება აქვთ, შეკითხვით მიმართონ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის ცალკეულ წევრს, რომლებიც ვალდებული არიან უპასუხონ დასმულ კითხვას პარლამენტის სხდომაზე. პასუხი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი.[63]

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი ადგენს საპარლამენტო კონტროლის მექანიზმებს და ასევე არეგულირებს პარლამენტის წევრების შეკითხვებთან დაკავშირებულ საკითხებს. რეგლამენტის 221-ე მუხლის თანახმად პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თითოეული ორგანო და თანამდებობის პირი, რომელსაც კითხვით მიმართეს, ვალდებულია პარლამენტს კითხვის მიღებიდან 15 დღის ვადაში წარუდგინოს წერილობითი პასუხი. ეს ვადა შეიძლება კითხვის ავტორთან შეთანხმებით 10 დღით გაგრძელდეს. პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად თანამდებობის პირს უფლება აქვს, შეკითხვას პასუხი არ გასცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოებას შეიცავს. პასუხს ხელს აწერენ მხოლოდ აღნიშნული მუხლით განსაზღვრული სუბიექტები ან შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელი. საქართველოს კონსტიტუციისა და პარლამენტის რეგლამენტის თანახმად სადეპუტატო კითხვაზე პასუხი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი.[64]

პარლამენტის წევრთა მიერ დასმული შეკითხვები და მიღებული პასუხები საჯარო ინფორმაციაა, თუმცა არ ხდება მათი პროაქტიურად გამოქვეყნება. 2015 წლის 17 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა 2015-2016". „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" რეკომენდაციით სამოქმედო გეგმაში საკანონმდებლო ორგანოს ერთ-ერთ ვალდებულებად განისაზღვრა პარლამენტის წევრების შეკითხვებთან დაკავშირებული სტატისტიკის და პარლამენტის წევრის შეკითხვაზე თითოეული პასუხის პროაქტიურად გამოქვეყნება პარლამენტის ვებგვერდზე. ვალდებულების შესრულების დაწყების თარიღად 2015 წლის სექტემბერი, ხოლო დასრულების თარიღად 2016 წლის სექტემბერი განისაზღვრა.

---

[63] საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის თანახმად პარლამენტის წევრი უფლებამოსილია, კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს, სახელმწიფო დაწესებულებას და მიიღოს მათგან პასუხი. პარლამენტის წევრთა სულ ცოტა ათკაციან ჯგუფს, საპარლამენტო ფრაქციას უფლება აქვთ შეკითხვით მიმართონ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის ცალკეულ წევრს, რომლებიც ვალდებული არიან უპასუხონ დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე. კონსტიტუციის მე-60 მუხლის თანახმად მთავრობის წევრი, პარლამენტის მიერ არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში. ასეთი თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს პარლამენტმა, კომიტეტმა ან კომისიამ.

[64] პარლამენტი უფლებამოსილია სრული შემადგენლობის უმრავლესობით პრემიერ-მინისტრის წინაშე დასვას მთავრობის ცალკეული წევრის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი. პარლამენტის რეგლამენტის 289-ე მუხლის თანახმად რეგლამენტის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა კანონით და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით ეკისრება საქართველოს მთავრობის წევრებს, პარლამენტის მიერ არჩეულ თანამდებობის პირებს, აგრეთვე სხვა თანამდებობის პირებს, რომლებსაც ევალებათ პარლამენტის საქმიანობაში მონაწილეობა. თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი დგება იმ შემთხვევაშიც, თუ იგი არღვევს პარლამენტის წევრის შეკითხვაზე პასუხის გაცემისათვის დაწესებულ პროცედურას; პარლამენტს აწვდის დამახინჯებულ ინფორმაციას ან არასწორ დაბრკოლებებს უქმნის პარლამენტის წევრს ამ რეგლამენტითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მინიჭებულ უფლებათა განხორციელებაში. ასეთ შემთხვევაში საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი განიხილავს რეგლამენტის დარღვევის ფაქტს და საკითხს სათანადო რეაგირებისათვის გადასცემს პარლამენტის ბიუროს, რის შემდეგაც პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება ან რეზოლუცია დარღვევის გამო კონკრეტული თანამდებობის პირის მიმართ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული სათანადო რეაგირების ზომების მისაღებად.

**2015 წელს საქართველოს პარლამენტის წევრთა ათკაციანი ჯგუფის და საპარლამენტო ფრაქციის მიერ ზეპირი ან წერილობითი შეკითხვა არ დასმულა.**

პარლამენტის წევრთა კითხვების საერთო რაოდენობიდან:

- **ყველაზე მეტი კითხვის (159) ავტორია** გიორგი გაბაშვილი;
- **ყველაზე მეტი კითხვის ადრესატია** განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე;
- **პასუხი გაცემული არ არის** 19 კითხვაზე;
- **ძირითადი თემები**, რომლებითაც ინტერესდებოდნენ პარლამენტის წევრები, ეხებოდა მთავრობის წევრების, მინისტრების მოადგილეების პრემიებს, დანამატებს და სახელმწიფო ხარჯებს.

პარლამენტის წევრის მიერ შეკითხვის უფლება 2015 წელს 18-მა დეპუტატმა გამოიყენა. სულ გაიგზავნა 361 შეკითხვა.

**დიაგრამა 5. 2015 წელს დეპუტატთა მიერ პარლამენტის წევრის კითხვის უფლების გამოყენების შესახებ მონაცემები**



**სადეპუტატო კითხვების არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ იშვიათია შეკითხვები, რომლებიც უკავშირდება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საჯარო პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვან საკითხებს. ზოგიერთ შემთხვევაში კითხვის შინაარსი დაკავშირებული არ არის საპარლამენტო კონტროლის განხორციელებასთან, რადგან შეკითხვა ბიზნესის კონკრეტულ სფეროს უფრო მეტად უკავშირდება, ვიდრე აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტიანად განხორციელებას**.

საპარლამენტო კონტროლთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზისას ჩანს, რომ:

- პარლამენტის წევრები იშვიათად ინტერესდებიან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სამთავრობო პროგრამების განხორციელებით და საჯარო პოლიტიკის სხვა მნიშვნელოვანი საკითხებით. 2015 წელს პარლამენტის წევრთა მიერ არც ერთი შეკითხვა არ დასმულა ნატოსა და ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრაციისა და თანამშრომლობის შესახებ;
- პარლამენტის წევრები სადეპუტატო კითხვების მეშვეობით იღებენ ინფორმაციას მშენებლობის კონკრეტული ნებართვების, სხვადასხვა ბიზნესთან დაკავშირებული იმპორტის შესახებ. ძირითადად, სადეპუტატო კითხვები დაკავშირებული არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტიანი განხორციელების პრინციპულ საკითხებთან;
- უმეტეს შემთხვევებში მთავრობის წევრთა პასუხები სრულყოფილი არ არის და მათ ხელს არა მინისტრი, არამედ სამინისტროს თანამშრომელი (მაგალითად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი) ან დეპარტამენტის ხელმძღვანელი აწერს. ზოგჯერ, თუ შეკითხვის ავტორი უმცირესობის წევრია, მინისტრი პასუხს არა კითხვის ავტორის, არამედ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე აგზავნის;
- კანონმდებლობით განსაზღვრული მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს მთავრობის წევრის პასუხისმგებლობას პარლამენტის წევრის შეკითხვაზე პასუხის გაცემისთვის დადგენილი პროცედურის დარღვევისთვის, პრაქტიკულად არ მოქმედებს.

**საქართველოში საპარლამენტო კონტროლის არაეფექტიანობას ასევე წარმოაჩენს პარლამენტის წევრის კითხვაზე მთავრობის წევრთა რეაგირება.**

პარლამენტის რეგლამენტის 221-ე მუხლის თანახმად პარლამენტის წევრის კითხვაზე პასუხს ხელი უნდა მოაწეროს მხოლოდ კითხვის ადრესატმა, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელმა. პარლამენტის წევრის შეკითხვა საპარლამენტო კონტროლის ფორმაა და არა საჯარო ინფორმაციის გაცემა, თუმცა პარლამენტში გაგზავნილ პასუხებს ხშირ შემთხვევაში ხელს აწერს არა მინისტრი, არამედ მინისტრის მოადგილე. სამინისტროებიდან მიღებული პასუხები ხშირად არასრულია, მოიცავს ზოგადი ხასიათის ინფორმაციას ან მითითებას, რომ ინფორმაცია სამინისტროს ვებგვერდზეა განთავსებული. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება არ ათავისუფლებს პირს ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისაგან. ზოგიერთ შემთხვევაში მთავრობის წევრები პასუხს არა კითხვის ავტორს, არამედ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარეს გიორგი კახიანს უგზავნიან. ეს ძირითადად მაშინ ხდება, როდესაც კითხვის ავტორი უმცირესობის წევრია. თუ პარლამენტის წევრის შეკითხვაზე პასუხის გაცემა არ ხდება კანონით დადგენილ ვადაში, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე კითხვის ადრესატს განმეორებით უგზავნის შეკითხვას და სთხოვს პასუხის გაცემას. ზოგიერთი მინისტრი მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიიჩნევს საჭიროდ პასუხის გაგზავნას და ისიც საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე და არა კითხვის ავტორისთვის. კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი პასუხისმგებლობის მექანიზმები ეფექტიანად არ მოქმედებს. მაგალითად, პარლამენტის წევრის შეკითხვაზე მთავრობის წევრთა მიერ არასათანადო რეაგირების საკითხი პარლამენტის პლენარული სხდომის განხილვის საგანი არ გამხდარა.[65]

---

[65] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“: „საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა (პარლამენტის წევრის კითხვა/შეკითხვა)“, 7 დეკემბერი, 2015, http://goo.gl/eqm0ED

## 5.3 სამთავრობო საათი პარლამენტში

პარლამენტის რეგლამენტის 221-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად პარლამენტის წევრთა ათკაციან ჯგუფს, ფრაქციას უფლება აქვს, შეკითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, საქართველოს მთავრობას, მთავრობის წევრს. ისინი ვალდებული არიან, დასმულ შეკითხვას უპასუხონ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. შეკითხვებს უპასუხებენ პლენარული სხდომების ყოველი თვის ბოლო პარასკევს, სამთავრობო საათის დროს. შეკითხვა შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი. შეკითხვაზე პასუხი წერილობითი ფორმით წარედგინება პარლამენტის პლენარულ სხდომას. რეგლამენტის 222-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია, რომ ზეპირი შეკითხვა შეიძლება დაისვას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, მაგრამ სამთავრობო საათამდე არაუგვიანეს 14 დღისა. წერილობითი შეკითხვა შეიძლება წარდგენილი იქნეს სამთავრობო საათის დღემდე არა უგვიანეს 10 დღისა. რეგლამენტის 126-ე მუხლის თანახმად ყოველი თვის პლენარული სხდომების ბოლო კვირის პარასკევს 16:00 საათიდან 19:00 საათამდე, როგორც წესი, იმართება სამთავრობო საათი.

**არსებული საკანონმდებლო რეგულაციები არ სრულდება. კერძოდ, პარლამენტში 2015 წელს არ ჩატარებულა სამთავრობო საათი, რაც ამცირებს საპარლამენტო კონტროლის ეფექტიანობას.**

## 5.4 დროებითი საგამოძიებო კომისიები

2015 წელს პარლამენტში განხილული იქნა 5 დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი. 4 საგამოძიებო კომისიის შექმნა არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული, ხოლო ერთზე მომზადდა წარდგინების წერილი.

**1. იური ვაზაგაშვილის, ბარბარე რაფალიანცის, შალვა თათუხაშვილის, ეროსი კიწმარიშვილისა და არჩილ მაისურაძის გახმაურებული მკვლელობების ფაქტების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი.**
ინიციატორები: საპარლამენტო უმცირესობაში გაერთიანებული ფრაქციები: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ნაციონალური მოძრაობა – რეგიონები“ და „ნაციონალური მოძრაობა – მაჟორიტარები“.

კომისიის შესწავლის საკითხი უნდა ყოფილიყო იური ვაზაგაშვილის, ბარბარე რაფალიანცის, შალვა თათუხაშვილის, ერასტი კიწმარიშვილისა და არჩილ მაისურაძის გახმაურებული მკვლელობების ფაქტები, რაც არ იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად.

**2. საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი.**
ინიციატორი: ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატები“.

კომისიის შესწავლის საგანი უნდა ყოფილიყო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი თანამდებობის პირების მიერ საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთან დაკავშრებით განხორციელებული ქმედებები, მათ შორის, საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნა და კომპანია RMG-ის მიერ საბადოს ტერიტორიაზე სამუშაობის ჩატარება. ეს კომისია არ შეიქმნა.

**3. საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი.**
ინიციატორები: საპარლამენტო უმცირესობაში გაერთიანებული ფრაქციები: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ნაციონალური მოძრაობა – რეგიონები“ და „ნაციონალური მოძრაობა – მაჟორიტარები“.

კომისიის შექმნის მიზანი იყო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის და საბადოზე განხორციელებული სამუშაოების ფაქტების შესწავლა, რაც არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული.

**4. ბარბარე რაფალიანცის, ეროსი კიწმარიშვილისა და შალვა თათუხაშვილის მკვლელობებთან დაკავშირებული დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი.**
ინიციატორები: საპარლამენტო უმცირესობაში გაერთიანებული ფრაქციები: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", „ნაციონალური მოძრაობა – რეგიონები" და „ნაციონალური მოძრაობა – მაჟორიტარები".

კომისიას უნდა შეესწავლა ბარბარე რაფალიანცის, ეროსი კიწმარიშვილისა და შალვა თათუხაშვილის მკვლელობების ფაქტები, რაზედაც მომზადდა წარდგინების წერილი.

**5. ქვეყანაში არსებული სისტემური კორუფციის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი.**
ინიციატორები: საპარლამენტო უმცირესობაში გაერთიანებული ფრაქციები: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", „ნაციონალური მოძრაობა – რეგიონები", „ნაციონალური მოძრაობა – მაჟორიტარები".

კომისიის შესწავლის საგანი უმდა ყოფილიყო სავარაუდო კორუფციული სქემები: ბათუმის პორტში საქართველომ მილიარდი ლარის ინვესტიცია დაკარგა; საყდრისი-ყაჩაღიანის საქმე; „აწარმოე საქართველოში" პროგრამა; პირადი ინტერესებისთვის უნიკალური ხე-ტყის ჭრა; შპს „ავიასერვისის" მიერ „სუპერ პუმას" ტიპის სამი ვერტმფრენის მომსახურება; პროექტი „პანორამა"; კორუფცია გზების მშენებლობისა და საფარის დაგების სფეროში; კორუფცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში; კორუფცია სასმელი წყლით მომარაგების სფეროში; კორუფცია ქალაქ თბილისის მერიაში და მის სტრუქტურებში; ქალაქ თბილისში ქუჩების რეაბილიტაციის პროცესი: დოესის ქუჩის რეაბილიტაცია, გახოკიძის ქუჩის რეაბილიტაცია; თბილისის ახალგაზრდული ფესტივალი 2015; „შავი სპაიდერმენი" და „ვარდისფერი დათვი"; კორუფცია სენაკის, გორის და ვანის მუნიციპალიტეტებში; კორუფცია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.
ამ კომისიის შექმნა არ იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად.

## 5.5 პარლამენტის მიერ მთავრობის ნორმატიული აქტებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლი

პარლამენტის კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს მისი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სფეროში მოქმედი სამინისტროს, მინისტრის, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას, მათი შესრულების მდგომარეობას, შეისწავლის და აანალიზებს ამ ნორმატიული აქტების მოქმედების პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც უგზავნის შესაბამის უწყებას.[66]

პარლამენტის პრეროგატივას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიღება და მისი შესრულების საპარლამენტო კონტროლი. პარლამენტი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მეშვეობით ახორციელებს საერთო, თანამიმდევრულ კონტროლს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე. სხვა კომიტეტები ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლს, როგორც წესი, ახორციელებენ მათი გამგებლობისათვის მიკუთვნებული სფეროების მიხედვით.[67] საბიუჯეტო

[66] პარლამენტის რეგლამენტის 236-ე და 237-ე მუხლები.
[67] პარლამენტის რეგლამენტის 189-ე მუხლი.

წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობას, როგორც წესი, ყოველკვარტალურად განიხილავენ პარლამენტის კომიტეტები. ისინი უფლებამოსილი არიან, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია მოითხოვ-ონ და მიიღონ შესაბამისი სახელმწიფო უწყებებიდან. საკომიტეტო განხილვებს ორგანიზებას უწევს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი. აუცილებლობის შემთხვევაში შედეგები მოხსენდება პარლამენტს და შეიძლება მისი განხილვის საგანიც გახდეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" დაინტერესდა, როგორ ახორციელებდნენ კომიტეტები მთავრობის ნორმატიული აქტების და ბიუჯეტის შესრულების კანონით დაკისრე-ბულ ვალდებულებებსა და მინიჭებულ უფლებამოსილებებს საანგარიშო პერიოდში.

**1. აგრარულ საკითხთა კომიტეტს** პლენარულ სხდომაზე არ წარუდგენია ინფორმაცია მის კომპეტენციას მიკუთვნებული ნორმატიული აქტების აღსრულებასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კომიტეტი საზედამხედველო საქმიანობის კუთხით ახორციელებდა საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებით, განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლს. საანგარიშო პეროიდში სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების მოსმენის ფარგლებში სხვა საკითხებთან ერთად განხილილ იქნა სოფლის მეურნეობის სამინისტროზე საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობა. აღნიშნულ საკითხებს კომიტეტმა მიუძღვნა 3 სხდომა.

სახელმწიფო ბიუჯეტის კონტროლის და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის მიზნით გაიმართა კომიტეტის 6 სხდომა. კომიტეტმა მოამზადა დასკვნა 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშზე და 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

**2. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის** მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით კომიტეტი ამოწმებდა პარლამენტის მიერ მიღებული რეკომენდაციების შესრულების პროცესს, რასთან დაკავშირებითაც ატარებდა სხდომებს. ყოველი თვის ბოლოს კომიტეტი ამზადებდა ანგარიშს მისი საქმიანობის შესახებ. კომიტეტი ახორციელებდა ნორმატიული აქტების კონტროლს, კონტროლი ხორციელდებოდა ასევე კომიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში შექმნილ სამუშაო ჯგუფების ფარგლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლის მიზნით კომიტეტმა ჩაატარა 6 სხდომა.

**3. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის** მიერ წარმოდგენილი ინფორ-მაციის მიხედვით კომიტეტი ყოველკვარტალურად ახორციელებდა პარლამენტის მიერ მიღებული კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლს. კომიტეტმა ამ საკითხებთან დაკავშირებით მიმართვები გაუგზავნა განათლებისა და მეცნიერების და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროებს და შესაბამისად მიიღო ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში მიღებული კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემის ან/და მათში ცვლილებების შეტანის თაობაზე. კომიტეტის ინფორმაციით 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა შესაბამისი ვალდებულება შესრულებული და კანონქვემდებარე აქტი გამოცემული იყო.

სახელმწიფო ბიუჯეტის საპარლამენტო კონტროლთან დაკავშირებით კომტიტეტმა მოამზადა შესაბამისი დასკვნა.

**4. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის** კომპეტენციას მიკუთვნებული ნორმატიული აქტების აღსრულებასთან დაკავშირებით კომიტეტს ინფორმაცია არ წარ-მოუდგენია. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლის მიზნით ჩატარდა 5 სხდომა და ბიუჯეტის შესრულება შეფასდა დადებითად.

**5. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა** ნორმატიული აქტების აღსრულებასთან დაკავშირებით ჩაატარა 3 მოსმენა, მათ შორის: 1 – საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით, 1 – ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით და 1 – სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებით. კომიტეტმა პარლამენტის ბიუროს სხდომაზე სამჯერ, ხოლო პლენარულ სხდომაზე ერთხელ წარადგინა ინფორმაცია მის კომპეტენციას მიკუთვნებული ნორმატიული

აქტების აღსრულებაზე. ბიუჯეტის შესრულების კონტროლის მიზნით ჩატარდა 2 სხდომა, სადაც მოსმენილი იქნა 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

**6. დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის** ინფორმაციით მთავრობისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით გამართულ სხდომებზე კომიტეტი საპარლამენტო კონტროლის განხორციელების მიზნით გასცემდა შესაბამის რეკომენდაციებს, წინადადებებსა და შენიშვნებს. თუმცა, კომიტეტს არ მიუთითებია, კონკრეტულად რამდენი სხდომა ჩაატარა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მთავრობის რამდენი წევრი მიიწვია სხდომაზე ან რომელი სხვა ღონისძიებები გამოიყენა ნორმარტიული აქტების კონტროლის მიზნით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლის მიზნით ჩატარდა კომიტეტის ორი სხდომა, სადაც დადებითად შეფასდა ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

**7. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს** მთავრობის აქტების კონტროლთან დაკავშირებით ინფორმაცია არ წარმოუდგენია.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლის მიზნით ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტში ჩატარდა 4 სხდომა.

**8. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის** ინფორმაციის მიხედვით კომიტეტი აკონტროლებს პარლამენტის მიერ მიღებული კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას და შესაბამის ინფორმაციას აწვდის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს. კომიტეტმა მის კომპეტენციაში შემავალი უწყებების ხელმძღვანელების მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებით შეი-მუშავა რეკომენდაციები. თუმცა, კომიტეტის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში არ ჩანს, კონკრეტულად რამდენი სხდომა ჩაატარა ან რომელი სხვა ღონისძიებები განახორციელა კომიტეტმა ნორმატიული აქტების შესრულების კონტროლის მიზნით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლის მიზნით კომიტეტში ჩატარდა 3 სხდომა. კომიტეტის საქმიანობის სფეროში შემავალი უწყებების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები ამ სხდომებზე დადებითად შეფასდა და კომიტეტის მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**9. იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა** პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში მთავრობის ნორმატიული აქტების კონტროლის მიზნით შესაბამისი უწყებებიდან (შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო) მოითხოვა ინფორმაცია პარლამენტის მიერ მიღებული კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შესახებ. კომიტეტმა პლენარულ სხდომაზე წარადგინა კომიტეტის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას მისი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სფეროში მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობის შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლის მიზნით ჩატარდა კომიტეტის 3 სხდომა.

**10. რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის** ინფორმაციით კომიტეტი მართავდა სხდომებს კანონების აღსრულების მიმდინარე სამუშაოების განხილვის მიზნით, რისთვისაც მთავრობასთან ერთად შეიმუშავა კოორდინირებული საქმიანობის გეგმა. ასევე, როგორც უთითებენ, კომიტეტის მოთხოვნით რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან კომიტეტში შემოსულია 6 ინფორმაცია საქართველოს ორგანული კანონის-„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", ასევე „საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის ძირითადი მუხლებითა და გარდამავალი დებულებით განსაზღვრული საკონტროლო ნორმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომიტეტის 3 სდომაზე მოსმენილ იქნა მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილის ინფორმაცია. ასევე, როგორც კომიტეტი უთითებს, გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე გაანალიზდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მოთხოვნილი სამართლებრივი აქტების მიღების მდგომარეობა და კანონის იმპლიმენტაციასთან დაკავშირებული რეალური პრობლემები. კომიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, რეალიზებულია „საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად უფლებამოსილი სუბიექტების მიერ 2016 წლის 1 იანვრამდე შესასრულებელი საკონტროლო მუხლები და ნორმები.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლის მიზნით გაიმართა კომიტეტის 7 სხდომა.
**11. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა** სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლის მიზნით შესაბამისი ანგარიშები მოისმინა ორჯერ. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში წამოყენებული იქნა რამდენიმე წინადადება, რომლებიც აისახა ამ პროექტში.
**12. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი** ახორციელებდა ცალკეული კანონების გარდამავალი დებულებებით, პარლამენტის დადგენილებებითა და პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლს და ამ მიზნით თანამშრომლობდა პარლამენტის კომიტეტებთან და სხვა სტრუქტურებთან. როგორც კომიტეტი აღნიშნავს, ყოველი თვის დასაწყისში კომიტეტი პარლამენტის ვებგვერდზე აქვეყნებდა მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლის ამსახველ განახლებულ მონაცემებს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იყო ინფორმაციის მიღება როგორც შესასრულებელი, ისე შეუსრულებელი ვალდებულებების შესახებ. კომიტეტის ინფორმაციით მის მიერ გატარებული ღონისძიებების, მათ შორის, რეკომენდაციების შედეგად მოიმატა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში შესრულებული ვალდებულებების რაოდენობამ.
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლის მიზნით კომიტეტს სხდომა არ ჩაუტარებია.[68]
**13. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა** შესაბამის პასუხისმგებელ უწყებებთან ერთად განახორციელა 10 ნორმატიული აქტის აღსრულების კონტროლი. კომიტეტმა მის კომპეტენციაში შემავალი ნორმატიული აქტების აღსრულებასთან დაკავშირებით პლენარულ სხდომაზე ინფორმაცია წარადგინა ორჯერ.
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლის მიზნით ჩატარდა 4 სხდომა. კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.
**14. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა** ნორმატიული აქტების შესრულების კონტროლის მიზნით მოისმინა სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშები.
კომიტეტმა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლის მიზნით ჩაატარა 3 სხდომა.
**15. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის** ინფორმაციის თანახმად ნორმატიული აქტების შესრულების კონტროლის მიზნით კომიტეტმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი უწყებებიდან მოითხოვა სათანადო ინფორმაცია. მიღებული ინფორმაციის განხილვა და ანალიზი განხორციელდა კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების სამუშაო ფორმატში, რის შემდეგაც კომიტეტის სხდომაზე შემუშავდა რეკომენდაციები. თუმცა კომიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან არ ჩანს, რამდენი სხდომა ჩატარდა ამ მიზნით. აღნიშნული რეკომენდაციების შემუშავების შემდეგ კომიტეტმა საზედამხედველო სხდომის ფორმატში მოისმინა მათი შესრულების შესახებ ინფორმაცია.
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლის მიზნით ჩატარდა 3 სხდომა. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვისას კომიტეტს ჰქონდა 2 შენიშვნა. ორივე შენიშვნა გათვალისწინებული იქნა.

[68] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 189-ე მუხლის თანახმად კომიტეტები სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლს, როგორც წესი, ახორციელებენ მათი გამგებლობისთვის მიკუთვნებული სფეროების მიხედვით.

# თავი 6 ინფორმაცია პარლამენტის წევრების შესახებ (განათლება, ასაკი, პროფესია)

საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის თანახმად საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება მის მიერ ფიცის დადებისთანავე და მთავრდება ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე. პარლამენტის წევრისთვის არ არის დაწესებული განათლების ცენზი და პროფესიული შეზღუდვა.

## 6.1 პარლამენტის წევრთა ასაკი

2012 წლის მოწვევის პარლამენტის წევრების საშუალო ასაკი 51 წელია. საპარლა-მენტო უმრავლესობის წევრთა საშუალო ასაკი დაახლოებით 54 წელია, ხოლო საპარლამენტო უმცირესობის წევრთა საშუალო ასაკი – 46 წელი.

2015 წელს ყველაზე ასაკოვანი დეპუტატი იყო ივანე კიღურაძე (უმრავლესობა) – 79 წლის, ხოლო ყველაზე ახალგაზრდა – მარიამ საჯაია (უმცირესობა) – 24 წლის.

## 6.2 პარლამენტის წევრთა განათლება და სპეციალობა

საქართველოს პარლამენტის წევრთა შორის ერთდროულად ორი სპეციალობით განათლება მიღებული აქვს 20 დეპუტატს, ხოლო ორზე მეტი სპეციალობით – 5 დეპუტატს. პარლამენტის წევრებს შორის 1 აკადემიკოსი, 10 დოქტორი და 14 მეცნიერებათა კანდიდატია. პარლამენტის წევრთა უმეტესობა იურისტები (47), ეკონომისტები (25) და სხვადასხვა საინჟინრო დარგის სპეციალისტები (24) არიან. აღსანიშნავია, რომ პარლამენტის 4 წევრი სპორტის სპეციალისტი, 3 – მსახიობი, 1 – ღვთისმეტყველი, ხოლო 1 მხატვარია. რაც შეეხება პარლამენტის ქალ წევრებს, 17 ქალი დეპუტატიდან უმეტესობა (10) სამართალმცოდნეა, 2 – ჟურნალისტი, 1 – დიპლომატიისა და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, 1 – ფსიქოლოგი, 1 – ინჟინერ-მექანიკოსი. ქალ დეპუტატებს ასევე მიღებული აქვთ განათლება მედიცინის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ისტორიის, ქიმიის, ბიოლოგიის სპეციალობებით.

# თავი 7 ქალთა მონაწილეობა საპარლამენტო საქმიანობაში

2015 წელს საკანონმდებლო ორგანოს წევრთაგან 17 იყო ქალი: ბესელია ეკა, ბოკუჩავა თინათინი, გოგორიშვილი ხათუნა, გოგუაძე ნინო, ვერულაშვილი მარიკა, თაქთაქიშვილი ჩიორა, კობახიძე მანანა, კორძაია თამარი, მაღრაძე გუგული, მიროტაძე ანი, ნადირაშვილი ირმა, საჯაია მარიამი, ყეინიშვილი ნანა, ჩაფიძე ელისო, ჩხეტიანი დარეჯანი, ხალვაში ფატი, ხიდაშელი თამარი. მათგან 7 მაჟორიტარია, ხოლო 10 – პარტიული სიით არჩეული. 11 დეპუტატი ქალი საპარლამენტო უმრავლესობას წარმოადგენს, 5 – საპარლამენტო უმცირესობას, ხოლო 1 – ფრაქცია „თავისუფალ დემოკრატებს“. ქალ დეპუტატთა რაოდენობა (17) პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის (150) დაახლოებით 11%-ს შეადგენს.

ქალ პარლამენტის წევრებს შორის მაღალი საპარლამენტო თანამდებობები უკავიათ მანანა კობახიძეს (პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე) და ეკა ბესელიას (ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე). 2014 წლის მონაცემებისგან განსხვავებით, პარლამენტის წევრთა ხუთეულში, რომლებსაც 2015 წელს ყველაზე მეტი კანონპროექტი აქვთ ინიცირებული, ქალი პარლამენტის წევრები არ არიან. ქალი პარლამენტის წევრების მიერ კანონპროექტების ინიცირების თვალსაზრისით აქტივობის მონაცემები შემდეგია:

- ეკა ბესელია – 17;
- ნანა ყეინიშვილი – 4;
- გუგული მაღრაძე – 3;
- თამარ კორძაია – 3;
- მანანა კობახიძე – 2;
- თამარ ხიდაშელი – 1.

საკანონმდებლო ინიციატივის თვალსაზრისით 2015 წელს პარლამენტის წევრი ქალების აქტიურობის საშუალო მაჩვენებელი მამაკაცი კოლეგების აქტიურობის მაჩვენებლთან შედარებით უფრო მაღალია.

პარლამენტის აპარატის გენდერული ბალანსი რადიკალურად განსხვავდება პარლამენტის წევრთა გენდერული ბალანსისაგან. პარლამენტის აპარატში 462 ქალი და 358 მამაკაცი მუშაობს.

დეტალური მონაცემები 2015 წელს პარლამენტის აპარატის თანამშრომელთა გენდერული განაწილების შესახებ მოცემულია პირველ დანართში.

**ცხრილი 1. პარლამენტის აპარატის თანამშრომელთა გენდერული ნიშნით განაწილება 2015 წელს.**

| პოზიცია | აპარატის თანამშრომელი | კაცი | ქალი |
|---|---|---|---|
| მთავარი საჯარო თანამდებობა | აპარატის უფროსი | 1 | 0 |
| | აპარატის უფროსის მოადგილე | 2 | 0 |
| | დეპარტამენტის უფროსი | 3 | 5 |
| | პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი | 1 | 0 |
| სულ: | | **7** | **5** |
| წამყვანი საჯარო თანამდებობა | განყოფილების უფროსი | 13 | 17 |
| | გამყოფილების უფროსი – არქივის უფროსი | 1 | 0 |
| | განყოფილების უფროსი – ბიბლიოთეკის უფროსი | 0 | 1 |
| | განყოფილების უფროსი – მთავარი კომენდატი | 1 | 0 |
| | კომიტეტის აპარატის უფროსი | 9 | 6 |
| | მანდატურთუხუცესი | 1 | 0 |
| | პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე | 4 | 2 |
| | პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსის მოადგილე | 0 | 1 |
| | პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსი | 3 | 2 |
| | პრესცენტრის უფროსი | 0 | 1 |
| | სამდივნოს უფროსი | 0 | 2 |
| სულ: | | **32** | **32** |

| პოზიცია | აპარატის თანამშრომელი | კაცი | ქალი |
|---|---|---|---|
| უფროსი საჯარო თანამდებობა | აპარატის უფროსის მოადგილის თანაშემწე | 1 | 1 |
| | კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე | 4 | 10 |
| | მანდატური | 8 | 0 |
| | მთავარი სპეციალისტი | 23 | 56 |
| | მთავარი სპეციალისტი – კომენდანტი | 1 | 0 |
| | მთავარი სპეციალისტი – მთავარი ენერგეტიკოსი | 1 | 0 |
| | მთავარი სპეციალისტი – რედაქტორი | 0 | 4 |
| | პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე | 1 | 0 |
| | უფროსი სპეციალისტი | 21 | 35 |
| | წამყვანი სპეციალისტი | 60 | 120 |
| | წამყვანი სპეციალისტი – კომენდანტი | 7 | 0 |
| | წამყვანი სპეციალისტი – კორექტორი | 0 | 2 |
| | წამყვანი სპეციალისტი – ხაზინადართა საბჭოს მდივანი | 0 | 1 |
| სულ | | **127** | **229** |
| უმცროსი საჯარო თანამდებობა | მდივან-სპეციალისტი | 0 | 23 |
| | სპეციალისტი | 7 | 16 |
| სულ | | **7** | **39** |
| | სულ | **173** | **305** |

| პოზიცია | აპარატის თანამშრომელი | კაცი | ქალი |
|---|---|---|---|
| დამხმარე მოსამსახურე | დამლაგებელი | 1 | 74 |
| | დამხმარე სპეციალისტი | 3 | 1 |
| | დურგალ-რესტავრატორი | 1 | 0 |
| | ელექტრიკოსტი | 2 | 0 |
| | ზეინკალი | 2 | 0 |
| | ლიფტიორი | 2 | 0 |
| | მეხანძრე | 4 | 0 |
| | მუშა | 5 | 0 |
| | სანტექნიკოსი | 3 | 0 |
| | სულ: | **23** | **75** |
| შტატგარეშე მოსამსახურე | თანაშემწე – შტატგარეშე მოსამსახურე | 24 | 38 |
| | შტატგარეშე მოსამსახურე | 14 | 7 |
| | შტატაგარეშე მოსამსახურე – მძღოლი | 85 | 0 |
| | სულ: | **123** | **45** |

## საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები საქართველოს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდასთან დაკავშირებით

პარლამენტში 2015 წელს ინიცირებული იყო საკანონმდებლო ინიციატივა გენდერულ კვოტებთან დაკავშირებით.[69] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" დაინტერესდა, რას ფიქრობს მოსახლეობა ამ საკითხთან დაკავშირებით.

**დიაგრამა 6. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები პარლამენტში ქალთა როდენობის გაზრდასთან დაკავშირებით**

**რამდენად ემხრობით ან არ ემხრობით სავალდებულო კვოტების შემოღებას პარლამენტში ქალთა რაოდენობის გაზრდის მიზნით? სქესის მიხედვით**




[69] აღნიშნული კანონპროექტის განხილვა პარლამენტში ამჟამადაც მიმდინარეობს.

# თავი 8 პარლამენტის კომისიების და საბჭოების საქმიანობა

პარლამენტის რეგლამენტის 71-ე მუხლის მიხედვით დროებითი კომისია არის პარლამენტის დროებითი ორგანო, რომელიც იქმნება პარლამენტის გადაწყვეტილებით, საქართველოს კონსტიტუციითა და პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. დროებითი კომისია ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

დროებითი კომისია ვალდებულია პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 3 თვით ადრე წარადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

პარლამენტის რეგლამენტის 82-ე მუხლის თანახმად დროებითი კომისიის სხდომების გამართვის პერიოდულობას განსაზღვრავს დროებითი კომისია, მაგრამ კომისიის სხდომა უნდა გაიმართოს თვეში არანაკლებ ორჯერ. რეგლამენტის 84-ე მუხლის შესაბამისად დროებითი კომისია განსახილველ საკითხებზე ამზადებს დასკვნებს, იღებს გადაწყვეტილებებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და წარდგინებებს, რომლებსაც წარუდგენს პარლამენტის ბიუროს ან/და პარლამენტის პლენარულ სხდომას.

საანგარიშო პერიოდში პარლამენტში მოქმედებდა შემდეგი დროებითი კომისიები და საბჭოები:

აანგარიშო პერიოდში პარლამენტში მოქმედებდა შემდეგი კომისიები და საბჭოები:
1. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისია
2. საბიუჯეტო ოფისის სამეთვალყურეო საბჭო
3. გენდერული თანასწორობის საბჭო
4. ხაზინადართა საბჭო
5. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2014 წლის ფინანსური აუდიტის განმახორციელებელი დორებითი კომისია
6. 2015 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა თავმჯდომარის ბრძანებით ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო
7. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია და კონსტიტუციის ცვლილებების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის კომისიები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" თითოეული კომისიისა და საბჭოსგან მოითხოვა ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ. **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2014 წლის ფინანსური აუდიტის განმახორციელებელ დროებით კომისიას მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოუდგენია.**

## 8.1 ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისია შედგება პარლამენტის 14 წევრისგან. კომისიის დებულების თანახმად 2015 წელს კომისია აგრძელებდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების ღონისძიებების კოორდინირებას. დამკვიდრდა კონფლიქტების მოწესრიგებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კომისიისა და პარლამენტის კომიტეტების კოორდინირებული მუშაობის და ერთობლივი სხდომების ჩატარების პრაქტიკა. ერთობლივი სხდომები ტარდებოდა ძირითადად საგარეო ურთიერთობათა, ევროპასთან ინტეგრაციის, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტებთან ერთად. 2015 წელს ჩატარდა კომისიის 16 სხდომა, მათ შორის, 14 ერთობლივი სხდომა სხვა კომიტეტებთან ერთად.

კომისიამ ერთობლივ სხდომებზე მოისმინა საგარეო საქმეთა სამინისტროს და შერიგებისა და სამოქალაქო თანხმობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ წარდგენილი ინფორმაციები, ასევე – ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის გელა დუმბაძის მიერ წარდგენილი ინფორმაციები, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის სოზარ სუბარის ანგარიში. გაერთიანებულ სხდომაზე ასევე მოსმენილი იქნა აფხაზეთის მთავრობის ანგარიში 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. კომისიამ სამჯერ განიხილა არასამთავრობო ორგანიზაციების საექსპერტო შეფასებები.

## 8.2 გენდერული თანასწორობის საბჭო

გენდერული თანასწორობის საბჭო პარლამენტის 12 წევრისგან შედგება. საბჭოს ძირითადი ამოცანაა საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი და კანონმდებლობაში არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველყოფის მიზნით წინადადებების შემუშავება, საკანონმდებლო ინიციატივის ფორმით წარდგენილი საკანონმდებლო აქტების პროექტების ექსპერტიზა გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით. გენდერული თანასწორობის საბჭოს არ ჰყავს საკუთარი აპარატი (საბჭოსთან მუშაობს მხოლოდ ერთი კოორდინატორი, რომელიც ამავე დროს ვიცე-სპიკერის თანაშემწეა). საბჭოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის მიზანშეწონილია საბჭოს ჰყავდეს შესაბამისი აპარატი. აღნიშნული რეკომენდაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" პარლამენტის საქმიანობის 2014 წლის ანგარიშშიც იყო მითითებული, თუმცა საბჭოს უფლებამოსილების სათანადოდ განხორციელებისათვის შტატების ზრდა არც 2015 წელს განხორციელებულა. გენდერული თანასწორობის საბჭოს ეფექტიანი საქმიანობისთვის აუცილებელია აპარატის თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდა და კანონპროექტების სისტემური ანალიზი.

2015 წელს ჩატარდა გენდერული თანასწორობის საბჭოს 4 სხდომა. საბჭოს ინფორმაციით, გენდერული თანასწორობის საბჭოს არ განუხორციელებია კანონპროექტების გენდერული ექსპერტიზა, თუმცა, საბჭოს ინფორმაციით, წინა წლისგან განსხვავებით 2015 წელს საბჭოს სხდომებზე განხილული იქნა შემდეგი კანონპროექტები:

- საქართველოს საარჩევნო კოდექსსა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების პროექტები;
- „გენდერული თანასწორობის შესახებ" კანონში ცვლილებების პროექტი;
- 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი (გენდერული ანალიზი);
- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსსა და „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" კანონში ცვლილებების პროექტი.

გენდერული თანასწორობის საბჭოს ინფორმაციის თანახმად საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობს გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მონაწილეობს მათ მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში, ასევე თანამშრომლობს საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწესთან ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში და მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოსთან.

გენდერული თანასწორობის საბჭო ქალთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს 2015 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში და „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" კანონში შეტანილ ცვლილებებს.

## 8.3 ხაზინადართა საბჭო

პარლამენტის რეგლამენტის 261-ე მუხლის თანახმად პარლამენტის საფინანსო საქმიანობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს პარლამენტის თავმჯდომარე შესაბამისი კომიტეტის, აგრეთვე ამ მიზნით შექმნილი ხაზინადართა საბჭოს მეშვეობით. ხაზინადართა საბჭო არის პარლამენტის თავმჯდომარის სათათბირო ორგანო. პარლამენტის თავმჯდომარე განსაზღვრავს ხაზინადართა საბჭოს წევრთა რაოდენობას და ნიშნავს მათ პარლამენტის წევრთაგან პარლამენტის ბიუროსთან შეთანხმებით. 2015 წელს ხაზინადართა საბჭო შედგებოდა პარლამეტნის 11 წევრისაგან. ხაზინადართა საბჭოს ფუნქციაა კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით წარდგინებების მომზადება, რომლებსაც ამტკიცებს პარლამენტის ბიურო. კერძოდ, ხაზინადართა საბჭოს ფუნქციებია ფრაქციების აპარატების თანამშრომელთა სახელფასო ფონდის, უმრავლესობისა და უმცირესობის აპარატების თანამშრომელთა სახელფასო ფონდის საკითხების, ასევე პარლამენტის წევრების საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის საკითხების გადაწყვეტა და ა.შ.

2015 წელს ხაზინადართა საბჭომ მიიღო 156 გადაწყვეტილება, მათ შორის:

- პარლამენტის კომუნალური გადასახადების შესახებ;
- პარლამენტის ავტომობილების ტექნიკური მომსახურების განხორციელების შესახებ;
- პარლამენტის აპარატისათვის საჭირო შესყიდვების შესახებ;
- სატელეფონო როუმინგული ლიმიტების გაზრდის შესახებ;
- პარლამენტის დელეგაციების ვიზიტების ორგანიზებისთვის სამეწარმეო სუბიექტებთან ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ;
- პარლამენტის წევრის საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის შესახებ;
- რეკომენდაცია პარლამენტის აპარატისათვის პარლამენტის ავტოპარკის საბიუჯეტო ხარჯების შემცირებისთვის შესაბამისი პროცედურების განხორციელების შესახებ;
- პარლამენტის შენობის სართულებისა და ოთახების სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით;
- 2015 წლის 13 ივნისის სტიქიური უბედურების შედეგების სალიკვიდაციოდ თანხების მობილიზების მიზნით პარლამენტის ბიუჯეტის 1 000 000 ლარით შემცირებასთან დაკავშირებით;
- ავტომანქანების მომსახურების სააგენტოსათვის გადაცემა შემდგომი განკარგვის მიზნით;
- კომიტეტების აპარატების თანამშრომლებისთვის სახელფასო ფონდის განაწილების შესახებ;
- კომიტეტების აპარატების მოწვეული სპეციალისტებისთვის ხელფასის გამოყოფის შესახებ.

## 8.4 პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის სამეთვალყურეო საბჭო

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის სამეთვალყურეო საბჭო შედგება პარლამენტის 5 წევრისგან. საბჭო პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად ახორციელებს საბიუჯეტო ოფისის საქმიანობის კოორდინირებას. საანგარიშო პერიოდში საბიუჯეტო ოფისმა სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგინა საბიუჯეტო ოფისის 2015-2018 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა და 2015 წლის სამოქმედო გეგმა. სამეთვალყურეო საბჭომ მოიწონა აღნიშნული გეგმა. საბიუჯეტო ოფისმა სამეთვალყურეო საბჭოს ასევე წარუდგინა საბიუჯეტო ოფისის 2014 წლის საქმიანობის ანგარიში. საანგარიშო პერიოდში სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსა და საბიუჯეტო ოფისის წარმომადგენლებს შორის რამდენიმე სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

## 8.5 სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიისა და კონსტიტუციის ცვლილებების პროექტის საყოველთაო–სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიების საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში შეიქმნა ორი კომისია საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო სახალხო განხილვის საორგანიზაციო და ასევე მუშაობას აგრძელებდა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია.

2013 წელს შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია, რომლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის მომზადება. კომისია საქმიანობას აგრძელებდა საანგარიშო პერიოდში. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. კომისიაში შეიქმნა შესაბამისი თემატური სამუშაო ჯგუფები. თემატური ჯგუფების სხდომების უმეტესობა ჩაიშალა კვორუმის არარსებობის გამო. მომზადებული კანონპროექტის პარლამენტისათვის წარდგენის ვადა რამდენჯერმე გადაიწია. თავდაპირველად იყო 2014 წლის 1 სექტემბრამდე, შემდეგ 2015 წლის 1 მარტამდე, 2015 წლის 15 სექტემბრამდე, და ბოლოს 2016 წლის 29 თებერვლამდე. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ საქმიანობის პერიოდში სამი შეხვედრა გამართა, მათ შორის 2015 წლის 28 მარტს ერთი სხდომა. კომისიამ საქმიანობა 2016 წლის 1 თებერვალს უშედეგოდ დაასრულა.

პარლამენტმა 2015 წლის 11 დეკემბერს დადგენილებით შექმნა „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 20 წევრის შემადგენლობით. კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის საკითხი შეეხებოდა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის სამხარეო პროპორციული სისტემით ჩანაცვლებას. კანონპროექტის ავტორი 200 000 ამომრჩეველი იყო.

პარლამენტმა 2015 წლის 18 სექტემბერს დადგენილებით შექმნა „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 10 წევრის შემადგენლობით. წარმოდგენილი ცვლილებებით განისაზღვრება, რომ პარლამენტი შედგება მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით პროპორციული სისტემით არჩეული 150 პარლამენტის წევრისაგან, ასევე საარჩევნო ზღურბლი იცვლება 5-დან 4%-მდე.

# თავი 9 | პარლამენტის წევრთა აქტივობა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" პარლამენტის წევრთა აქტივობა სამი ძირითადი კრიტერიუმით შეაფასა:

1. პარლამენტის წევრის პლენარულ სხდომებზე სიტყვით გამოსვლის სიხშირე: განცხადებების გაკეთება, შეკითხვების დასმა, კანონპროექტებთან და სხვა განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით მოსაზრებების გამოთქმა.
2. პარლამენტის წევრისთვის მინიჭებული საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის უფლების გამოყენება.
3. პარლამენტის წევრის მიერ კანონპროექტებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნები.

## 9.1 პარლამენტის წევრების მიერ ინიცირებული და მიღებული კანონპროექტების რაოდენობა და ინიციატორები

2015 წელს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გამოიყენა პარლამენტის მხოლოდ 34-მა წევრმა, რომელთაგან 24 უმრავლესობის წარმომადგენელია.

**დიაგრამა 7. 2015 წელს ინიცირებული კანონპროექტების რაოდენობა და ავტორები**




ასევე აღსანიშნავია, რომ პარლამენტის 81-მა წევრმა ერთობლივად მოახდინა საარჩევნო კოდექსში ცვლილების ინიცირება, თუმცა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" ვერ მოიპოვა ინფორმაცია, კონკრეტულად რომელმა დეპუტატებმა მოახდინეს ამ ცვლილების ინიცირება.[70]

[70] ინფორმაციის მისაღებად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" მიმართა საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტს, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს, ფრაქცია „ქართულ ოცნებას", თუმცა პარლამენტის ამ 81 წევრის სია ვერ მიიღო. პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებულ კანონპროექტს თან ერთვის დასკანერებული ხელმოწერები, საიდანაც პარლამენტის წევრთა ვინაობის დადგენა ვერ ხერხდება, http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/93553?

**დიაგრამა 8. 2015 წელს მიღებული კანონების რაოდენობა და მათი ავტორები**




## 9.2 პარლამენტის წევრთა პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლების რაოდენობა

2015 წელს პლენარულ სხდომებზე ყველაზე ხშირად სიტყვით გამოვიდნენ (განცხადებების გაკეთება, შეკითხვების დასმა, კანონპროექტებთან და სხვა განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით მოსაზრებების გამოთქმა) შემდეგი დეპუტატები:

უმრავლესობიდან:

1. ეკა ბესელია – 113;
2. ზურაბ ტყემალაძე – 93;
3. გიორგი ვოლსკი– 91;
4. ზაქარია ქუცნაშვილი – 86;
5. გიორგი კახიანი – 80.

უმცირესობიდან:

1. ხათუნა გოგორიშვილი – 112;
2. ჩიორა თაქთაქიშვილი – 112;
3. სერგო რატიანი – 85;
4. აკაკი მინაშვილი – 71;
5. დავით დარჩიაშვილი – 66.

სიტყვით გამოსვლის უფლებით 2015 წელს არ უსარგებლია 26 პარლამენტის წევრს.

2015 წელს სიტყვით გამოსვლის უფლებით ისარგებლა 124-მა პარლამენტის წევრმა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით ოდნავ მაღალია (2014 წელს ამ უფლებით ისარგებლა 114-მა დეპუტატმა).

2013, 2014 და 2015 წლებში პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლის უფლებით საერთოდ არ უსარგებლიათ შემდეგ დეპუტატებს: **ვალერი გელაშვილი, ზაზა კედელაშვილი, გოგი ლიპარტელიანი, ალი მემედოვი, ენზელ მკოიანი, კობა ნაყოფია, რამაზ ნიკოლაიშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი, ლევან ქარდავა, თამაზ ყაჭეიშვილი, ნიკოლოზ ყიფშიძე, რევაზ შავლოხაშვილი, თეიმურაზ ჩხაიძე, თენგიზ ხუბულური.**

**დიაგრამა 9. პარლამენტის წევრთა პლენარულ სხდომებზე სიტყვით გამოსვლის რაოდენობა (30 და მეტი) 2015 წელს**



## საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგი პარლამენტში გამართული დებატების შესახებ

,,საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დაინტერესდა, რას ფიქრობს ხალხი პარლამენტში გამართული დებატების შესახებ და რამდენად ეხება ეს დებატები მოსახლეობისთვის საჭირბოროტო საკითხებს.

**დიაგრამა 10. პარლამენტის წევრთა პლენარულ სხდომებზე სიტყვით გამოსვლის რაოდენობა (30 და მეტი) 2015 წელს**




## 9.3 კომიტეტის სხდომებზე კანონპროექტთან დაკავშირებით გამოთქმული დეპუტატთა შენიშვნები

პარლამენტის წევრის საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია კანონპროექტების განხილვის დროს მათ მიერ კომიტეტის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები, რაც დეპუტატის საკანონმდებლო პროცესში აქტიურობის ერთ-ერთი მაჩვენებელია. შენიშვნები აისახება შენიშვნების ფურცელში, რომელიც თან ერთვის კანონპროექტს და ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ შეისწავლა თითოეული კანონპროექტის შენიშვნების ფურცელი. შენიშვნების გამოთქმის თვალსაზრისით ყველაზე აქტიურები იყვნენ ვახტანგ ხმალაძე (44 შენიშვნა), თამარ კორძაია (9 შენიშვნა) და პაატა კიკნაველიძე (6 შენიშვნა).

**დიაგრამა 11. პარლამენტის წევრთა მიერ კანონპროექტებზე გამოთქმული შენიშვნების რაოდენობა 2015 წელს**




## საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები პარლამენტის წევრთა საქმიანობის შესახებ

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დაინტერესდა, როგორ აფასებენ საქართველოს მოქალაქეები პარლამენტის წევრთა საქმიანობას. კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა მოქალაქეებმა დაასახელეს პარლამენტის წევრები, რომელთა მუშაობაც ყველაზე დადებითად შეფასდა.

**დიაგრამა 12. საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები პარლამენტის წევრთა საქმიანობის შესახებ**



## 9.4 პარლამენტის წევრთა მივლინებები

პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით განისაზღვრება საპარლამენტო დელეგაციების (მათ შორის, მოწვეული ექსპერტების და მრჩევლების), პარლამენტის წევრებისა და პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეების მივლინებები.

საპარლამენტო დელეგაციისა და პარლამენტის წევრის მივლინების საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს (სამივლინებო განაცხადის ვიზირებით) პარლამენტის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – თავმჯდომარის პირველი მოადგილე ან მოადგილე, რომელიც დროებით ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას. პარლამენტის წევრები და აპარატის საჯარო მოსამსახურეები ვალდებული არიან, როგორც წესი, მივლინებაში გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე შეავსონ სამივლინებო განაცხადი, რომელშიც უნდა მიუთითონ მივლინების მიზანი, საფუძველი, ადგილი, სადღეღამისო მგზავრობის, განთავსებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა სამივლინებო დამატებითი ხარჯები და მათი გამღები მხარე.

**2015 წელს სამივლინებო ხარჯებზე დაიხარჯა 1,513,385.63 ლარი. მივლინებაში იყო პარლამენტის 98 წევრი[71].**

**ცხრილი 2: ინფორმაცია პარლამენტის წევრთა მივლინებების შესახებ 2015 წელს.**

| გვარი, სახელი | ხარჯი | მივლინებების რაოდენობა |
|---|---|---|
| ჯაფარიძე თედო | 185954.11 | 42 |
| უსუფაშვილი დავითი | 139736.26 | 19 |
| ბაქრაძე დავითი | 86,068.74 | 22 |
| კობახიძე მანანა | 69122.43 | 17 |
| კანდელაკი გიორგი | 68166.2 | 17 |
| წერეთელი გიორგი | 66197.79 | 16 |
| დოლიძე ვიქტორ | 63381.42 | 24 |
| ბესელია ეკა | 57545.99 | 17 |
| ჩიქოვანი ირაკლი | 54041.67 | 14 |
| სესიაშვილი ირაკლი | 51492.63 | 16 |
| მაღრაძე გუგული | 50716.91 | 13 |
| ბერძენიშვილი ლევანი | 49,424.06 | 19 |
| კვაჭანტირაძე ზვიადი | 42115.38 | 15 |
| თაქთაქიშვილი ჩიორა | 37106.23 | 14 |
| აბაშიძე ზურაბი | 29026.66 | 11 |
| ვოლსკი გიორგი | 25684.35 | 11 |
| ბარამიძე გიორგი | 24594.97 | 7 |

[71] თინათინ ხიდაშელსა, გიგლა აგულაშვილს, დავით საგანელიძეს შეუწყდათ პარლამენტის წევრის უფლებამოსილება. 2015 წელს უფლებამოსილების შეწყვეტამდე მივლინებების მონაცემები იყო შემდეგი: თინა ხიდაშელი 9 ვიზიტი, 27482.58 გიგლა აგულაშვილი 1 ვიზიტი - 1364.77, დავით საგანელიძე 8 ვიზიტი - 10058.5

| გვარი, სახელი | ხარჯი | მივლინებების რაოდენობა |
|---|---|---|
| მაჭავარიანი მიხეილ | 20696.82 | 8 |
| ბუკია გიგა | 17314.09 | 4 |
| ონოფრიშვილი დავითი | 16238.67 | 6 |
| ძიძიგური ზვიადი | 15124.89 | 5 |
| ჟორჟოლიანი გია | 14807.53 | 6 |
| სანიკიძე გუბაზი | 12652.78 | 6 |
| პოღოსიანი რუსლანი | 12577.51 | 9 |
| დარჩიაშვილი დავით | 11,541.31 | 6 |
| ებანოიძე ნოდარი | 9689.52 | 8 |
| ვახტანგაშვილი მალხაზი | 9669.45 | 7 |
| ცაგარეიშვილი გიორგი | 8814.65 | 5 |
| სამხარაული გელა | 8615.45 | 4 |
| საჯაია მარიამ | 9724.43 | 4 |
| ლონდარიძე ტარიელი | 8223.68 | 3 |
| საყვარელიძე ფრიდონი | 7719.84 | 3 |
| მაისურაძე თემური | 7693.77 | 3 |
| ნადირაშვილი ირმა | 7634.01 | 2 |
| მელიქიშვილი ზურაბი | 7323.16 | 4 |
| კაჭახიძე მერაბი | 6739.4 | 2 |
| ჩაფიძე ელისო | 6669.87 | 1 |
| ფოფხაძე გედევან | 6219.6 | 4 |
| ქუცნაშვილი ზაქარია | 5819.57 | 5 |
| ჩრდილელი ოთარი | 5314.03 | 3 |
| კორძაია თამარი | 4855.86 | 8 |
| ტრიპოლსკი ერეკლე | 4440.26 | 1 |
| კიკნაველიძე შალვა | 4309.72 | 4 |
| ბოკუჩავა თინათინ | 4268.25 | 2 |
| პაპუაშვილი ზაზა | 4176.61 | 1 |
| მეგრელიძე ომარი | 3823.34 | 2 |
| ჩიტაშვილი ვაჟა | 3823.34 | 2 |
| კიკნაველიძე პაატა | 3808.86 | 2 |

| გვარი, სახელი | ხარჯი | მივლინებების რაოდენობა |
|---|---|---|
| ენუქიძე გოჩა | 3803.85 | 1 |
| გაბაშვილი გიორგი | 3761.89 | 1 |
| ხუნდაძე დიმიტრი | 3740.42 | 5 |
| თოფაძე გიორგი | 3563.29 | 1 |
| ჯაფარიძე ვიქტორ | 3476.22 | 1 |
| თამაზაშვილი ალექსანდრე | 3430.9 | 3 |
| შავგულიძე შალვა | 3401.36 | 2 |
| ჟვანია გიორგი | 3391.96 | 1 |
| ბეჟაშვილი ლევანი | 3370.19 | 2 |
| კახიანი გიორგი | 3345.54 | 3 |
| წიკლაური მირიან | 3312.37 | 2 |
| ლეჟავა პაატა | 3196.73 | 2 |
| ქარდავა ლევანი | 3034.65 | 2 |
| კვიჟინაძე პაატა | 2982.83 | 3 |
| ბარათაშვილი პაატა | 2925.1 | 2 |
| გუჯაბიძე ბიძინა | 2665.77 | 1 |
| წერეთელი მალხაზი | 2665.77 | 1 |
| მეჭიაური თამაზი | 2570.16 | 4 |
| ჭკუასელი თეიმურაზ | 2494.5 | 3 |
| ცისკარიშვილი პეტრე | 2477.53 | 3 |
| ტყემალაძე ზურაბი | 2473.5 | 3 |
| მამედოვი ალი | 2465.37 | 1 |
| წიკლაური ნუგზარი | 2465.37 | 1 |
| ხმალაძე ვახტანგი | 2445.6 | 1 |
| მინაშვილი აკაკი | 2187.2 | 2 |
| გაჩეჩილაძე გიორგი | 2146.22 | 1 |
| ჯაფარიძე ზურაბი | 2115.89 | 1 |
| ბობოხიძე აკაკი | 1948.59 | 1 |
| თევდორაძე გიორგი | 1933.53 | 1 |
| ბერძენიშვილი დავითი | 1897.75 | 2 |
| მიროტაძე ანი | 1717.63 | 1 |

| გვარი, სახელი | ხარჯი | მივლინებების რაოდენობა |
|---|---|---|
| გოზალიშვილი გიორგი | 1128.62 | 1 |
| ფეიქრიშვილი გიორგი | 1128.62 | 1 |
| ზვიადაური ზურაბი | 1054.62 | 1 |
| ლორთქიფანიძე დავითი | 1054.62 | 1 |
| ჩხაიძე თეიმურაზი | 1054.62 | 1 |
| ხაბარელი შოთა | 1054.62 | 1 |
| პეტროსიანი სამველ | 1019.48 | 3 |
| გოგორიშვილი ხათუნა | 937.72 | 2 |
| ლემონჟავა ვახტანგი | 867 | 1 |
| ვაშაძე გიორგი | 799.28 | 1 |
| ბაშალეიშვილი დემური | 582.8 | 1 |
| ჩხეტიანი დარეჯანი | 509.04 | 1 |
| ხეჩიაშვილი გიორგი | 442.01 | 1 |
| ხაჩიძე გიორგი | 417.18 | 2 |
| მკოიან ენზელ | 205.5 | 1 |
| ნერგაძე თეიმურაზ | 196.98 | 1 |
| ხალვაში ფატი | 196.98 | 1 |

# თავი 10 პარლამენტის წევრების მონაწილეობა პლენარულ სხდომებსა და კომიტეტების მუშაობაში, დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი

2015 წელს საქართველოს პარლამენტში პლენარული სხდომების საპატიო მიზეზით გაცდენის 2199 შემთხვევა დაფიქსირდა (2014 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 272-ით გაიზარდა.). არასაპატიო მიზეზით ერთზე მეტი სხდომის გაცდენისთვის დეპუტატებისთვის ხელფასის 10%-ის დაკავება არ განხორციელებულა (პარლამენტის რეგლამენტის თანახმად პარლამენტის წევრს ხელფასი არ უკავდება რიგგარეშე სხდომის გაცდენის შემთხვევაში).

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტიდან მოითხოვა და გაანალიზა ინფორმაცია პლენარულ სხდომებში პარლამენტის წევრთა მონაწილეობის შესახებ.

## 10.1 პლენარული და კომიტეტების სხდომების საპატიო მიზეზებით გაცდენა

საქართველოს პარლამენტის 2015 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიების პერიოდში პარლამენტის წევრებმა სხვადასხვა საპატიო მიზეზით გააცდინეს 2199 სხდომა. გაცდენების მიზეზები შემდეგია:

- ავადმყოფობა – 118 გაცდენა (2014 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 64-ით შემცირდა);
- ოჯახური მდგომარეობა – 1442 გაცდენა (2014 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 65-ით გაიზარდა);
- სამსახურებრივ მივლინებაში ყოფნა – 337 გაცდენა (2014 წელთან შედარებით ეს მაჩვენებლი 31-ით შემცირდა);
- პოლიტიკური მოსაზრება – 302 გაცდენა.

**პარლამენტმა ვერ შეძლო ცვლილებები შეეტანა პარლამენტის რეგლამენტში, რის შედეგადაც ოჯახური მდგომარეობა გაცდენის საპატიო მიზეზად აღარ ჩაითვლებოდა**. კერძოდ, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა მოახდინა შესაბამისი კანონპროექტის ინიცირება, რომლის განხილვის ეტაპზეც წარდგენილი იქნა ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ ალტერნატიული წინადადება. კანონპროექტი პირველი მოსმენით იქნა მიღებული პლენარულ სხდომაზე. კანონპროექტი მეორე საკომიტეტო მოსმენაზე მოიწონა წამყვანმა კომიტეტმა, თუმცა მეორე მოსმენით პლენარულ სხდომაზე მისი განხილვა აღარ მომხდარა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ პარლამენტიდან ასევე მოითხოვა ინფორმაცია კომიტეტების სხდომების საპატიო მიზეზებით გაცდენების შესახებ. **ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის გარდა**, ეს ინფორმაცია ყველა კომიტეტმა წარმოადგინა.

**დიაგრამა 13. პარლამენტის ოცი წევრი, რომლებსაც 2015 წელს საპატიო მიზეზით გაცდენილი აქვთ ყველაზე მეტი პლენარული სხდომა**



**დიაგრამა 14. პარლამენტის ოცი წევრი, რომელთაც 2015 წელს საპატიო მიზეზით გაცდენილი აქვთ ყველაზე მეტი კომიტეტის სხდომა**




## 10.2 პლენარული და კომიტეტის სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენა

2015 წელს პლენარული სხდომების არასაპატიო მიზეზით ყველაზე მეტი გაცდენა აქვთ:

- ზურაბ ჯაფარიძე - 10 გაცდენა
- ნიკოლოზ ყიფშიძე - 10 გაცდენა
- კობა დავითაშვილი - 9 გაცდენა

2015 წელს საკომიტეტო სხდომების არასაპატიო მიზეზით ყველაზე მეტი გაცდენა აქვთ:

- ნუგზარ წიკლაური - 73 გაცდენა
- მარიამ საჯაია - 69
- ლეჟავა პაატა - 62
- ღვინიაშვილი გიორგი -62

**დიაგრამა 15. 2015 წელს პლენარული სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენების რაოდენობა**




**დიაგრამა 16. 2015 წელს კომიტეტის სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენების რაოდენობა**



# თავი 11 პარლამენტის კომიტეტების მუშაობის შეფასება

პარლამენტის კომიტეტების მუშაობის შესაფასებლად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" მოითხოვა ინფორმაცია პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტიდან და შეისწავლა პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებული არ არის ყველა კომიტეტის ანგარიში 2015 წლის საგაზაფხულო სესიის პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ (რომელიც რეგლამენტის თანახმად პარლამენტს საშემოდგომო სესიის დაწყებისთანავე წარედგინება) და  სამოქმედო გეგმა.

პარლამენტის კომიტეტების საქმიანობის მონიტორინგისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებული იყოს წამყვანი და სხვა  კომიტეტების მიერ შემუშავებული დასკვნები, რაც წარმოადგენს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს"  ერთ-ერთ რეკომენდაციას ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმაში.

**კომიტეტების საქმიანობის შეფასებისას იდენტიფიცირებულია რამდენიმე კრიტერიუმი, რომლებიც მნიშვნელოვანია პარლამენტის კომიტეტების მუშაობის პროცესში. ეს კრიტერიუმებია:**

- კომიტეტების საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობა (ინიცირებული და განხილული კანონპროექტების, ჩატარებული სხდომების რაოდენობა);
- კომიტეტების მიერ საკანონმდებლო წინადადებების განხილვა;
- მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირება;
- ექსპერტებთან ურთიერთობა;
- კომიტეტების მიერ სამუშაო ჯგუფების შექმნა.

## 11.1 კომიტეტების საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობა

2015 წელს ყველაზე მეტი (80) კანონპროექტის ინიციირება განახორციელა იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა მოახდინა 22 კანონპროექტის ინიციირება, ხოლო ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა – 12 კანონპროექტის ინიციირება.

განხილული კანონპროექტების რაოდენობით, ლიდერობს იურიდიულ საკითხთა კომიტეტი, რომელმაც 397 კანონპროექტი განიხილა (კომიტეტი წამყვანი იყო 220 კანონპროექტზე, სავალდებულო დასკვნა მოამზადა 177 კანონპროექტზე). ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა განიხილა 277 კანონპროექტი. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა  განიხილა 186 კანონპროექტი, ხოლო თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა – 134 კანონპროექტი.

საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი სხდომა (78) ჩაატარა იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა; მეორე ადგილზეა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი (75 სხდომა), მესამე ადგილზე კი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი (67 სხდომა).

**დიაგრამა 17. კომიტეტების მიერ 2015 წელს განხილული კანონპროექტების, ჩატარებული სხდომების და ინიციირებული კანონპროექტების რაოდენობა**




## 11.2 კომიტეტების მიერ საკანონმდებლო წინადადებების განხილვა

პარლამენტის რეგლამენტის თანახმად საკანონმდებლო წინადადება არის საკანონმდებლო ინიციატივის უფლების არმქონე სუბიექტის მიერ პარლამენტისათვის წარდგენილი, დადგენილი წესით გაფორმებული, დასაბუთებული მიმართვა ახალი კანონის მიღების, კანონში ცვლილების შეტანის ან კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

საკანონმდებლო წინადადების წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, სახელმწიფო ორგანოებს (საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების გარდა), ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, კანონით დადგენილი წესით საქართველოში რეგისტრირებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებს და სხვა იურიდიულ პირებს. მას პარლამენტი კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად განიხილავს. საკომიტეტო განხილვის შედეგად საკანონმდებლო წინადადება მოტივირებული გადაწყვეტილებით კომიტეტის მიერ შეიძლება ცნობილი იქნეს მიღებულად ან უარყოფილად.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დაინტერესდა, რამდენი საკანონმდებლო წინადადება განიხილეს კომიტეტებმა საანგარიშო პერიოდში და რა შედეგებით დასრულდა ეს განხილვები.

საგარეო ურთიერთობათა, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, გარემოსა დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა, საპროცედურო საკითხთა და წესების, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტებს საკანონმდებლო წინადადებები არ განუხილავთ.

**აგრარულ საკითხთა კომიტეტმა** განიხილა ფიზიკური პირების მიერ წარდგენილი 2 საკანონმდებლო წინადადება, თუმცა კომიტეტმა არც ერთი წინადადების ინიცირება არ მოახდინა
.

**ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა** განიხილა 28 საკანონმდებლო წინადადება. ყველაზე მეტი საკანონმდებლო წინადადების ავტორი იყო სახალხო დამცველი. კომიტეტის ინფორმაციით კომიტეტმა გაიზიარა სახალხო დამცველის ყველა წინადადება საკუთარი შენიშვნების გათვალისწინებით და მოამზადა დადებითი დასკვნა. სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადებების საფუძველზე კომიტეტმა მოახდინა შემდეგი კანონპროექტების ინიცირება:

- „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე";
- „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში" ცვლილებების შეტანის შესახებ";
- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე".

**რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტმა** განიხილა 3 საკანონმდებლო წინადადება (ორი ფიზიკური და ერთი იურიდიული პირის მიერ წარდგენილი), რომლებიც უარყოფილი იქნა კომიტეტის მიერ.

**განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა** განიხილა 4 საკანონმდებლო წინადადება, რომელთაგან 2 წინადადება ჩამოყალიბდა საკანონმდებლო ინიციატივად.

**იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა** განიხილა 15 საკანონმდებლო წინადადება. ამ წინადადებების ავტორების უმეტესობა ფიზიკური პირები იყვნენ. სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე კომიტეტმა მოახდინა კანონპროექტის ინიცირება, რომელიც მიღებულია პარლამენტის მიერ. ამ კანონის მიხედვით მშობლებსა და მზრუნველებს აღარ ექნებათ 16 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირებისთვის ქორწინებაზე თანხმობის მიცემის უფლება.

**საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა** განიხილა 5 საკანონმდებლო წინადადება. ყველა მათგანზე მიღებული იქნა უარყოფითი დასკვნა.

**საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა** განიხილა 6 საკანონმდებლო წინადადება, თუმცა არც ერთის ინიცირება არ განხორციელებულა. საკანონმდებლო წინადადებათა უმეტესობა ფიზიკურ პირებს ეკუთვნოდა.

**ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა** განიხილა 12 საკანონმდებლო წინადადება. 6 საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე კომიტეტმა მოახდინა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" კანონპროექტის ინიცირება, რომელიც პარლამენტმა მიიღო. წინადადებების ავტორების უმეტესობა ფიზიკური პირები იყვნენ.

**დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა** განიხილა 6 საკანონმდებლო წინადადება, რომლებიც ძირითადად ფიზიკური პირების მიერ იყო წარდგენილი. 2 საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე კომიტეტმა მოახდინა კანონპროექტის ინიცირება.

## 11.3 მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირება

პარლამენტის კომიტეტების საქმიანობა მხოლოდ კანონპროექტების ინიცირებით და საკომიტეტო მოსმენებით არ შემოიფარგლება. სხვადასხვა კომიტეტი, სპეციფიკიდან გამომდინარე, ბევრ სხვა მნიშვნელოვან საქმიანობასაც ახორციელებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირება. მიმართვიანობის განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლით ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი გამოირჩევა. ამ კომიტეტს, ისევე როგორც 2014 წელს, 2015 წელსაც მოქალაქეთა მიმართვიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში კომიტეტში შევიდა 11107 კორესპონდენცია, აქედან 6690 განცხადება, რაც პარლამენტში 2015 წელს შესული წერილების საერთო რაოდენობის დაახლოებით 43%-ია. კომიტეტის მიერ სხვადასხვა უწყებებში რეაგირების მიზნით გაიგზავნა 4057 წერილი, აქედან სხვადასხვა უწყებებში გაიგზავნა – 3878, ხოლო განმცხადებელს გაეგზავნა 179 განმარტებითი წერილი.

მიღებული წერილების რაოდენობით მეორე ადგილზეა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი, რომელსაც 1448 განცხადებით მიმართეს, საიდანაც რეაგირება მოხდა 773 განცხადებაზე. იურიდიულ საკითხთა კომიტეტს 697 წერილით მიმართეს, აქედან 575-ზე მოხდა რეაგირება.

**დიაგრამა 18. 2015 წელს პარლამენტის კომიტეტებისთვის მიმართვების და შესაბამისი რეაგირებების რაოდენობა**



## 11.4 პარლამენტის კომიტეტების მიერ სამუშაო ჯგუფების შექმნა და საქმიანობის შედეგები

პარლამენტის რეგლამენტის 29-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად პარლამენტისა და მისი კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის, საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადების მიზნით და სხვა მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით კომიტეტი ქმნის სამუშაო ჯგუფებს. სამუშაო ჯგუფების საქმიანობას უზრუნველყოფს კომიტეტის აპარატი.

2015 წელს პარლამენტის კომიტეტებში შექმნილი სამუშაო ჯგუფების რაოდენობა:

1. **აგრარულ საკითხთა კომიტეტმა** შექმნა ორი სამუშაო ჯგუფი, რომლებიც მუშაობენ კანონპროექტების მომზადებასა და ინიციირებაზე.
2. **ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა** შექმნა 6 სამუშაო ჯგუფი:

- წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ;
- საკუთრების უფლების უკანონო ხელყოფის ფაქტების შესახებ;
- ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ;
- მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების ახალი მექანიზმის შემუშავების შესახებ;
- სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადებების მიხედვით საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების შემუშავების შესახებ;
- სახალხო დამცველის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებასთან დაკავშირებით.

წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ და საკუთრების უფლების უკანონო ხელყოფის ფაქტების შესახებ სამუშაო ჯგუფებმა 2015 წლის 20 ოქტომბერს კომიტეტის სხდომაზე წარადგინეს შემაჯამებელი ანგარიშები. მათ ასევე მოამზადეს შემაჯამებელი დასკვნები: „2004-2012 წლებში საკუთრების უფლების უკანონო ხელყოფის ფაქტების შესახებ“ და „2004-2012 წლებში არაადამიანური მოპყრობისა და წამების ფაქტების შესახებ“, რომლებშიც აისახა სხვადასხვა უწყებებისთვის ამ ჯგუფების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

3. **გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა** შექმნა 2 სამუშაო ჯგუფი:

- საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სახეობების დამტკიცების შესახებ;
- ტყის კოდექსის წინასწარი განხილვების შესახებ.

4. **ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტში** შეიქმნა წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის შემუშავების მიზნით, რის შედეგადაც კომიტეტმა მოამზადა „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებები და მოახდინა მისი ინიცირება. ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები, მომხმარებელთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნესის წარმომადგენლები და ექსპერტები.

5. **თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში** შექმნილი იყო უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონის მიღებასთან დაკავშრებით. აღნიშნული კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.

6. **იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა** შექმნა 4 სამუშაო ჯგუფი:

- მოწმეთა დაკითხვის წესის ცვლილებასთან დაკავშირებით;
- ქმედუნარიანობის სამართლებრივი ინსტიტუტის რეფორმასთან დაკავშირებით;
- საპოლიციო გამოსახლების ინსტიტუტის გაუქმებასთან დაკავშირებით;

- 1990-1991 წლებში არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრების მიერ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე.

კომიტეტის ინფორმაციით პირველ სამ შემთხვევაში მოხდა შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ინიცირება.

7. **რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტმა** მთავრობის მიერ ინიცირებული „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონის პროექტის მომზადების და შემუშავების პროცესში შექმნა სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.

8. **საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა** შექმნა სამი სამუშაო ჯგუფი, რომელთა რეკომენდაციების საფუძველზეც მოხდა შემდეგი კანონებპროექტების ინიცირება: „დაზღვევის შესახებ“, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ და მისი თანმდევი კანონპროექტები და „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“.

9. **სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომიტეტის** ინფორმაციით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში შეიქმნა თემატური ჯგუფი კომიტეტისა და სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით. მოწოდებული ინფორმაციიდან არ ირკვევა, საუბარია თუ არა კომიტეტის მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფზე.

10. **ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში** სამუშაო ჯგუფი არ შექმნილა. თუმცა, კომიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2014 წელს შექმნილი **4** სამუშაო ჯგუფი აგრძელებდა მუშაობას სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების, სახალხო დამცველის და მოქალაქეთა მიერ წარდგენილ 6 საკანონმდებლო წინადადებაზე. ერთ შემთხვევაში მოხდა „სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონში ცვლილების ინიცირება, რომელიც პარლამენტმა 2015 წლის 27 ნოემბერს მიიღო.

**განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტს, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს საანგარიშო პერიოდში სამუშაო ჯგუფი არ შეუქმნიათ.**

## 11.5 პარლამენტის კომიტეტების ურთერთობა ექსპერტებთან

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ პარლამენტის კომიტეტებს მიმართა კითხვით, საანგარიშო პერიოდში დასკვნებისა და რეკომენდაციების მისაღებად რამდენჯერ და რომელ კანონპროექტებთან დაკავშირებით მიმართეს ექსპერტებს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს და რამდენჯერ მიიღეს შესაბამისი წერილობითი დასკვნა და რეკომენდაცია. კომიტეტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ხშირ შემთხვევაში არ ჩანს, კომიტეტებმა თავად მიმართეს ექსპერტებს თუ ექსპერტებმა საკუთარი ინიციატივით მიაწოდეს მათ დასკვნა/რეკომენდაცია.

**აგრარულ საკითხთა კომიტეტმა** „აგროდაზღვევის შესახებ კანონპროექტზე მუშაობისას რეკომენდაციისთვის მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციას. ასევე „ქარსაფარი (მინდორდაცვითი ზოლების) შესახებ კანონპროექტზე მუშაობისას კომიტეტმა კონსულტაციები გაიარა გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან. წარდგენილი წინადადებებისა და შენიშვნების ნაწილი აისახა შესაბამის კანონპროექტებში.

**ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა** გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით კომიტეტის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების („ადრეული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონში) პაკეტის მომზადებისას ითანამშრომლა საერთაშორისო ექსპერტებთან.

**დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის** ინფორმაციით კომიტეტის მიმართვის საფუძველზე განსახილველ კანონპროექტებთან დაკავშრებით მიღებული იქნა 12 წერილობითი დასკვნა.

**თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში** შექმნილი იყო უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონის მიღებასთან დაკავშირებით. კომიტეტის ინფორმაციით ჯგუფის რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო შესაბამის კანონპროექტში, რომელიც მიღებული იქნა და უკვე ძალაშია შესული. კანონპროექტის განხილვაში მონაწილეობდნენ უცხოელი ექსპერტები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებმაც კომიტეტს წერილობითი რეკომენდაციები მიაწოდეს.

**იურიდიულ საკითხთა კომიტეტი** მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამუშაო ჯგუფების ფორმატში თანამშრომლობდა მეცნიერებათა აკადემიიდან და თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტიდან მოწვეულ ექსპერტებთან, რომელთა ჩართულობითაც მომზადდა კანონპროექტი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ.

**რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის** ინფორმაციით საანგარიშო პერიოდში „საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონის პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე დასკვნებისა და რეკომენდაციებისთვის მიმართა დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მეცნიერებს, ექსპერტებს და დარგის სპეციალისტებს. კანონპროექტის წინასაინიციატივო ვარიანტებზე მუშაობის პროცესში უშუალოდ მონაწილეობდა დაახლოებით 30 არასამთავრობო ორგანიზაცია და 60 ექსპერტი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში კომიტეტის თავმჯდომარისა და წევრების მონაწილეობით გაიმართა 3 შეხვედრა მთის პრობლემებით დაინტერესებულ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომიტეტმა მიიღო 37 შენიშვნა, წინადადება და რეკომენდაცია, რომლებიც აისახა კანონის საბოლოო ვერსიაში.

**ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის** ინფორმაციით კანონშემოქმედებითი, კონცეპტუალური დოკუმენტების შექმნისა და საფინანსო-საბიუჯეტო ზედამხედველობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით კომიტეტში მიწვეულები იყვნენ დარგის ექსპერტები. „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ კანონის პროექტის და მისგან გამომდინარე სხვა კანონპროექტების, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და „აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტების განხილვის დროს დასკვნებისა და რეკომენდაციებისთვის კომიტეტმა მიმართა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ექსპერტებს. როგორც კომიტეტი უთითებს, ზემოხსენებული კანონების შემუშავებაში ჩართული იყო შემდეგი ორგანიზაციები: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენო (USAD) საქართველოში ტუბერკულოზის პრევენციის პროექტი (URC), აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები, აივ ინფექცია/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული ,,ტუბერკულოზის ყველა ფორმის, მათ შორის რეზისტენტული ტუბერკულოზის ხარისხიანი დიაგნოსტირებისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროგრამა“, გლობალური ფონდის აივ/შიდსის პროექტი, არასამთავრობო ორგანიზაციები: ,,ბემონი“, ,,თანადგომა“, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი (UNICEF), ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი.

**სხვა კომიტეტებს აღნიშნული შესაძლებლობით არ უსარგებლიათ.**

## 11.6 იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წარმომადგენლობა საკონსტიტუციო სასამართლოში

საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლოში განხორციელდა 14 კონსტიტუციური სარჩელის და 4 კონსტიტუციური წარდგინების არსებითი განხილვის 20 პროცესზე წარმომადგენლობა. ამ სარჩელებიდან და წარდგინებებიდან ორი კონსტიტუციური სარჩელი (592, 630) და ორი წარდგინება (608, 609) სრულად დაკმაყოფილდა, ერთი კონსტიტუციური სარჩელი (646) დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ორ სარჩელთან (625, 640) დაკავშირებით ჯერ არ დასრულებულა არსებითი განხილვის სხდომა, ხოლო დანარჩენ სარჩელებზე (550, 591, 594, 596, 600, 623, 631, 636, 642, 633, 634) საკონსტიტუციო სასამართლოს ჯერ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება. ასევე განხორციელდა 14 კონსტიტუციური სარჩელის 19 განმწესრიგებელ სხდომაზე წარმომადგენლობა, რომელთაგან სასამართლომ 9 სარჩელი მიიღო არსებითად განსახილველად, 4 სარჩელი განჩინებით არ მიიღო არსებითად განსახილველად, ხოლო ერთ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლოს ჯერ არ მიუღია საოქმო ჩანაწერი/განჩინება.

- **საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2015 წელს მიღებული გადაწყვეტილებები ისეთ საქმეებზე, რომლებშიც მოპასუხე მხარეს საქართველოს პარლამენტი წარმოადგენდა**

2015 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება 10 ისეთ საქმეზე, რომლებზეც მოპასუხე მხარეს საქართველოს პარლამენტი წარმოადგენდა. მათგან, სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა 7, ნაწილობრივ დააკმაყოფილა 2, ხოლო 1 არ დააკმაყოფილა.

- **საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2015 წელს მიღებული განჩინებები, როდესაც მოპასუხე მხარეს საქართველოს პარლამენტი წარმოადგენდა**

2015 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო 20 განჩინება, რომლებთან დაკავშირებულ საქმეებშიც მოპასუხე მხარეს საქართველოს პარლამენტი წარმოადგენდა. აქედან სამ საქმეზე სამართალწარმოება შეწყდა სადავო ნორმის ცვლილების გამო, ხოლო 6 საქმეზე სამართალწარმოება შეწყდა მოსარჩელის მოთხოვნით. დანარჩენი საქმეებიდან ერთზე ჩატარდა ზეპირი მოსმენა პარლამენტის წარმომადგენლის მონაწილეობით, დანარჩენ საქმეებზე პარლამენტის მონაწილეობის გარეშე, არ იქნა მიღებული საქმეები არსებითად განსახილველად.

- **წელს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2015 წელს მიღებული საოქმო ჩანაწერები, რომლებთან დაკავშირებულ საქმეებშიც მოპასუხე მხარეს საქართველოს პარლამენტი წარმოადგენდა**

2015 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო 25 საოქმო ჩანაწერი, რომლებთან დაკავშირებულ საქმეებშიც მოპასუხე მხარეს საქართველოს პარლამენტი წარმოადგენდა. ამათგან 11 საქმეზე განმწესრიგებელი სხდომა ჩატარდა ზეპირი მოსმენით, საქართველოს პარლამენტის მონაწილეობით.

## 11.7 ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის საქმიანობა

2015 წელს კომიტეტმა განახორციელა 15-მდე კანონპროექტის ანალიზი „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ" შეთანხმებასა და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. კომიტეტის სხდომებზე გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები გადაეცა კანონპროექტების ინიციატორებს და წამყვან კომიტეტებს, თუმცა კომიტეტს არ წარმოუდგენია ინფორმაცია, კონკრეტულად რომელი კანონპროექტების ანალიზი განხორციელდა.

# თავი 12 მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დაინტერესდა მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობით. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ამომრჩევლებთან მუშაობის ორგანიზების, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოების საქმიანობასა და ადგილობრივ დონეზე საკითხების გადაწყვეტაში პარლამენტის წევრის მონაწილეობის მიზნით, ადგილებზე იქმნება მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრთა ბიუროები. ბიუროს საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს პარლამენტის ბიუჯეტი. პარლამენტის თითოეული მაჟორიტარი წევრის ბიუროს საქმიანობა ყოველთვიურად 5000 ლარით ფინანსდება.

2015 წელს მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობის შესწავლისას, ისევე როგორც წინა საანგარიშო პერიოდში, პრობლემური აღმოჩნდა ამ ბიუროების საკონტაქტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მაჟორიტარი პარლამენტის წევრების პერსონალურ ვებგვერდებზე (რომლებიც პარლამენტის ვებგვერდზეა მიბმული) ინფორმაცია განახლებული არ არის. ბიუროების საკონტაქტო ინფორმაცია, მისამართები და ტელეფონის ნომრები რიგ შემთხვევებში არასწორად არის მითითებული. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლებმა ისევ პირადი კავშირების მეშვეობით შეძლეს შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება. ასეთ სიტუაციაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საკითხი, რამდენად წარმატებით ახერხებენ მოქალაქეები მაჟორიტარ დეპუტატებთან კომუნიკაციას.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აქტიურად თანამშრომლობს მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროებთან. 2015 წელს ბიუროების თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემებზე: „საქართველოს საბიუჯეტო სისტემა და პარლამენტის საბიუჯეტო ზედამხედველობა – სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები: ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება". ტრენინგი გაიარა მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების 60-მა თანამშრომელმა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროებს რამდენიმე შეკითხვით მიმართა. შეკითხვები ეხებოდა ბიუროების საქმიანობას და მოქალაქეებთან კომუნიკაციას. გაგზავნილ შეკითხვებს პასუხი გასცა 47 ბიურომ, უმეტეს შემთხვევაში დაგვიანებით. შეკითხვები ეხებოდა საანგარიშო პერიოდს და დასმული იყო შემდეგნაირად:

- საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიების პერიოდში რამდენმა მოქალაქემ მიმართა ბიუროს (წერილობით, ზეპირად) და უმთავრესად რა პრობლემები გამოიკვეთა;
- ბიუროს ან/და მაჟორიტარი პარლამენტის წევრის მიერ რამდენი საჯარო შეხვედრა გაიმართა მოქალაქეებთან, სად და რა საკითხებზე;
- ჩაატარა თუ არა ბიურომ მოსახლეობის საჭიროებების გამოსავლენად რაიმე სახის გამოკითხვა, კვლევა, ანალიზი და რა პრობლემები გამოვლინდა;
- რა სახის და რამდენად ინტენსიური კომუნიკაცია ჰქონდა ბიუროს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და როგორ ხორციელდებოდა მოსახლეობის პრობლემების აქცენტირება ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე;
- ინფორმაცია ბიუროს მიერ მისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესახებ;
- გამოქვეყნებული იყო თუ არა ბიუროს მიერ საინფორმაციო ბიულეტენი (ვებგვედზე ან ბეჭდური სახით), რა საკითხებს ეხებოდა ბიულეტენი და როგორი ფორმით გაეცნო მას მოსახლეობა.

## საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები მაჟორიტარი პარლამენტის წევრების საქმიანობის შესახებ

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დაინტერესდა, იციან თუ არა საქართველოს მოქალაქეებმა, ვინ არის მაჟორიტარი პარლამენტის წევრი მათი ოლქიდან, როგორ აფასებენ მის საქმიანობას და ეთანხმებიან თუ არა პარლამენტის წევრების მაჟორიტარული სისტემით არჩევის გაუქმებას.

**დიაგრამა 19. საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები პარლამენტის მაჟორიტარი წევრების შესახებ**



**დიაგრამა 20. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები მაჟორიტარი პარლამენტის წევრების საქმიანობასთან დაკავშირებით**




**დიაგრამა 21. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები პარლამენტის წევრების მაჟორიტარული სისტემით არჩევნების გაუქმების შესახებ**



## 12.1 მოქალაქეთა მიმართვები და პრობლემები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“, წინა წლისგან განსხვავებით, მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროებისგან მოითხოვა ინფორმაცია მოქალაქეთა იმ მიმართვების შესახებ, რომლებიც შესაბამისი წესით ოფიციალურად იყო აღრიცხული, თუმცა მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმების შესაძლებლობა არ არსებობს. სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში ამ კითხვას ბიუროებმა თავი აარიდეს და არ მიუთითეს, აღრიცხული იყო თუ არა ოფიციალურად მიმართვების რაოდენობა. აუცილებელია, რომ ბიუროებმა უზრუნველყონ მოქალაქეთა მიმართვების სათანადო წესით აღრიცხვა.

ბიუროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ზეპირი მიმართვების აღრიცხული მაჩვენებლები (პირველი ხუთეული):

- იოსებ ჯაჭვლიანი – 1258;
- ზვიად კვაჭანტირაძე – 1200;
- ზურაბ აბაშიძე - 786
- შოთა ხაბარელი - 755
- ეკა ბესელია – 650;

ბიუროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე წერილობითი მიმართვების რეგისტრირებული მაჩვენებლები (პირველი ხუთეული):

- იოსებ ჯაჭვლიანი – 405;
- შოთა ხაბარელი - 394
- გურამ მისაბიშვილი – 349;
- ფატი ხალვაში – 265;
- შალვა შავგულიძე - 194

## 12.2 ამომრჩეველთა პრობლემები და კვლევის შედეგები

მაჟორიტარი პარლამენტის წევრის საქმიანობის პროცესში მნიშვნელოვანია, რომ მის მიერ სწორად იქნეს დანახული, რა პრობლემები და საჭიროებები აქვს ამომრჩეველს. შესაბამისად, მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების ეფექტიანი საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია მოსახლეობის პრობლემების იდენტიფიცირება და ანალიზი. ამ მიზნით შესაძლებელია ჩატარდეს მოსახლეობის (გარკვეული ჯგუფის) გამოკითხვა, ასევე მოქალაქეთა განცხადებების, საჯარო შეხვედრების შედეგების შესწავლა, რის საფუძველზეც მოხდება არსებული პრობლემების იდენტიფიცირება. მოსახლეობის პრობლემებზე ინფორმაციის ფლობა აუცილებელი კომპონენტია მაჟორიტარი პარლამენტის წევრის მიერ უფლებამოსილების შედეგიანად განსახორციელებლად.

მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით გარკვეული სახით კვლევის ჩატარებაზე მიუთითებს 25 ბიურო, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ბუნდოვანია, რა სახით განხორციელდა ეს კვლევა და კონკრეტულად რა შედეგები გამოვლინდა.

როგორც 2014 წელს, 2015 წელსაც მოსახლეობა იმავე პრობლემატიკას მიუთითებდა. ქვემოთ მოცემულია მოსახლეობის მიერ მითითებული პრობლემები (ინფორმაცია მოწოდებულია მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების მიერ):

- **უმუშევრობა;**
- **კომუნალური და ინფრასტრუქტურული საკითხები (წყალი, გაზი, ელექტროენერგია, გზები);**
- **სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზიანი და ავარიული სახლები;**
- **საკუთრების დაკანონებასთან დაკავშირებული პრობლემები;**
- **სამედიცინო საჭიროებები;**
- **დევნილთა განსახლება.**

## 12.3 საჯარო შეხვედრები

მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროები, ისევე როგორც წინა საანგარიშო პერიოდში, წარმოდგენილ ინფორმაციაში ზუსტად არ უთითებენ საჯარო შეხვედრების რაოდენობას. მოცემულია შეხვედრების არაზუსტი მაჩვენებელი და ცალკეული შემთხვევების გარდა არ ხდება მითითება, კონკრეტულად როდის, სად და რა საკითხთან დაკავშირებით გაიმართა ამომრჩეველთან შეხვედრა. ანგარიშში წარმოდგენილია მაჟორიატრი პარლამენტის წევრის ბიუროების მიერ მოწოდებული საჯარო შეხვედრების მაჩვენებელი.

ამომრჩეველთან საჯარო შეხვედრების რაოდენობა (ბიუროების წარმომადგენლების დამოუკიდებელი შეხვედრები არ იგულისხმება):

- **მირიან წიკლაური – 85;**
- **მალხაზ წერეთელი - 73;**
- **გელა სამხარაული - 67;**
- **ლერი ხაბელოვი - 57**
- **დიმიტრი ხუნდაძე – 44;**

## 12.4 პარლამენტის მაჟორიტარი წევრების ბიუროები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები

პარლამენტის მაჟორიტარი წევრების ბიუროებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით მაჟორიტარ პარლამენტის წევრებს, რომლებიც საპარლამენტო უმცირესობას წარმოადგენენ, პრობლემები ექმნებათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობისას. შესაბამისად, დადებითი შედეგის მიღწევა იშვიათად ხდება და ასეთ შემთხვევაშიც პასუხი ძალიან გვიანდება.

კერძოდ, ბიუროები სხვადასხვა სახის პრობლემებს ასახელებენ. ეს პრობლემებია: არ ხდება რეაგირება, არ თანამშრომლობენ, პასუხები გვიანდება.

ბიუროები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობას გარკვეული სახის პრობლემებზე მიუთითებენ

- დედოფლისწყაროს მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ზაზა კედელაშვილის ბიურო;
- ბათუმის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის მურმან დუმბაძის ბიურო;
- ხარაგაულის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ნოდარ ებანოიძის ბიურო;
- წალენჯიხის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ლევან ქარდავას ბიურო;
- სამგორის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ზურაბ აბაშიძის ბიურო
- კრწანისის მაჟორიტარი პარლამენტის წევრი შოთა ხაბარელის ბიურო.

## 12.5 ბიუროების ხარჯთაღრიცხვა

პარლამენტის რეგლამენტის მე-19 მუხლის თანახმად მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროს საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება პარლამენტის ბიუჯეტიდან. მაჟორიტარი პარლამენტის წევრი ვალდებულია პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს წელიწადში ერთხელ მიაწოდოს ინფორმაცია მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროს მიერ გაწეული ხარჯების შესახებ, სადაც მიეთითება საწყისი ნაშთი, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა, ბიუჯეტიდან გახარჯული თანხა და დარჩენილი თანხა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროებიდან მოითხოვა ხარჯთაღრიცხვის დეტალური მონაცემები ბიუჯეტიდან გამოყოფილი 5000 ლარის ფარგლებში.

მიღებული 47 ბიუროს პასუხიდან, ეს ინფორმაცია არ მოუწოდებია 4 ბიუროს:

- სამგორის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ზურაბ აბაშიძის ბიურო;
- წყალტუბოს მაჟორიტარი პარლამენტის წევრის აკაკი ბობოხიძის ბიურო;
- სიღნაღის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის გელა გელაშვილის ბიურო;
- ახმეტის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ზურაბ ზვიადაურის ბიურო;

ასევე აღსანიშნავია, რომ 10 ბიუროდან მიღებული ინფორმაცია არასრული სახითაა წარმოდგენილი. ასევე, ბიუროები ზოგიერთ შემთხვევაში უთითებენ, რომ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კონკრეტულ ვებგვერდზე (მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდი)[72], **თუმცა ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება არ ათავისუფლებს საჯარო მოხელეს ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისაგან.**

## 12.6 მოსახლეობის ინფორმირება

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროებს მიმართა კითხვით, იყენებდნენ თუ არა საინფორმაციო ბიულეტენს მოსახლეობის ინფორმირებისთვის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. მიღებული ინფორმაციის მიხედვით ასეთ ბიულეტენს იყენებდა 2 ბიურო (ნოდარ ებანოიძის ბიურო, მალხაზ წერეთლის ბიურო). მაჟორიტარი პარლამენტის წევრები მათ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებისთვის ასევე იყენებდნენ სხვა საშუალებებს, კერძოდ:

- ეკა ბესელიას ბიურომ მოსახლეობას მიაწოდა შესაბამისი ინფორმაციის შემცველი ბროშურები;
- მირიან წიკლაურის ბიურო გამოსცემს გაზეთს „ხევის მაცნე“;
- ზვიად კვაჭანტირაძის ბიურომ ინფორმაცია გამოაქვეყნა ადგილობრივ გაზეთში „ალიონი“;
- თეიმურაზ ჭკუასელის ბიურომ საინფორმაციო ბიულეტენი გამოაქვეყნა გაზეთის სახით;
- გოჩა ენუქიძის ბიურომ ინფორმაცია გამოაქვეყნა ადგილობრივ გაზეთებში „ამბროლაურის მოამბე“ და „რაჭველები“.

ასევე მნიშვნელოვანია, როგორ ხდება მოსახლეობის სისტემატურად ინფორმირება დეპუტატის საქმიანობასთან დაკავშირებით. როგორც მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროები (გოდერძი ბუკია, შალვა შავგულიძე, დიმიტრი ხუნდაძე, მანანა კობახიძე, ზვიად ძიძიგური, ეკა ბესელია, დავით ონოფრიშვილი, გელა სამხარაული, გოჩა ენუქიძე, თამარ ხიდაშელი, გიორგი კახიანი) აღნიშნავენ, ისინი იყენებენ სოციალურ ქსელებს.

[72] მგ., საჩხერის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის მანანა კობახიძის ბიურომ არ გამოგვიგზავნა ინფორმაცია კონკრეტული ხარჯების შესახებ და მიუთითა, რომ ინფორმაცია ატვირთული აქვს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე.

**ცხრილი 3. მაჟორიტარ დეპუტატთა აქტივობა**

| პარლამენტის მაჟორიტარი წევრი | სტატუსი | რაიონი | წერილზე პასუხი | მიმართვების საერთო რაოდენობა | მოქალაქეთა წერილობითი მიმართვების რაოდენობა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აბაშიძე ზურაბ | ფრ.თავ. დემოკრატები | სამგორი | კი | | აღრიცხული: 136 | |
| ახალაია როლანდი | უმცირესობა | ზუგდიდი | არა | | | |
| ბჟუაშვილი დავითი | პარლ. დამ. წევრი | თეთრიწყარო | არა | | | |
| ბესელია ეკა | უმრავლესობა | ფოთი | კი | | რეგისტრ:160 | |
| ბობოხიძე აკაკი | უმცირესობა | წყალტუბო | კი | | აღრიცხული 10 | |
| ბოლქვაძე ანზორ | უმრავლესობა | ხულო | კი | | აღრიცხული: 78 | |
| ბუკია გოდერძი | უმრავლესობა | ხობი | კი | | აღრიცხული: 47 | |
| ბუცხრიკიძე კახა | უმცირესობა | თერჯოლა | არა | | | |
| გელაშვილი გელა | უმრავლესობა | სიღნაღი | კი | | არვიცით აღრიცხული არის თუ არა: 107 | |
| გელაშვილი ვალერი | უმრავლესობა | ხაშური | კი | | აღურიცხავია: 203 | |
| გოზალიშვილი გიორგი | უმრავლესობა | ლაგოდეხი | კი | | აღრიცხული: 15 | |
| დარცმელიძე დავითი | უმცირესობა | აბაშა | არა | | | |
| დოლიძე ვიქტორი | სხვა | ჩუღურეთი | კი | | რეგისტრირებული: 92 | |

| | მოქალაქეთა ზეპირი მიმართვების რაოდენობა | საჯარო შეხვედრები | კვლევები პრობლემების გამოსავლენად | ადგ. თვითმ. ორგანოებთან თანამშრომლობა | ბიუროს ხარჯების შესახებ ინფორმაცია |
|---|---|---|---|---|---|
| | აღრიცხული:786 | 29 | კი | არა | არა |
| | | | | | |
| | | | | | |
| | აღრიცხული: 650 | დეპუტატმა 42, ბიურომ მოქ. მიღების სთ-ებში 18 | კი | კი | კი |
| | აღურიცხავია 27 | 12 | არა | კი | არა |
| | აღრიცხული: 272 | არაა კონკრეტული რაოდენობა მითითებული | კი | კი | კი |
| | აღრიცხული: 60 | 27 | კი | კი | არასრული |
| | | | | | |
| | არაა მითითებული | 0 | არა | კი | არა |
| | აღურიცხავია: 1000 | არაა კონკრეტული რაოდენობა მითითბული | არა | კი | კი |
| | არ უთითებს კონკრეტულ რაოდენობას | 15 | არა | კი | არასრული |
| | | | | | |
| | აღურიცხავი: 406 | საჯარო 17, ბიურომ მოქ. მიღების სთ-ებში 35 | კი | კი | კი |

| პარლამენტის მაჟორიტარი წევრი | სტატუსი | რაიონი | წერილზე პასუხი | მიმართვების საერთო რაოდენობა | მოქალაქეთა წერილობითი მიმართვების რაოდენობა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანიკიძე გუბაზ | უმრავლესობა | ქუთაისი | არა | | | |
| დუმბაძე მურმან | პარლ. დამოუკიდე-ბელი წევრი | ბათუმი | კი | | აღრიცხული 48 | |
| ნოდარ ებანოიძე | უმრავლესობა | ხარაგაული | კი | | აღრიცხული: 64 | |
| ენუქიძე გოჩა | უმრავლესობა | ამბროლაური | კი | | აღრიცხული: 53 | |
| ვახტანგიშვილი მალხაზი | უმრავლესობა | გორი | არა | | | |
| ვერულაშვილი მარიკა | უმრავლესობა | ყვარელი | არა | | | |
| ზვიადაური ზურაბი | უმრავლესობა | ახმეტა | კი | აღურიცხავი: 500-მდე | არაა რაოდენობა მითითბული | |
| კახიანი გიორგი | უმრავლესობა | სამტრედია | კი | | რეგისტრირე-ბული: 22 | |
| კედელაშვილი ზაზა | უმცირესობა | დედოფლის-წყარო | კი | | არაა რაოდენობა მითითბული | |
| კვაჭანტირაძე ზვიად | უმრავლესობა | ოზურგეთი | კი | | რეგისტრირე-ბული:193 | |
| კიკნაველიძე პაატა | უმრავლესობა | ბაღდათი | კი | | არ ვიცი აღრიცხული არის თუ არის: 98 | |
| კობახიძე მანანა | უმრავლესობა | საჩხერე | კი | | არ ვიცით რეგისტრირებულია თუ არა: 173 | |
| კორძაია თამარ | უმრავლესობა | ნაძალადევი | კი | | აღრიცხული: 131 | |

| | მოქალაქეთა ზეპირი მიმართვების რაოდენობა | საჯარო შეხვედრები | კვლევები პრობლემების გამოსავლენად | ადგ. თვითმ. ორგანოებთან თანამშრომლობა | ბიუროს ხარჯების შესახებ ინფრომაცია |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | არ ვიცით აღრიცხული არის თუ არა: 540 | 9 | კი | კი | არა |
| | არვიცი აღრიცხული არის თუ არა:240 | კონკრეტული რაოდენობა არაა მითითებული | კი | კი (რეაგირება ნაწილობრივ) | კი |
| | რაოდენობა არ მიუთითებია | ბიუროსა და დეპუტატის საერთო 30-მდე | არა | კი | კი |
| | | | | | |
| | | | | | |
| | არაა რაოდენობა მითითბული | არაა რაოდენობა მითითბული | კი | კი | არა |
| | აღურიცხავი 130 | 41 | არა | კი | არასრულად |
| | არაა რაოდენობა მითითბული | არაა რაოდენობა მითითებული | არა | არა (არ თანამშრომლობენ) | არასრული |
| | რეგისტრირე-ბული: 1200 | 7 | კი | კი | კი |
| | არ ვიცი აღრიცხული არის თუ არა: 167 | 19 | კი | კი | კი |
| | არაა მითითებული | არაა რაოდენობა მითითებული | არა | კი | არასრული/ უთითებს spa.ge |
| | არ არის აღრიცხული:94 | 12 | კი | კი | კი |

| პარლამენტის მაჟორიტარი წევრი | სტატუსი | რაიონი | წერილზე პასუხი | მიმართვების საერთო რაოდენობა | მოქალაქეთა წერილობითი მიმართვების რაოდენობა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლემონჯავა ვახტანგი | უმცირესობა | ჩხოროწყუ | კი | | არვიცით აიცხულია თუ არა: 17 | |
| ლეჟავა პაატა | უმცირესობა | ვანი | კი | | არ ვიცით აღიცხულია თუ არა: 11 | |
| ლიპარტელიანი გოგი | უმრავლესობა | ლენტეხი | კი | | აღურიცხავი: 30 | |
| ლონდარიძე ტარიელი | უმცირესობა | ასპინძა | არა | | | |
| მეგრელიძე ომარ | უმცირესობა | შუახევი | კი | | არვიცით აღრიცხული არის თუ არა: 7 | |
| მისაბიშვილი გურამი | უმრავლესობა | სენაკი | კი | | აღრიცხული: 349 | |
| მკოიანი ენზელი | უმრავლესობა | ნინოწმინდა | არა | | | |
| ნაყოფია კობა | უმცირესობა | ბოლნისი | არა | | | |
| ონოფრიშვილი დავით | თავისუფ. დემოკრატები | კასპი | კი | | აღრიცხული 95 | |
| ოქრიაშვილი კახაბერი | უმრავლესობა | დმანისი | არა | | | |
| პაპუაშვილი ზაზა | უმრავლესობა | მთაწმინდა | კი | | არარეგისტრირე-ბული: 16 | |
| პეტროსიანი სამველ | უმცირესობა | ახალქალაქი | კი | | არაა კონკრეტული რაოდენობა მითითბული | |
| სამხარაული გელა | უმრავლესობა | თელავი | კი | | აღრიცხული 174 | |

| | მოქალაქეთა ზეპირი მიმართვების რაოდენობა | საჯარო შეხვედრები | კვლევები პრობლემების გამოსავლენად | ადგ. თვითმ. ორგანოებთან თანამშრომლობა | ბიუროს ხარჯების შესახებ ინფრომაცია |
|---|---|---|---|---|---|
| | არვიცით აღრიცხულია თუ არა:21 | არაა კონკრეტული რაოდნეობა მითითბული | კი | კი | კი |
| | არ ვიცით აღიცხულია თუ არა: 42 | 4 | არა | კი | კი |
| | აღურიცხავი: 50-მდე | 4 | არა | კი | კი |
| | | | | | |
| | არ ვიცით აღრიცხულია თუ არა: 85 | ბიუროსა და პარლ. წევრის მიერ: 56 | არა | კი | არასრული |
| | აღრიცხული: 352 | 158 (არაა გამიჯნული ბიურომ მოქ. მიღების სთ-ებში შეხვე-დრა და საჯარო შეხვედრა) | კი | კი | კი |
| | | | | | |
| | | | | | |
| | აღურიცხავი: 250, აღრიცხული 150 | 200-მდე ბიურომ მოქ. მიღების სთ-ებში, 40-მდე საჯარო სოფლებში | კი | კი | კი |
| | | | | | |
| | არარეგისტრ: 33 | 0 | არა | კი | კი |
| | არაა კონკრეტული რაოდენობა მითითბული | 42 | არა | | |
| | არარეგისტრირე-ბული: 300-მდე | 67 | კი | კი | კი |

| პარლამენტის მაჟორიტარი წევრი | სტატუსი | რაიონი | წერილზე პასუხი | მიმართვების საერთო რაოდენობა | მოქალაქეთა წერილობითი მიმართვების რაოდენობა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულეიმანოვი აზერ | უმცირესობა | მარნეული | არა | | | |
| ტრიპოლსკი ერეკლე | უმრავლესობა | დუშეთი | კი | | რეგისტრირებული: 49 | |
| უსუფაშვილი დავით | უმრავლესობა | საბურთალო | კი | | რეგისტრირებული: 90 | |
| ფეიქრიშვილი გიორგი | უმრავლესობა | გარდაბანი | არა | | | |
| ფოფხაძე გედევან | უმრავლესობა | ბორჯომი | არა | | | |
| ქავთარაძე გიორგი | უმრავლესობა | ზესტაფონი | არა | | | |
| ქანთარია ალექსანდრე | უმრავლესობა | ისანი | არა | | | |
| ქარდავა ლევან | უმცირესობა | წალენჯიხა | კი | | არ ვიცით აღრიცხულია თუ არა: 85 | |
| ქუცნაშვილი ზაქარია | უმრავლესობა | თიანეთი | არა | | | |
| ღვინიაშვილი გიორგი | უმცირესობა | გურჯაანი | არა | | | |
| შავგულიძე შალვა | სხვა | ვაკე | კი | | აღრიცხული: 194 | |
| შავლოხაშვილი რევაზ | უმრავლესობა | წალკა | კი | | აღურიცხავია: 133 | |
| შერვაშიძე იაშა | უმრავლესობა | ქედა | არა | | | |

| | მოქალაქეთა ზეპირი მიმართვების რაოდენობა | საჯარო შეხვედრები | კვლევები პრობლემების გამოსავლენად | ადგ. თვითმ. ორგანოებთან თანამშრომლობა | ბიუროს ხარჯების შესახებ ინფრომაცია |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | აღრიცხული: 387 | 6 | არა | კი | კი |
| | არ ვიცით აღრიცხულია თუ არა: 145 | 5 | კი | კი | კი |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | არ ვიცით აღრიცხულია თუ არა: 43 | არაა მითითებული რაოდენობა | არა | კი (პასუხები გვიანდება) | კი |
| | | | | | |
| | | | | | |
| | 55 - აღრიცხული, 30 არ არის აღრიცხული | ბიურომ მოქ. მიღების სთ-ებში 8,საჯარო 14 | კი | კი | კი |
| | აღურიცხავი: 80-მდე. | 20-მდე | არა | კი | არასრული |
| | | | | | |

| პარლამენტის მაჟორიტარი წევრი | სტატუსი | რაიონი | წერილზე პასუხი | მიმართვების საერთო რაოდენობა | მოქალაქეთა წერილობითი მიმართვების რაოდენობა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩაფიძე ელისო | უმრავლესობა | ტყიბული | არა | | | |
| ჩილინგარაშვილი ზურაბი | უმცირესობა | ადიგენი | არა | | | |
| ჩიტაშვილი ვაჟა | უმცირესობა | ახალციხე | არა | | | |
| ჩხაიძე თეიმურაზი | უმრავლესობა | ლანჩხუთი | კი | | აღრიცხულია: 71 | |
| ძიძიგური ზვიად | უმრავლესობა | რუსთავი | კი | | არ ვიცით არის თუ არა აღრიცხული: 572 | |
| წერეთელი მალხაზ | უმრავლესობა | ჭიათურა | კი | | აღრიცხულია: 112 | |
| წიკლაური მირიანი | უმრავლესობა | სტეფანწმინდა | კი | | არ ვიცით აღრიცხულია თუ არა: 20 | |
| ჭავჭანიძე დავითი | უმცირესობა | ხონი | არა | | | |
| ჭკუასელი თეიმურაზი | უმრავლესობა | ჩოხატაური | კი | | რეგისტრირე-ბული:12 | |
| ხაბარელი შოთა | უმრავლესობა | კრწანისი | კი | | აღრიცხულია: 394 | |
| ხაბელოვი ლერი | უმრავლესობა | ქარელი | კი | | 0 | |
| ხაბულიანი სერგო | უმრავლესობა | ცაგერი | კი | | რეგისტრირე-ბული:115 | |
| ხალვაში როსტომი | უმრავლესობა | ხელვაჩაური | კი | | აღურიცხავი: 607 | |

| | მოქალაქეთა ზეპირი მიმართვების რაოდენობა | საჯარო შეხვედრები | კვლევები პრობლემების გამოსავლენად | ადგ. თვითმ. ორგანოებთან თანამშრომლობა | ბიუროს ხარჯების შესახებ ინფორმაცია |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | აღრიცხული: 150 | 5 | არა | კი | კი |
| | არაა მითითებული | 20 | არა | კი | არასრული |
| | აღრიცხულია: 564 | 73 | არა | კი | კი |
| | არ ვიცით აღრიცხულია თუ არა: 200 | 85 | კი | კი | კი |
| | | | | | |
| | რეგისტრირებული 204 | არაა რაოდენობა მითითებული | კი | კი | კი |
| | აღრიცხული 755; აღურიცხავი 2200-მდე | ბიურომ მოქ. მიღების სთ-ებში და დეპუტატის მიერ ერთად: 92 | კი | უთითებს: არასაკმარისი | კი |
| | 0 | 57 | არა | კი | კი |
| | არარეგისტრირე-ბული: 10 | არაა მითითბული ზუსტი რაოდენობა | კი | კი | არასრულად |
| | აღურიცხავი: 1321 | არაა მითითებული | კი | კი | კი |

| პარლამენტის მაჟორიტარი წევრი | სტატუსი | რაიონი | წერილზე პასუხი | მიმართვების საერთო რაოდენობა | მოქალაქეთა წერილობითი მიმართვების რაოდენობა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხალვში ფატი | უმრავლესობა | ქობულეთი | კი | | რეგისტრირე-ბული: 265 | |
| ხიდაშელი თამარ (25/11/2015-დან) | უმრავლესობა | საგარეჯო | კი | უთითებს 25 ნოემბრიდან 2016 წ. 4 თებერვლის ჩათვლით პერიოდს | აღრიცხული: 38 | |
| ხმალაძე ვახტანგი | უმრავლესობა | დიდუბე | კი | აღურიცხავი: 771 | არაა რაოდნეობა მითითებული | |
| ხუნდაძე დიმიტრი | უმრავლესობა | მცხეთა | კი | | არვიცით აღრიცხული არის თუ არა: 41 | |
| ჯაფარიძე ვიქტორი | უმრავლესობა | მესტია | არა | | | |
| ჯაფარიძე თამაზ | უმრავლესობა | ონი | არა | | | |
| ჯაჭვლიანი იოსებ | უმრავლესობა | გლდანი | კი | | რეგისტრირე-ბული: 405 | |

| | მოქალაქეთა ზეპირი მიმართვების რაოდენობა | საჯარო შეხვედრები | კვლევები პრობლემების გამოსავლენად | ადგ. თვითმ. ორგანოებთან თანამშრომლობა | ბიუროს ხარჯების შესახებ ინფრომაცია |
|---|---|---|---|---|---|
| | აღრიცხული: 474 | არააკონკრეტული რაოდენობა მითითებული | კი | კი | კი |
| | აღურიცხავი: 130, აღრიცხული: 93 | 2 | არა | კი | არასრული/ პერიოდია 2016 წლის მონაცემიც |
| | არაა რაოდნეობა მითითებული | არაა რაოდნეობა მითითებული | არა | კი | კი |
| | არაა მითითებული | 44 | კი | კი | კი |
| | | | | | |
| | | | | | |
| | რეგისტრირებული:1258, არარეგისტრირებული მონაცმები: 2700 | საჯარო 5 შეხვედრა, ბიურომ მოქ. მიღების სთ-ებში 23 | კი | კი | კი |

# თავი 13 პარლამენტის წევრების კავშირები ბიზნესთან და არადეკლარირებული სამეწარმეო საქმიანობა

## 13.1 პარლამენტის წევრების კავშირები ბიზნესთან

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად პარლამენტის წევრს უფლება აქვს ფლობდეს კომპანიის წილებს ან აქციებს, თუმცა მას ეკრძალება სამეწარმეო საქმიანობა (კომპანიის დირექტორის თანამდებობაზე ყოფნა და კომპანიაში მუშაობა). პარლამენტის წევრი ვალდებულია, უფლებამოსილების განხორციელების დაწყების მომენტიდან შეწყვიტოს მისი სტატუსის შეუსაბამო საქმიანობა (მათ შორის, სამეწარმეო საქმიანობა) და ამის დამადასტურებელი ცნობა 7 დღის ვადაში წარუდგინოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს. 2016 წლის მარტის მდგომარეობით **ბიზნესაქტივებს ფლობდა პარლამენტის 29 წევრი. ამასთან, 24 პარლამენტარის ოჯახის წევრი მართავდა ან/და ფლობდა სხვადასხვა კომპანიას. 2014 წელთან შედარებით ეს მონაცემი ერთით შემცირდა.**

სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით პარლამენტის მხოლოდ ერთი წევრი, პაატა ლეჟავა ირიცხება კომპანიის (შპს „ფუნთუშა“) დირექტორად. ამ კომპანიის შესახებ მონაცემები სამეწარმეო რეესტრში 1995 წლის შემდეგ არ განახლებულა, რაც სავარაუდოდ მიუთითებს, რომ კომპანია უკვე წლებია აღარ მოქმედებს. პარლამენტის კიდევ ერთი წევრის, ზვიად კვაჭანტირაძის შემთხვევაში სამეწარმეო რეესტრის მონაცემები მიუთითებს, რომ მისი მოთხოვნა სს „გოლდენ ფლის გრუპის“ დირექტორობიდან გადადგომის შესახებ შეჩერებულია.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის ინფორმაციით 2012-2015 წლებში 69 შემთხვევაში განხორციელდა პარლამენტის წევრების მიერ სამეწარმეო სუბიექტებში მათი კუთვნილი წილების მართვის უფლებით გადაცემა, ხოლო 10 შემთხვევაში პარლამენტის წევრების მიერ დატოვებული იქნა სამეწარმეო სუბიექტის დირექტორის თანამდებობა.

პარლამენტის წევრების უმეტესობას ქონებრივ დეკლარაციაში სამეწარმეო საქმიანობიდან შემოსავლად **0** ლარი აქვს მითითებული. სამეწარმეო საქმიანობიდან შემოსავალი მხოლოდ შვიდმა პარლამენტის წევრმა მიუთითა.

ყველაზე მაღალი შემოსავლები მითითებული აქვთ:

- **კახაბერ ოქრიაშვილს (დაახლოებით 4,7 მილიონი ლარი);**
- **გოჩა ენუქიძეს (დაახლოებით 4,5 მილიონი ლარი);**
- **სერგო ხაბულიანს (633,205.00 ლარი);**
- **გოგი თოფაძეს (611,052.00 ლარი);**
- **გიორგი კახიანს (44,500.00 ლარი);**
- **გიორგი ჟვანიას (25,000.00 ლარი);**
- **ზაზა კედელაშვილს (16,586.00 ლარი);**

## 13.2 პარლამენტის წევრების არადეკლარირებული სამეწარმეო საქმიანობა

ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების ვალდებულება ეფექტიანი საშუალებაა კორუფციისა და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამოსავლენად. ქონებრივ დეკლარაციებში შეტანილი ინფორმაციიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელისუფლებაში მყოფი პირების სხვადასხვა ბიზნესში წილობრივი მონაწილეობის შესახებ მონაცემები. იმის გარკვევა, რომელი თანამდებობის პირები ფლობენ წილებს/აქციებს კომპანიებში, შესაძლოა ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენასა და კორუფციის თავიდან აცილებაში დაგვეხმაროს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" ერთმანეთს შეადარა პარლამენტის წევრთა მიერ შევსებული ქონებრივი დეკლარაციები და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებული სამეწარმეო რეესტრის მონაცემები პარლამენტარების და მათი ოჯახის წევრების სხვადასხვა კომპანიებში მონაწილეობის შესახებ. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პარლამენტის რამდენიმე წევრს კომერციული იურიდიული პირის მფლობელობა (კუთვნილი წილი) და მის მართვაში მონაწილეობა დეკლარირებული არ აქვს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" მსგავს შემთხვევებზე პარლამენტის ყურადღება უკვე მრავალჯერ გაამახვილა.

**გიორგი ჟვანია** („ქართული ოცნება")
2014 წელს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით გიორგი ჟვანია სამი კომპანიის თანამფლობელია: შპს BOSSNER, შპს „ბი-ემ-სი" და Tibaneli Gbmh, რომლებიც გერმანიაშია რეგისტრირებული და აწარმოებს ღვინოს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებულ სამეწარმეო რეესტრის ინფორმაციის მიხედვით გიორგი ჟვანია კიდევ ერთი კომპანიის, შპს „აპოლოს" მეწილეა, თუმცა ამ კომპანიის მონაცემები სამეწარმეო რეესტრში 1998 წლის შემდეგ არ განახლებულა, რაც შესაძლოა ნიშნავდეს, რომ კომპანია აღარ ფუნქციონირებს.

**თამაზ შიოშვილი** („თავისუფალი დემოკრატები")
თამაზ შიოშვილი შპს „სფენიშ ქლეისა" (35%) და შპს „მემორექსის" (30%) მეწილეა. ეს ფაქტი 2012 წლიდან არც ერთ ქონებრივ დეკლარაციაში არ არის მითითებული. მასვე ეკუთვნის შპს „ლოჯიქსი", თუმცა ამ კომპანიის მონაცემები სამეწარმეო რეესტრში რამდენიმე წლის მანძილზე არ განახლებულა, რაც შესაძლოა ნიშნავდეს, რომ კომპანია აღარ ფუნქციონირებს.

**იაშა შერვაშიძე** (ფრაქცია ,,დამოუკიდებელი მაჟორიტარები - ძლიერი რეგიონებისთვის")
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით იაშა შერვაშიძე სამი კომპანიის მეწილეა: შპს „გუმ-ბაპა" (51%) შპს „სტარ არ ჯი" (5%) და შპს „გუმბაპა" (2007 წლის შემდეგ სამეწარმეო რეესტრში კომპანიის შესახებ მონაცემები არ განახლებულა). პარლამენტის წევრის 2015 წლის ქონებრივ დეკლარაციაში არც ერთი ეს კომპანია მითითებული არ არის.

**გოგი ლიპარტელიანი** (ლენტეხის მაჟორიტარი დეპუტატი – „ქართული ოცნება – დამოუკიდებელი მაჟორიტარები ძლიერი რეგიონებისთვის")
სამეწარმეო რეესტრის მონაცემების მიხედვით გოგი ლიპარტელიანი შპს „ტირფონ-ჰესის" მეწილეა, რაც პარლამენტის წევრის 2015 წლის ქონებრივ დეკლარაციაში მითითებული არ არის, თუმცა სამეწარმეო რეესტრის მონაცემები ამ ორი კომპანიის შესახებ რამდენიმე წელია არ განახლებულა. გოგი ლიპარტელიანს ასევე არ აქვს დეკლარირებული თავისი მეუღლის, ნაზი ლიპარტელიანის მონაწილეობა 15-ზე მეტ სხვადასხვა კომპანიაში.

**ზაზა კედელაშვილი** (დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)
სამეწარმეო რეესტრის მონაცემების მიხედვით ზაზა კედელაშვილი შპს „ჩემპიონის“ 25%-ის მფლობელია, რის შესახებაც მის 2015 წლის ქონებრივ დეკლარაციაში მითითებული არ არის.

**პაატა ლეჟავა** (ვანის მაჟორიტარი დეპუტატი – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)
პაატა ლეჟავა ორი კომპანიის – შპს „ფუნთუშას“ და შპს „ლგ და კომპანია ფიროსმანის“ მეწილედ ფიქსირდება, თუმცა არც ერთი ამ კომპანიის შესახებ სამეწარმეო რეესტრში 1990-იანი წლების შემდეგ მონაცემები არ განახლებულა. ამავე დროს ის შპს „ფუნთუშას“ დირექტორია. პაატა ლეჟავას მეუღლე ნინო ლასხიშვილი შპს „ფეშენ სტაილის“ 80%-ს ფლობს, რაც პარლამეტის წევრის 2015 წლის დეკლარაციაში აღნიშნული არ არის. ამ კომპანიის შესახებ მონაცემები ასევე რამდენიმე წელია არ განახლებულა.

**გია ჟორჟოლიანი** („ქართული ოცნება“)
გია ჟორჟოლიანის მეუღლე თინათინ ზალდასტანიშვილი შპს „LT GLOBAL SERVICES LLC საქართველოს ფილიალის“ დირექტორია, რაც პარლამენტის წევრის 2015 წლის ქონებრივ დეკლარაციაში მითითებული არ არის, თუმცა სხვა კომპანიებთან კავშირები დეკლარაციაში ასახულია.

**ვიქტორ ჯაფარიძე** (მესტიის მაჟორიტარი დეპუტატი – „ქართული ოცნება“)
პარლამენტის წევრის 2014 წლის ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით ვიქტორ ჯაფარიძის მეუღლე ნათია ხვისტანი ერთი კომპანიის – შპს „ქცია 94-ის“ მეწილეა, თუმცა სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით ნათია ხვისტანი წილებს ორ სხვა კომპანიაშიც ფლობს. ეს კომპანიები შპს „სეტი” (50%) და შპს „ტირ პარკ მარნეული“ (17%). ვიქტორ ჯაფარიძეს 2014 წლის შემდეგ ქონებრივი დეკლარაცია არ შეუვსია.

**ზაქარია ქუცნაშვილი** (თიანეთის მაჟორიტარი დეპუტატი – „ქართული ოცნება“)
ზაქარია ქუცნაშვილის მამა ომარ ქუცნაშვილი რამდენიმე კომპანიის მეწილეა, რაც პარლამენტის წევრის 2016 წლის დეკლარაციაშია მითითებული. თუმცა დეკლარაციაში მითითებული არ არის ომარ ქუცნაშვილის კავშირი შპს „სუპერ ტორფთან“ და შპს „ქმბ-სთან“ სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით იგი შპს „სუპერ ტორფის“ 10%-ს და შპს „ქმბ-ს“ 20%-ს ფლობს. იგი ასევე ფიქსირდება შპს „ქართულ-აზერბაიჯანული ერთობლივი საპროექტო-სამშენებლო კომპანიის – თბილბაქოს“ დირექტორად.

**კობა ნაყოფია** („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)
პარლამენტის წევრის კობა ნაყოფიას 2015 წლის ქონებრივ დეკლარაციაში მითითებული არ არის, რომ მისი შვილი ნიკოლოზ ნაყოფია შპს „ინოვეიშენ გრუპ ჯორჯიას“ მეწილეა. ამასთან, დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ნიკოლოზ ნაყოფია შპს „გოლდინვესტის“ მეწილეა, სამეწარმეო რეესტრის მონაცემების მიხედვით კი ამ კომპანიის მეწილე თავად კობა ნაყოფიაა.

**პაატა კიკნაველიძე** („ქართული ოცნება – მრეწველები“)
სამეწარმეო რეესტრის მონაცემების მიხედვით პაატა კიკნაველიძის ძმა, ანდრო კიკნაველიძე შპს „იბერია 47-ის“ მეწილეა, რაც პარლამენტის წევრის 2014 წლის ქონებრივ დეკლარაციაში აღნიშნული არ არის. თავად პაატა კიკნაველიძე შპს „მადლის“ მეწილედ ფიქსირდება, რაც მის 2015 წლის დეკლარაციაში მითითებული არ არის. ამ კომპანიის შესახებ სამეწარმეო რეესტრში ინფორმაცია 2003 წლის შემდეგ არ განახლებულა, რაც შესაძლოა მიანიშნებდეს, რომ კომპანია აღარ ფუნქციონირებს.

**ლევან თარხნიშვილი** („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)
ლევან თარხნიშვილს 2015 წლის ქონებრივ დეკლარაციაში მითითებული აქვს, რომ მისი მეუღლე ანა თარხნიშვილი ორი კომპანიის – შპს „ბი-სი-ჯი კვლევის“ და შპს „გურის“ მეწილეა. სამეწარმეო რეესტრის მონაცემების მიხედვით ანა თარხნიშვილი კიდევ ერთი კომპანიის – „ბი-სი-ჯი მონიტორინგის“ მეწილე და დირექტორია.

**არადეკლარირებულ კომპანიებს შორის გვხვდება ისეთი კომპანიებიც, რომელთა შესახებ მონაცემები სამეწარმეო რეესტრში რამდენიმე წლის მანძილზე არ განახლებულა, რაც შესაძლოა მიუთითებდეს, რომ ისინი აღარ ფუნქციონირებს. თუმცა, რადგან ასეთი კომპანიები ოფიციალურად არსებობს, ეს არ ათავისუფლებს პარლამენტის წევრს ვალდებულებისგან, რომ შეიტანოს ქონებრივ დეკლარაციაში აღნიშნულ კომპანიებში წილების ფლობა ან/და გავიდეს კომპანიების მმართველობიდან.**

**ცხრილი 4. დეპუტატებისა კავშირები ბიზნესთან**

| პარლამენტის წევრი | კუთვნილება | კომპანიის დასახელება | კომპანიასთან კავშირი | |
|---|---|---|---|---|
| აკაკი ბობოხიძე | უმცირესობა | შპს ორიონი | 50%-იანი წილი | |
| გელა სამხარაული | უმრავლესობა | შ.პ.ს. დია ალავერდი | 100%-იანი წილი | |
| | | შ.პ.ს. დია გრუპ | 33.33%-იანი წილი | |
| | | შ.პ.ს. დუტა & F | 22%-იანი წილი | |
| | | შ.პ.ს. ვერა-2011 | 30%-იანი წილი | |
| გიორგი ცაგარეიშვილი | უმრავლესობა | ს/ს ყაზბეგი | აქციონერი, მინდობილობით ზურაბ ცაგარეიშვილი | |
| | | შპს ყაზბეგი–ტობაკო | “0.7%-იანი წილი, მინდობილობით ზურაბ ცაგარეიშვილი“ | |
| გიორგი კახიანი | უმრავლესობა | შპს ბეღელი | 33.34%-აინი წილი, წილის მმართველი იმედა კახიანი | |
| | | შპს "გლობალ ბრენდს" | 25%-იანი წილი, წილის მმართველი იმედა კახიანი | |
| გოჩა ენუქიძე | | შპს იბერკომპანი | 100%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი | |
| | | შპს "ბანი" | 100%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი | |
| | | შპს იბერკომპანი პეტროლიუმი | 100%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი | |
| | | შპს "ჯეოტრონიკი 2007" | 80%-იანი წილი, წილის მმართველი ტარიელ ხეჩიკაშვილი | |
| | | შპს" სითი სპორტი" | 17.5%-იანი წილი, წილის მმართველი ტარიელ ხეჩიკაშვილი | |
| | | შპს" იბერკომპანი-ჰოლდინგი" | 80%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი | |
| | | შპს "სპორტული კლუბი ოლიმპი" | 18%-იანი წილი, წილის მმართველი ტარიელ ხეჩიკაშვილი | |
| | | შპს "გლობალ თრეიდინგ კომპანი" | 33.4%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი | |

| | კომენტარი | დეკლარირებული შემოსავალი | 2012 წლის დეკლარაციის მიხედვით |
|---|---|---|---|
| | | 0 | არ ფლობს არც ერთ კომპანიას |
| | | 0 | იგივე |
| | | 0 | იგივე |
| | 2010 წლის შემდეგ ცვლილება არ შესულა | 0 | იგივე |
| | 2011 წლის შემდეგ ცვლილება არ შესულა | 0 | იგივე |
| | ქონებრივ დეკალრაციაზე დაყრდნობით | 0 | იგივე |
| | | 0 | იგივე |
| | | 44500 | იგივე |
| | | 0 | იგივე |
| | შპს იბერკომანის შეერწყა იბერკომპანი ოილი და იბერკომპანი ირაო. მითითებულია სამივე კომპანიის დაჯამებული შემოსავალი | 4317893 | |
| | | 0 | |
| | | 246315 | |
| | გაასხვისა 2015 წლის 27 მარტს | 0 | |
| | გაასხვისა 2015 წლის 25 მარტს | 0 | |
| | | 0 | |
| | გაასხვისა 2015 წლის 25 მარტს | 0 | |
| | | 0 | |

| პარლამენტის წევრი | კუთვნილება | კომპანიის დასახელება | კომპანიასთან კავშირი | |
|---|---|---|---|---|
| გოჩა ენუქიძე | | შპს "იტა სერვისი" | 25%-იანი წილი, წილის მმართველი ტარიელ ხეჩიკაშვილი | |
| | | შპს “აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახ. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი” | პარტნიორი | |
| | | შპს გალაქტიონი 3 | 50%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი | |
| გიორგი ჟვანია | უმრავლესობა | შპს ბი-ემ-სი | 20%-იანი წილი | |
| | | Tibaneli GmbH (გერმანია) | პარტნიორი | |
| | | შპს BOSSNER | 100%-იანი წილი | |
| | | შპს აპოლო | პარტნიორი | |
| გოდერძი ბუკია | უმრავლესობა | შ.პ.ს. სისტემ ნეტ | 3.6%-იანი წილი, წილის მმართველი გურამ ახალაია | |
| გიორგი თოფაძე | უმრავლესობა | შპს "თოფაძე და კომპანია" | 34%-იანი წილი | |
| | | შპს "ყაზბეგი 1881" | 24%-იანი წილი | |
| | | შპს "თრუსო" | 30%-იანი წილი(წილის მმართველო ირაკლი თოფაძე) | |
| | | შპს "ყაზბეგი–ფშაველი" | 10%-იანი წილი | |
| | | შპს "კურორტი ბაკურიანი" | 45%-იანი წილი | |
| | | შპს "თრიალეთი" | 80%-იანი წილი | |
| | | შპს "იორის ჭალები" | 17%-იანი წილი | |
| | | შპს "ყაზბეგი–ბაკურიანი" | 99%-იანი წილი | |
| | | შპს "CALWE" | 20%-იანი წილი | |
| | | შპს ქართუ–უნივერსალი | 24.5%-იანი წილი (ირაკლი თოფაძე წილის მმართველი) | |
| | | შპს "თერჯოლა-2007" | 34%-იანი წილი | |

| | კომენტარი | დეკლარირებული შემოსავალი | 2012 წლის დეკლარაციის მიხედვით |
|---|---|---|---|
| | გაასხვისა 2015 წლის 25 მარტს | | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 25000 | იგივე |
| | ღვინის წარმოება | 0 | იგივე |
| | 2012 წლის 30 ოქტომბრის შემდეგ ცვლილება არ შესულა | 0 | იგივე |
| | 1998 წლის შემდეგ არ განახლებულა | | იგივე |
| | | 0 | შპს მგ კომპანია, არ ფლობს წილს სისტემ ნეტში |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 611052 | |
| | | 0 | |

| პარლამენტის წევრი | კუთვნილება | კომპანიის დასახელება | კომპანიასთან კავშირი |
|---|---|---|---|
| გიორგი თოფაძე | უმრავლესობა | შპს "ყაზბეგი–ნაყინი" | 25%-იანი წილი |
| | | შპს "ფშაველი–ყაზბეგი" | 20%-იანი წილი |
| | | შპს "ყაზბეგი ნატალი" | 26%-იანი წილი |
| | | სს "ყაზბეგი" | აქციონერი (584608 აქცია) |
| | | შპს "სამთო–სათხილამურო კლუბი ყაზბეგი" | 50%-იანი წილი |
| | | შპს "ყაზბეგი-99" | მეწილე, ლიკვიდაცია დაწყებულია |
| | | შპს "რესტორანი ყაზბეგი–ვერე" | 7%-იანი წილი, ლიკვიდაცია დაწყებულია |
| | | შპს "ბარი ყაზბეგი–ქოლგები" | მეწილე |
| | | შპს "წარაფი-98" | 13%-იანი წილი |
| | | შპს სამგორი | 33.4%-იანი წილი |
| | | შპს ბაკურიანის ბეტონი | 25 %იანი მეწილე |
| | | შპს ვეტპრეპარატი | 50%-იანი წილი, ლიკვიდაცია დაწყებულია |
| | | შპს ცხრაწყარო-2007 | 30%-იანი წილი (წილის მმართველო ირაკლი თოფაძე) |
| ეკა ბესელია | უმრავლესობა | სპს ეკა ბესელიას საადვოკატო კომპანია | დამფუძნებელი |
| ვახტანგ ხმალაძე | უმრავლესობა | შპს თბილისის საარბიტრაჟო პალატა | 35.7%-იანი წილი |
| დავით ბჟუაშვილი | უმრავლესობა | CHEMEXIM INTERNATIONAL LTD (მარშალის კუნძულები) | პარტნიორი |
| | | KEMBLE TRADING LTD (კვიპროსი) | პარტნიორი |
| გურამ მისაბიშვილი | უმრავლესობა | შპს ხანდა | 100%-იანი წილი, წილის მმართველი გერმანე კუპრეიშვილი |

| | კომენტარი | დეკლარირებული შემოსავალი | 2012 წლის დეკლარაციის მიხედვით |
|---|---|---|---|
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | ქონებრივ დეკლარაციაზე დაყრდნობით | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | | იგივე |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |

| პარლამენტის წევრი | კუთვნილება | კომპანიის დასახელება | კომპანიასთან კავშირი |
|---|---|---|---|
| გოგი ლიპარტელიანი | უმცირესობა | შპს ტირიფონ-ჰესი | მეწილე |
| ზაზა კედელაშვილი | უმცირესობა | შპს zak | 33.4%-იანი წილი, წილის მმართველი კახა ქურციკიძე |
| | | შპს zedazeni imereti | 5%-იანი წილი, წილის მმართველი გიორგი ბარათაშვილი |
| | | შპს. იბერია საქართველო | 15%-იანი წილი, წილის მმართველი მამუკა წინამძღვრიშვილი |
| | | შ.პ.ს ტრანს ექსპერიმენტი | 5%-იანი წილი, წილის მმართველი გიორგი ბარათაშვილი |
| | | შპს ჩემპიონი | 25%-იანი წილი |
| ზაქარია ქუცნაშვილი | უმრავლესობა | შპს მიგრანტთა საადვოკატო ბიურო | 55%-იანი წილი |
| | | შპს ადვოკატები რეპრესირებულთათვის | 40%-იანი წილი |
| | | ქ ენდ ქ კონსალტინგი | 60%-იანი წილი |
| ზვიად კვაჭანტირაძე | უმრავლესობა | სს გოლდენ ფლის გრუპ | დირექტორი |
| | | შპს იუნიონ კრედიტი | 25%-იანი წილი და დირექტორი |
| | | შპს მაკროს უორლდ ჯორჯია | 25%-იანი წილი და დირექტორი |
| | | ი/მ ზვიად კვაჭანტირაძე | ინდ. მეწარმე |
| ზურაბ ტყემალაძე | უმრავლესობა | შპს საამო | 11%-იანი წილი |
| | | შპს "აგუნა" | 27%-იანი წილი |
| თამაზ ყაჭეიშვილი | უმრავლესობა | შპს სამეგობრო | 5%-იანი წილი |
| | | შპს ნუგო | 10.88%-იანი წილი |
| | | შპს ყაზბეგი-ნატალი | 19%-იანი წილი |

| | კომენტარი | დეკლარირებული შემოსავალი | 2012 წლის დეკლარაციის მიხედვით |
|---|---|---|---|
| | 2001 წლის შემდეგ არ განახლებულა | | |
| | | 0 | |
| | | 12800 | |
| | | 1206 | |
| | | 2580 | |
| | 2007 წლის შემდეგ არ განახლებულა | | |
| | ლიკვიდაცია დაწყებულია | 0 | |
| | ლიკვიდაცია დაწყებულია | 0 | |
| | | 0 | |
| | სარეგისტრაციო წარმოება გათავისუფლების მოთხოვნის თაობაზე შეჩერებულია | 0 | |
| | გაასხვისა 2016 წლის 2 იანვარს | 0 | |
| | გაასხვისა 2016 წლის 29 იანვარს | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | დეკლარაციაში ამ კომპანიის მეწილედ მითითებულია შვილი, ირინა ყაჭეიშვილი | 0 | |

| პარლამენტის წევრი | კუთვნილება | კომპანიის დასახელება | კომპანიასთან კავშირი | |
|---|---|---|---|---|
| თამაზ ყაჭეიშვილი | უმრავლესობა | შპს ხარისხი | 25%-იანი წილი | |
| თემურ მაისურაძე | უმრავლესობა | შპს NEWINNOTECH | 20%-იანი წილი, წილის მმართველი ნინო მეტრეველი | |
| თამაზ შიოშვილი | უმრავლესობა | შპს მემორექსი | 30%-იანი წილი | |
| | | შპს ლოჯიქსი | 25%-იანი წილი | |
| | | შპს სპენიშქლეი | 35%-იანი წილი | |
| იაშა შერვაშიძე | ფრაქციის გარეშე | შპს გუმ-ბაპა | 51%-იანი წილი | |
| | | ინდ.მეწარმე | | |
| | | შ.პ.ს. "გუმბაპა" | 15%-იანი წილი | |
| | | შპს სტარ არ ჯი | 5%-იანი წილი | |
| კახაბერ ოქრიაშვილი | უმრავლესობა | შპს პსპ ფარმა | 100%-იანი წილი, წილის მმართველი ვაჟა ოქრიაშვილი | |
| | | შპს ალფა | 100%-იანი წილი, წილის მმართველი ვაჟა ოქრიაშვილი | |
| | | სს ელექტრონიკა 94 | აქციონერი | |
| | | შპს მანდარინი | 100%-იანი წილი, წილის მმართველი ვაჟა ოქრიაშვილი | |
| | | შპს პსპ დაზღვევა | 100%-იანი წილი, წილის მმართველი ვაჟა ოქრიაშვილი | |
| | | შპს ჯისითი ინჯინირინგი | 37.5%-იანი წილი, წილის მმართველი ვაჟა ოქრიაშვილი | |
| | | შპს პატრია მედიკა | 100%-იანი წილი, წილის მმართველი ვაჟა ოქრიაშვილი | |
| | | შპს აქსა მედიქალ | 100%-იანი წილი, წილის მმართველი ვაჟა ოქრიაშვილი | |
| | | ჯი-ემ-პი პროდაქშან | 95%-იანი წილი, წილის მმართველი ვაჟა ოქრიაშვილი | |

| | კომენტარი | დეკლარირებული შემოსავალი | 2012 წლის დეკლარაციის მიხედვით |
|---|---|---|---|
| | დეკლარაციაში ამ კომპანიის მეწილედ მითითებულია შვილი, ირინა ყაჭეიშვილი | 0 | |
| | | 0 | |
| | | | |
| | 2006 წლის შემდეგ არ განახლებულა | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | არ განახლებულა 2007 წლის მერე | | |
| | | | |
| | | 4700000 | |
| | | 0 | |
| | | 59433 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |

| პარლამენტის წევრი | კუთვნილება | კომპანიის დასახელება | კომპანიასთან კავშირი |
|---|---|---|---|
| კახაბერ ოქრიაშვილი | უმრავლესობა | შპს სანიმედი | 100%-იანი წილი, წილის მმართველი ბაჟა ოქრიაშვილი |
| | | შპს პსპ | 59%-იანი წილი, წილის მმართველი ვაჟა ოქრიაშვილი |
| | | შპს ჯეომედი | 25%-იანი წილი, წილის მმართველი ვაჟა ოქრიაშვილი |
| | | შპს მარგვეთი | პარტნიორი |
| ლევან ქარდავა | უმცირესობა | MD ჯგუფი | 100%-იანი წილი, წილის მმართველი მაკა მანია |
| | | იტალიან მოტორ გრუპი | პარტნიორი |
| | | საქართველოს ინოვაციური ნანო ტექნოლოგიები | 20%-იანი წილი |
| | | გლობალ იმპექსი | პარტნიორი |
| | | გრუპპო ვია | 100%-იანი წილი, წილის მმართველი მაკა მანია |
| | | მაგანა-2004 | 100%-იანი წილი |
| პაატა ლეჟავა | უმცირესობა | შპს ფუნთუშა | 34% იანი მეწილე და დირექტორი |
| | | შპს ლგ და კომპანია "ფიროსმანი" LG&GO "PIROSMANI" | 20%-იანი წილი |
| | | შ.პ.ს Delato Fitnes | 33.3%-იანი წილი, წილის მმართველი ლაშა ლეჟავა |
| ნოდარ ებანოიძე | უმრავლესობა | შპს „კომპაუდი“ | 14%-იანი წილი |
| ომარ ნიშნიანიძე | უმრავლესობა | ი/მ ომარ ნიშნიანიძე | |
| პაატა კიკნაველიძე | უმრავლესობა | შპს მადლი | მეწილე |
| სერგო ხაბულიანი | უმრავლესობა | შპს ცეკური | 62.5%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა ხაბულიანი |
| | | შპს მშენებელი 2004 | 62.5%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა ხაბულიანი |

| | კომენტარი | დეკლარირებული შემოსავალი | 2012 წლის დეკლარაციის მიხედვით |
|---|---|---|---|
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | | 15790 | |
| | ქონებრივ დეკლარაციაზე დაყრდნობით | | |
| | | 0 | |
| | ქონებრივ დეკლარაციაზე დაყრდნობით | 0 | |
| | | 0 | |
| | ქონებრივ დეკლარაციაზე დაყრდნობით | 0 | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | 1995 წლის მერე არ განახლებულა | | |
| | 1999 წლის მერე არ განახლებულა | | |
| | | 0 | |
| | | 0 | |
| | შეჩერებული | | |
| | 2003 წლის შემდეგ არ განახლებულა | | |
| | ბოლო დეკლარაცია შევსებულია 2014 წელს | 633205 | |
| | | 0 | |

**ცხრილი 5. დეპუტატების ოჯახის წევრთა კავშირი ბიზნესთან**

| სახელი და გვარი | კავშირი პარლამენტის წევრთან | პარლამენტის წევრის კუთვნილება | |
|---|---|---|---|
| თინათინ ზალდასტანიშვილი | გია ჟორჟოლიანის მეუღლე | უმრავლესობა | |
| მარიამ ღვინიაშვილი | გიორგი ღვინიაშვილის შვილი | უმცირესობა | |
| ნაზი ლიპარტელიანი | გოგი ლიპარტელიანის მეუღლე | უმრავლესობა | |

| | კომპანია | კავშირი კომპანიასთან | კომენტარი |
|---|---|---|---|
| | შპს LT GLOBAL SERVICES LLC-ს ფილიალი საქართველოში | დირექტორი | |
| | შპს ლევონ თრეველი | დირექტორი | |
| | შპს Legal Company GS&Barristers იურიდიული კომპანია გს და ადვოკატები | 50%-იანი წილი | |
| | შპს სპეროზა | 15%-იანი წილი | |
| | შპს ბიოსფერო+ | 20%-იანი წილი | |
| | შპს გამა+ | 10%-იანი წილი | |
| | შპს გამა | 21%-იანი წილი | |
| | შპს ტრანს გაზი | 22.92%-იანი წილი | |
| | შპს ევროსტილი XXI | 16.6%-იანი წილი | |
| | შპს ზუგდიდი 2010 | 29%-იანი წილი | |
| | შპს ოლიმპი-XXI | 50%-იანი წილი | 2007 წლის შემდეგ არ განახლებულა |
| | შ.პ.ს. ,,სეტი-1" | 50%-იანი წილი | 2007 წლის შემდეგ არ განახლებულა |
| | შპს პარტნიორი თ & გ კომპანი | 15%-იანი წილი | |
| | შპს ალექსანდრა | 18%-იანი წილი | |
| | პარტნიორი 2010 | 17%-იანი წილი | |

| სახელი და გვარი | კავშირი პარლამენტის წევრთან | პარლამენტის წევრის კუთვნილება | |
|---|---|---|---|
| ნაზი ლიპარტელიანი | გოგი ლიპარტელიანის მეუღლე | უმრავლესობა | |
| მარინა თოფაძე | გიორგი თოფაძის მეუღლე | უმრავლესობა | |
| ლილი ბაქრაძე | დავით ბაქრაძის დედა | უმცირესობა | |
| ეკატერინე ამაღლობელი | დათო ლორთქიფანიძის მეუღლე | უმრავლესობა | |

| | კომპანია | კავშირი კომპანიასთან | კომენტარი |
|---|---|---|---|
| | შპს როკო | 11%-იანი წილი | |
| | შპს არაონი 2010 | 20%-იანი წილი | |
| | შპს ენ პლიუს სერვისი | 17%-იანი წილი | |
| | შპს რომ იმპორტი 2010 | 25%-იანი წილი | |
| | ფოთპეტროლი | 18%-იანი წილი | |
| | პარტნიორი ბათუმი | 25%-იანი წილი | |
| | მარნეული პარტნიორი | 20%-იანი წილი | |
| | ვაზი | 19%-იანი წილი | |
| | ალდ | 10%-იანი წილი | |
| | გონიო პარტნიორი | 25%-იანი წილი | |
| | კოდა გრინ პროდუქტი | 37%-იანი წილი | |
| | სქური 2016 | 15%-იანი წილი | |
| | მაქს-სერვისი | 17%-იანი წილი | |
| | ეკოილი | 20%-იანი წილი | 2016 წლის 25 მაისს დარეგისტრირდა |
| | შპს "ყაზბეგი ტობაკო" | 1.4%-იანი წილი | |
| | Lili Bakradze - TBE | ინდ.მეწარმე | |
| | შ.პ.ს სოლიდორთ | 30%-იანი წილი | |
| | შ.პ.ს დავით ტატიშვილის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი | 5%-იანი წილი | |

| სახელი და გვარი | კავშირი პარლამენტის წევრთან | პარლამენტის წევრის კუთვნილება | |
|---|---|---|---|
| კარაპეტ მკოიანი | ენზელ მკოიანის შვილი | უმრავლესობა | |
| მარინა ზაქროშვილი | ვაჟა ჩიტაშვილის მეუღლე | უმცირესობა | |
| ნათია ხვისტანი | ვიქტორ ჯაფარიძის მეუღლე | უმრავლესობა | |
| ომარ ქუცნაშვილი | ზაქარია ქუცნაშვილის მამა | უმრავლესობა | |
| თეა სანიკიძე | ზაქარია ქუცნაშვილის მეუღლე | უმრავლესობა | |
| ნიკოლოზი ნაყოფია | კობა ნაყოფიას შვილი | უმცირესობა | |

| კომპანია | კავშირი კომპანიასთან | კომენტარი |
|---|---|---|
| შპს ახალგაზი | 50%-იანი წილი | |
| შპს კარო | დირექტორი და 50%-იანი წილის მფლობელი | |
| შპს სტომატოლოგი | 7%-იანი წილი | |
| შპს ქცია-94 | 66.99%-იანი წილი | |
| შპს სეტი | 50%-იანი წილი | |
| შპს ტირ პარკ მარნეული | 17%-იანი წილი | |
| კოოპერატივი რკ საბეჭისი-001 | გამგეობის წევრი და დირექტორი | |
| შპს ჯეოინჟინერინგი | 40.35%-იანი წილი | |
| შპს "აგრა" | 12.5%-იანი წილი | |
| შპს "ტექნო" | 21.4%-იანი წილი | |
| შპს სუპერ ტორფი | 10%-იანი წილი | |
| შპს ქართულ-აზერბ. ერთობ. საპროექ.-სამშ კომპ. თბილ-ბაქო | დირექტორი | |
| შპს ქმბ | 20%-იანი წილი | |
| რკ ნაფარეულის ღვინო | გამგეობის წევრი და დირექტორი | |
| შპს ენრესი | მეწილე | |
| შპს ნიტაპროქურუმენტგრუპი | დირექტორი და 33.3%-იანი წილის მფლობელი | |
| Bioneli limited LTD (ვირჯინიის კუნძულები) | პარტნიორი მინდობილობით | |

| სახელი და გვარი | კავშირი პარლამენტის წევრთან | პარლამენტის წევრის კუთვნილება | |
|---|---|---|---|
| ნიკოლოზი ნაყოფია | კობა ნაყოფიას შვილი | უმცირესობა | |
| ლინა თოფურია | კახაბერ ოქრიაშვილის მეუღლე | უმრავლესობა | |
| მაკა მანია | ლევან ქარდავას მეუღლე | უმცირესობა | |
| ზაზა გოგიჩაიშვილი | მანანა კობახიძის მეუღლე | უმრავლესობა | |
| ნინო ორაგველიძე | მანანა კობახიძის შვილი | უმრავლესობა | |
| ქეთევან სურმანიძე | მურმან დუმბაძის მეუღლე | უმრავლესობა | |
| ნინო ლასხიშვილი | პაატა ლეჟავას მეუღლე | უმცირესობა | |

| | კომპანია | კავშირი კომპანიასთან | კომენტარი |
|---|---|---|---|
| | Georgia International Films LLC (აშშ) | პარტნიორი | |
| | შპს მუვინგ პიქჩერსი | პარტნიორი | |
| | შპს გოლდინვესტი | პარტნიორი მინდობილობით | |
| | შპს ინოვეიშენ გრუპ ჯორჯია | 75%-იანი წილი | |
| | DREAM VISION CAPITAL INC (ვირჯინიის კუნძულები) | პარტნიორი | |
| | შპს ჯი-ემ-პი | 100%-იანი წილი | |
| | შპს ლინატი | დირექტორი 100%-იანი წილის მფლობელი | |
| | ი/მ ლინა თოფურია | ინდ. მეწარმე | |
| | სს ეგისის წარმომადგენლობა | დირექტორი | |
| | ლუჩე | დირექტორი | |
| | ი/მ ზაზა გოგიჩაიშვილი | ინდ.მეწარმე | |
| | შპს. დამოუკიდებელი საარბიტრაჟო სასამართლო | 25%-იანი წილი | |
| | ინდ.მეწარმე | | |
| | შ.პ.ს. ბავარიული სახლი | 100%-იანი წილი | |
| | შ.პ.ს. ეკო მით | 90%-იანი წილი | |
| | შპს ფეშენ სტაილი | 80%-იანი წილი | 2007 წლის შემდეგ არ განახლებულა |
| | შპს ანტიკვარიატი | 50%-იანი წილი | |

| სახელი და გვარი | კავშირი პარლამენტის წევრთან | პარლამენტის წევრის კუთვნილება | |
|---|---|---|---|
| ნინო თხელიძე | ომარ ნიშნიანიძის მეუღლე | უმრავლესობა | |
| ანდრო კიკნაველიძე | პაატა კიკნაველიძის ძმა | უმრავლესობა | |
| ლალი კვანტალიანი | რევაზ შავლოხაშვილის მეუღლე | უმრავლესობა | |
| თამილა აბუთიძე | პავლე კუბლაშვილის მეუღლე | უმცირესობა | |
| ანა თარხნიშვილი | ლევან თარხნიშვილის მეუღლე | უმცირესობა | |

| კომპანია | კავშირი კომპანიასთან | კომენტარი |
|---|---|---|
| შპს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კოლხა | დირექტორი და 72%-იანი წილი | დეკლარაციაში მითიტებულია მხოლოდ დირექტორი |
| შპს საზოგადოებრივი კოლეჯი კოლხა11 | დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელი | დეკლარაციაში მითიტებულია მხოლოდ დირექტორი |
| შპს კოლხა11 | დირექტორი და 60%-იანი წილის მფლობელი | დეკლარაციაში მითიტებულია მხოლოდ დირექტორი |
| შპს იბერია 48 | დირექტორი | |
| შპს იბერია 49 | დირექტორი | |
| შპს იბერია 50 | დირექტორი | |
| შპს იბერია 47 | დირექტორი | |
| შპს აგრარული ბაზარი | 19%-იანი წილი | |
| შპს ლაგი | 10%-იანი წილი | |
| შპს ლაგი | დირექტორი და 40% წილის მფლობელი | |
| შპს საბა 2005 | დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელი | |
| შპს ფონიჭალა | დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელი | |
| შპს ფრენდსი | პარტნიორი | |
| შპს ბი-სი-ჯი კვლევა | დირქტორი და 80%-იანი წილის მფლობელი | |
| შპს გური | პარტნიორი | |
| შპს ბი-სი-ჯი მონიტორინგი | დირექტორი და პარტნიორი | |

# თავი 14 პრობლემები პარლამენტის საქმიანობაში და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ რეკომენდაციები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აქტიურად აკვირდება პარლამენტის საქმიანობას. პარლამენტის მუშაობაში თავს იჩენს მთელი რიგი ისეთი საკითხები, რომელთა დასარეგულირებლად სასურველია სათანადო ზომების მიღება პარლამენტის წევრებისა და პარლამენტის აპარატის მიერ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ გამოთქვამს მზადყოფნას, რომ მჭიდროდ ითანამშრომლოს საქართველოს პარლამენტთან მეტი გამჭვირვალობისა და საპარლამენტო საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების კიდევ უფრო აქტიურად ჩართვის მიზნით.

არსებობს პრობლემები საკანონმდებლო პროცესში საზოგადოების უფრო აქტიურად ჩართულობის, ინფორმირებისა და პარლამენტის წევრთა მიერ საკუთარი მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გაზრდის თვალსაზრისით. საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის გაუმჯობესებისა და მაკონტროლებელი ფუნქციის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტის ეფექტიანად ფუნქციონირებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს პარლამენტის თითოეულმა წევრმა.

აღსანიშნავია, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ პარლამენტის 2014 წლის საქმიანობის შეფასებაში მოცემული რეკომენდაციები პარლამენტმა არ გაიზიარა. თუმცა ორგანიზაციის რეკომენდაციები პარლამენტის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის შესახებ აისახა ღია პარლამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია პარლამენტის მიერ შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

### 1. საკანონმდებლო პროცესის დახვეწა

- მიზანშეწონილია, რომ **კანონების ამოქმედების გადავადება სისტემატურად არ ხდებოდეს; თითოეული კანონპროექტი, რომელიც კანონის ამოქმედების გადავადებას ეხება, დასაბუთებული უნდა იყოს**. მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტმა შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით განახორციელოს საკანონმდებლო ნორმის ამოქმედებისთვის საჭირო ღონისძიებების მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ყველა ის გარემოება, რომლებიც საკანონმდებლო ცვლილების ამოქმედებას განაპირობებს;
- **კანონის დაჩქარებული წესით განხილვა სათანადოდ უნდა დასაბუთდეს და ეს პროცედურა პარლამენტმა მხოლოდ რეალური საჭიროების შემთხვევაში უნდა გამოიყენოს.** კანონპროექტის ერთი კვირის ვადაში განხილვა ზღუდავს საზოგადოების განხილვის პროცესში სრულფასოვნად ჩართვის შესაძლებლობას;
- **კანონპროექტის განმარტებითი ბარათი არგუმენტირებული, ინფორმაციული და დასაბუთებული უნდა იყოს**. შესაბამისად, აუცილებელია განმარტებითი ბარათის არსებული სტანდარტის შეცვლა და მისი შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება;
- მიზანშეწონილია, რომ **კანონპროექტზე მსჯელობა მხოლოდ საკომიტეტო მოსმენებზე არ ხდებოდეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კანონპროექტის განხილვის პროცესში** (მიუხედავად იმისა, ვინ არის კანონპროექტის ინიციატორი) **კომიტეტებმა უნდა შექმნან სამუშაო ჯგუფები** ექსპერტების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით.

**2. საპარლამენტო კონტროლი – პარლამენტის მაკონტროლებელი ფუნქციის გაძლიერება და ეფექტიანად განხორციელება**

- პარლამენტის მიერ მთავრობის კონტროლი რაც შეიძლება ეფექტიანი უნდა იყოს. **მთავრობის წევრები მოთხოვნის შემთხვევაში უნდა ესწრებოდნენ პარლამენტის სხდომებს**;
- პარლამენტი ეფექტიანად უნდა იყენებდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ საპარლამენტო კონტროლის მექანიზმებს, კერძოდ: უნდა **იმართებოდეს სამთავრობო საათი, პარლამენტი ეფექტიანად უნდა უზრუნველყოფდეს ნორმატიული აქტების შესრულების კონტროლს**;
- **პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე უნდა განიხილოს მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშები**, მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშები;
- **პარლამენტმა კანონით დადგენილ ვადაში უნდა უზრუნველყოს თანამდებობის პირთა არჩევა და სახელმწიფო ორგანოების დაკომპლექტება**, რათა ხელი არ შეეშალოს სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიან ფუნქციონირებას;
- აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ საკანონმდებლო ორგანოს მაკონტროლებელ ფუნქციას. პარლამენტის წევრის **შეკითხვას პასუხი დადგენილ ვადაში, სრულყოფილად უნდა გაეცეს და მას ხელს ადრესატი მინისტრი უნდა აწერდეს**, მიუხედავად იმისა, ვინ არის შეკითხვის ავტორი (უმრავლესობის თუ უმცირესობის წევრი). პარლამენტის წევრები ხშირად უნდა იყენებდნენ კონსტიტუციით მინიჭებულ ფუნქციას – აკონტროლონ მთავრობის წევრები და მათ წინაშე ანგარიშვალდებული სხვა თანამდებობის პირები. **პარლამენტის წევრის შეკითხვის შინაარსი საჯარო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებს უნდა უკავშირდებოდეს. პროაქტიურად უნდა გამოქვეყნდეს პარლამენტის აპარატის არქივში არსებული ყველა სადეპუტატო კითხვა და პასუხი**;
- საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა და პარლამენტის ბიურომ უნდა გამოიყენონ კანონმდებლობით დადგენილი მექანიზმები, რათა **დადგეს იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც არ პასუხობენ პარლამენტის წევრის შეკითხვებს ან პარლამენტის წევრებს არაზუსტ ინფორმაციას აწვდიან**.

**3.პარლამენტის წევრთა ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობის გაზრდა**

- 2015 წელს საქართველოს პარლამენტში დეპუტატების მიერ პლენარული სხდომების 2199 საპატიო გაცდენა დაფიქსირდა, მათ შორის 1442 – ოჯახური მდგომარეობის გამო. საპარლამენტო საქმიანობაში მონაწილეობა პარლამენტის წევრის უპირველესი ფუნქციაა. საკანონმდებლო ორგანოს წევრები მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ საპარლამენტო საქმიანობაში მონაწილეობას და ბოროტად არ ისარგებლონ კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული პრივილეგიით, რომლის თანახმადაც ოჯახური მდგომარეობის გამო სხდომის გაცდენა საპატიოდ ითვლება. **სამწუხაროდ, პარლამენტმა არ გამოხატა ნება, შეეცვალა არსებული რეგულაცია, რომ ოჯახური მდგომარეობა გაცდენის საპატიო მიზეზი აღარ ყოფილიყო. სასურველია, რომ პარლამენტმა შეძლოს ამ მანკიერი პრაქტიკის უარყოფა და სათანადო ცვლილებების განხორციელება**;
- მიზანშეწონილია, რომ **პარლამენტის წევრები უფრო აქტიურად იყენებდნენ პარლამენტის ვებგვერდზე მითითებულ ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტას**, რათა მოქალაქეებს შეეძლოთ მათთან დაკავშირება;
- პარლამენტის წევრებმა სწორად უნდა შეავსონ ქონებრივი დეკლარაციები, ასახონ საკუთარი და ოჯახის წევრების კომპანიებში კუთვნილი წილები და კანონით დადგენილი წესით დატოვონ კომპანიების მმართველი პოზიციები. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა უნდა განახორციელოს ეფექტიანი კონტროლი;
- **პარლამენტმა უნდა შეიმუშაოს ეთიკის კოდექსი, სადაც გათვალისწინებული იქნება მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმები და სანქციები ეთიკის კოდექსის დარღვევისთვის**.

**4. პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობა და საზოგადოების მეტად ინფორმირება**

- პარლამენტის კომიტეტების მუშაობის შესახებ საზოგადოების უკეთ ინფორმირების მიზნით მიზანშეწონილია, რომ **პარლამენტის ვებგვერდზე განთავსდეს ყველა კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მომავალი წლის სამოქმედო გეგმა**;
- სასურველია, რომ **პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში საკომიტეტო მოსმენების შესახებ აისახოს საზოგადოების წევრთა მიერ გამოთქმული ის შენიშვნებიც, რომლებიც არ გაიზიარა კანონის ინიციატორმა ან კომიტეტმა**;
- სასურველია, რომ განხილვის სხვადასხვა ეტაპზე მიღებული **კანონპროექტები ოპერატიულად განთავსდეს პარლამენტის ვებგვერდზე და რაც შეიძლება სწრაფად მომზადდეს საკომიტეტო მოსმენის ოქმები**;
- მიზანშეწონილია, რომ **პარლამენტის ვებგვერდზე განთავსდეს წამყვანი კომიტეტის და სხვა კომიტეტების ყველა სავალდებულო დასკვნა**;
- მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ვებგვერდზე მიმდინარეობს კომიტეტების და პლენარული სხდომების პირდაპირი ტრანსლაცია გადახვევის ფუნქციით, განმეორებით ნახვის სურვილის შემთხვევაში ჩანაწერის მოძიება რთული და ზოგჯერ შეუძლებელია, რადგან არ არსებობს არქივი. **სასურველია პარლამენტის ვებგვერდზე არსებობდეს თემატურად დაყოფილი არქივი**;
- **მიზანშეწონილია, დაინტერესებულ პირს კანონით დადგენილ ვადაში ზუსტი საჯარო ინფორმაცია მიეწოდებოდეს**. პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტსა და კომიტეტებს შორის არასათანადო კოორდინაცია არ უნდა იქცეს ზუსტი და დროული ინფორმაციის მიღებისათვის ბარიერად.

**5. საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა**

- **პარლამენტის კომიტეტები სხდომაზე მხოლოდ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს უნდა განიხილავდნენ**. დღის წესრიგში განსახილველი საკითხების დამატება სხდომის მიმდინარეობის პროცესში არ უნდა ხდებოდეს, რაც ართმევს დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას, დაესწრონ მათთვის სასურველი საკითხის განხილვას;
- **პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებული უნდა იყოს არა მხოლოდ საკანონმდებლო ინიციატივები, არამედ საკანონმდებლო წინადადებებიც**, რათა საზოგადოების წარმომადგენლები წინასწარ იყვნენ ინფორმირებული ფიზიკური და იურიდიული პირების საკანონმდებლო წინადადებების შესახებ და სურვილის შემთხვევაში ჩაერთვნენ განხილვაში;
- **საკანონმდებლო წინადადებების განხილვა რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადაში უნდა ხდებოდეს**. სასურველია, რომ კომიტეტებმა თითოეული სესიის დასრულების შემდეგ გამოაქვეყნონ ინფორმაცია, რამდენი საკანონმდებლო წინადადებას დაუჭირეს მხარი და მხარდაჭერის შემთხვევაში ჩამოყალიბდა თუ არა ისინი საკანონმდებლო ინიციატივად;
- სასურველია, **რომ პლენარული სხდომებისა და საკომიტეტო მოსმენების დღის წესრიგები რამდენიმე დღით ადრე განთავსდეს პარლამენტის ვებგვერდზე**. პლენარული ან კომიტეტის სხდომის შესახებ ინფორმაცია პარლამენტის ვებგვერდზე ხშირად სხდომის წინა საღამოს, ზოგჯერ კი იმავე დღეს ქვეყნდება, რაც აბრკოლებს დაინტერესებული პირების განხილვაში მონაწილეობას.

**6. მაჟორიტარი პარლამენტის წევრების საქმიანობა**

- მიზანშეწონილია, **რომ პარლამენტის ყველა მაჟორიტარი წევრის საკონტაქტო ინფორმაცია განთავსდეს ვებგვერდზე** www.majoritarian.ge. მაჟორიტარი პარლამენტის წევრების უმრავლესობა არ იყენებს სპეციალურად მათი ბიუროებისთვის შექმნილ ვებგვერდებს, რომლებიც მიბმულია პარლამენტის ვებგვერდზე;
- სასურველია, რომ პარლამენტის **მაჟორიტარი წევრების ვებგვერდებზე რეგულარულად განთავსდეს ინფორმაცია მათ მიერ განხილული განცხადებების და ჩატარებული საჯარო შეხვედრების და კვლევების შესახებ**.

**დანართი 1. პარლამენტის წევრთა სიტყვით გამოსვლების რაოდენობა 2015 წელს**

| | | |
|---|---|---|
| ბესელია ეკა | უმრავლესობა | 113 |
| გოგორიშვილი ხათუნა | უმცირესობა | 112 |
| თაქთაქიშვილი ჩიორა | უმცირესობა | 112 |
| ტყემალაძე ზურაბ | უმრავლესობა | 93 |
| ვოლსკი გიორგი | უმრავლესობა | 91 |
| ქუცნაშვილი ზაქარია | უმრავლესობა | 86 |
| რატიანი სერგო | უმცირესობა | 85 |
| კახიანი გიორგი | უმრავლესობა | 80 |
| ქანთარია ალექსანდრე | უმრავლესობა | 80 |
| კორძაია თამარ | უმრავლესობა | 77 |
| კურტანიძე ელდარ | უმრავლესობა | 76 |
| გაჩეჩილაძე გიორგი | დამოუკიდებელი პარლ. წევრი | 75 |
| მინაშვილი აკაკი | უმცირესობა | 71 |
| დარჩიაშვილი დავით | უმცირესობა | 66 |
| ხმალაძე ვახტანგ | უმრავლესობა | 63 |
| კანდელაკი გიორგი | უმცირესობა | 51 |
| წიკლაური ნუგზარ | უმცირესობა | 47 |
| ბარამიძე გიორგი | უმცირესობა | 46 |
| მაღრაძე გუგული | უმრავლესობა | 45 |
| მელიქიშვილი ზურაბ | უმცირესობა | 45 |
| ფოფხაძე გედევან | უმრავლესობა | 45 |
| ლორთქიფანიძე დათო | უმრავლესობა | 44 |
| ჩიქოვანი ირაკლი | თავისუფალი დემოკრატები | 42 |
| კიღურაძე ივანე | უმრავლესობა | 41 |
| ჟორჟოლიანი გია | უმრავლესობა | 41 |
| მაჭავარიანი მიხეილ | უმცირესობა | 39 |
| კუბლაშვილი პავლე | დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი | 38 |
| წერეთელი გიორგი | უმცირესობა | 37 |
| სუბელიანი კობა | უმცირესობა | 36 |
| ხუნდაძე დიმიტრი | უმრავლესობა | 36 |
| თარხნიშვილი ლევან | უმცირესობა | 35 |

| | | |
|---|---|---|
| კვაჭანტირაძე ზვიად | უმრავლესობა | 35 |
| თევდორაძე გიორგი | უმცირესობა | 33 |
| მეჭიაური თამაზ | უმრავლესობა | 33 |
| ლონდარიძე ტარიელ | უმცირესობა | 31 |
| ძიძიგური ზვიად | უმრავლესობა | 31 |
| ნადირაშვილი ირმა | უმცირესობა | 29 |
| ბობოხიძე აკაკი | უმცირესობა | 28 |
| მიროტაძე ანი | უმრავლესობა | 28 |
| ხერხეულიძე ეკატერინე | უმცირესობა | 27 |
| შავგულიძე შალვა | თავისუფალი დემოკრატები | 26 |
| ებანოიძე ნოდარ | უმრავლესობა | 25 |
| ვაშაძე გიორგი | უმცირესობა | 25 |
| საყვარელიძე ფრიდონ | უმრავლესობა | 22 |
| სესიაშვილი ირაკლი | უმრავლესობა | 21 |
| ბაშელეიშვილი დემურ | უმრავლესობა | 20 |
| ბეჟაშვილი ლევან | უმცირესობა | 20 |
| ნერგაძე თეიმურაზ | უმრავლესობა | 20 |
| ქავთარაძე გიორგი | უმრავლესობა | 20 |
| ცისკარიშვილი პეტრე | უმცირესობა | 20 |
| გაბაშვილი გიორგი | უმცირესობა | 19 |
| ლემონჯავა ვახტანგ | უმცირესობა | 19 |
| მაისურაძე თემურ | უმრავლესობა | 19 |
| ჯაფარიძე ზურაბ | დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი | 19 |
| ბუკია გიგა | უმრავლესობა | 17 |
| ხაბარელი შოთა | უმრავლესობა | 17 |
| ონოფრიშვილი დავით | თავისუფალი დემოკრატები | 15 |
| აბაშიძე ზურაბ | თავისუფალი დემოკრატები | 14 |
| კობახიძე მანანა | უმრავლესობა | 14 |
| კოპალიანი კარლო | უმრავლესობა | 14 |
| საჯაია მარიამ | უმცირესობა | 14 |
| თოფაძე გიორგი | უმრავლესობა | 12 |
| გოგუაძე ნინო | თავისუფალი დემოკრატები | 11 |

| | | |
|---|---|---|
| დოლიძე ვიქტორ | თავისუფალი დემოკრატები | 11 |
| ჩილინგარაშვილი ზურაბ | უმცირესობა | 11 |
| ბოკუჩავა თინათინ | უმცირესობა | 10 |
| თარგამაძე გიორგი | უმცირესობა | 10 |
| ღვინიაშვილი გიორგი | უმცირესობა | 9 |
| პაპუაშვილი ზაზა | უმრავლესობა | 8 |
| სანიკიძე გუბაზ | უმრავლესობა | 8 |
| შერვაშიძე იაშა | უმრავლესობა | 8 |
| ბჟუაშვილი დავით | დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი | 7 |
| ბერძენიშვილი დავით | უმრავლესობა | 7 |
| ბოლქვაძე ანზორ | უმრავლესობა | 7 |
| კიკნაველიძე პაატა | უმრავლესობა | 7 |
| ჟვანია გოგლა | უმრავლესობა | 7 |
| უსუფაშვილი დავით | უმრავლესობა | 7 |
| ჩაფიძე ელისო | უმრავლესობა | 7 |
| ცაგარეიშვილი გიორგი | თავისუფალი დემოკრატები | 7 |
| ჭკუასელი თეიმურაზ | უმრავლესობა | 7 |
| ხაბელოვი ლერი | უმრავლესობა | 7 |
| ჯაფარიძე თედო | უმრავლესობა | 7 |
| ბარათაშვილი პაატა | უმრავლესობა | 6 |
| ნიშნიანიძე ომარ | უმრავლესობა | 6 |
| ოქრიაშვილი კახაბერ | უმრავლესობა | 6 |
| ხაჩიძე გიორგი | დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი | 6 |
| დუმბაძე მურმან | დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი | 5 |
| ენუქიძე გოჩა | უმრავლესობა | 5 |
| ვახტანგაშვილი მალხაზ | უმრავლესობა | 5 |
| მელაძე გიორგი | დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი | 5 |
| სამხარაული გელა | უმრავლესობა | 5 |
| ჭავჭანიძე დავით | უმცირესობა | 5 |
| ხეჩინაშვილი გიორგი | უმრავლესობა | 5 |
| გელაშვილი გელა | უმრავლესობა | 4 |
| კიკნაველიძე შალვა | უმრავლესობა | 4 |

| | | |
|---|---|---|
| მალაშხია შოთა | უმცირესობა | 4 |
| შიოშვილი თამაზ | თავისუფალი დემოკრატები | 4 |
| ჩიტაშვილი ვაჟა | უმცირესობა | 4 |
| კვიჟინაძე პაატა | უმრავლესობა | 3 |
| მახარაძე მიხეილ | უმცირესობა | 3 |
| ტრიპოლსკი ერეკლე | უმრავლესობა | 3 |
| ხალვაში ფატი | უმრავლესობა | 3 |
| ჯაჭვლიანი იოსებ | უმრავლესობა | 3 |
| ბერძენიშვილი ლევან | უმრავლესობა | 2 |
| მეგრელიძე ომარ | უმცირესობა | 2 |
| ყეინიშვილი ნანა | უმრავლესობა | 2 |
| წიკლაური მირიან | უმრავლესობა | 2 |
| ბაქრაძე დავით | უმცირესობა | 1 |
| გოზალიშვილი გიორგი | უმცირესობა | 1 |
| გუჯაბიძე ბიძინა | უმრავლესობა | 1 |
| დანელია სოსო | უმრავლესობა | 1 |
| დარზიევი მახირ | უმრავლესობა | 1 |
| ვერულაშვილი მარიკა | უმრავლესობა | 1 |
| კაჭახიძე მერაბ | უმრავლესობა | 1 |
| ლეჟავა პაატა | უმცირესობა | 1 |
| მისაბიშვილი გურამ | უმრავლესობა | 1 |
| პეტროსიანი სამველ | უმცირესობა | 1 |
| პოღოსიანი რუსლან | უმრავლესობა | 1 |
| სულეიმანოვი აზერ | უმცირესობა | 1 |
| ჩრდილელი ოთარ | უმრავლეესობა | 1 |
| ჩხეტიანი დარეჯან | უმრავლეესობა | 1 |
| წერეთელი მალხაზ | უმრავლეესობა | 1 |
| ხიდაშელი თამარ | უმრავლეესობა | 1 |
| აჩბა ვლადიმერ | უმრავლეესობა | 0 |
| ახალაია როლანდ | უმცირეესობა | 0 |
| ბუკია გოდერძი | უმცირეესობა | 0 |
| ბუცხრიკიძე კახა | უმცირეესობა | 0 |

| | | |
|---|---|---|
| გელაშვილი ვალერი | უმრავლესობა | 0 |
| დავითაშვილი კობა | დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი | 0 |
| დარცმელიძე დავით | უმცირესობა | 0 |
| ზვიადაური ზურაბ | უმრავლესობა | 0 |
| თამაზაშვილი ალექსანდრე | უმრავლესობა | 0 |
| კარბელაშვილი გიორგი | უმცირესობა | 0 |
| კედელაშვილიზაზა | უმცირესობა | 0 |
| ლიპარტელიანი გოგი | უმცირესობა | 0 |
| მამედოვი ალი | უმრავლესობა | 0 |
| მკოიანი ენზელ | უმცირესობა | 0 |
| ნაყოფია კობა | უმცირესობა | 0 |
| ნიკოლაიშვილი რამაზ | უმცირესობა | 0 |
| ფეიქრიშვილი გიორგი | უმრავლესობა | 0 |
| ქარდავა ლევან | უმცირესობა | 0 |
| ყაჭეიშვილი თამაზ | უმრავლესობა | 0 |
| ყიფშიძე ნიკოლოზ | უმცირესობა | 0 |
| შავლოხაშვილი რევაზ | უმცირესობა | 0 |
| ჩხაიძე თეიმურაზ | უმრავლესობა | 0 |
| ხაბულიანი სერგო | უმცირესობა | 0 |
| ხალვაში როსტომ | უმრავლესობა | 0 |
| ხუბულური თენგიზ | უმრავლესობა | 0 |
| ჯაფარიძე ვიქტორ | უმრავლესობა | 0 |
| ჯაფარიძე თამაზ | უმრავლესობა | 0 |